საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 176 (2290) | შაბათი, 31 აგვისტო, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმიდა სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

ღვთის სადიდებლად და ჩვენი ხალხის რწმენის ასაღორძინებლად თბილისში წმიდა სამების საკათედრო ტაძარი შენდება. ვისაც აქვს სურვილი და საშუალება მონაწილეობა მიიღოს ამ საშვილიშვილო საქმეში, ვაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს:

ეროვნული ვალუტის ანგარიში

მიმღები: საქართველოს საპატრიარქო ბანკი „საეკლესიო ბანკი"

მიმღების: ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკი"

ანგარიშის ნომერი: 800161756, მფო 526636

დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში

სავალუტო ანგარიში

მიმღები (ბენეფიციარი): საქართველოს საპატრიარქოს ბანკი „საეკლესიო ბანკი". მიმღების (ბენეფიციარის) ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკი"

ანგარიშის ნომერი: 800073556

დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში

დამატებითი ინფორმაციისათვის — ტელეფონი: 934599, 987471.

მისამართი: თბილისი, მეფე ერეკლე მეორეს მოედანი № 1, საქართველოს საპატრიარქოს შენობა, 1 სართული, „საეკლესიო ბანკი".

წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდი.

ის. მე-4 გვ.

„საქართველოს მოქალაქეთა კავშირი — სოციალური სახელმწიფოსათვის"

— ასეთი იყო 30 აგვისტოს თბილისში, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული აკადემიური თეატრის შენობაში გამართული საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ფორუმის დევიზი.

ფორუმის მონაწილეებმა განიხილეს ქვეყნის სოციალური განვითარების კონცეფციის პროექტი, რომელიც მოამზადა „მოქალაქეთა კავშირის" საპარლამენტო ფრაქციამ.

საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ ამ პროექტში ფოკუსირებულია სახელმწიფოს სოციალური ფუნქციები, რომლებიც ეფუძნება მოსახლეობის მცირე ანაზღაურების მქონე ფენების სოციალური დაცვის კონკრეტული ღონისძიებებისა და სოციალური თვითდაცვის პოლიტიკის სინთეზს.

ფორუმზე, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ელდარ შენგელაია, გამოვიდნენ ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს წევრი, „მოქალაქეთა კავშირის" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე ლანა ღოღობერიძე, ეკონომიკის მინისტრი ვლადიმერ პაპავა, პარლამენტისა და მთავრობის სხვა წევრები, მეცნიერები და ბიზნესმენები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ფორუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ.

ფორუმის მონაწილეებმა, მთლიანად მოიწონეს ქვეყნის სოციალური განვითარების კონცეფციის პროექტი.

საქინფორმი.

სურათზე: საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელები მოქალაქეთა კავშირის ფორუმზე.

ზეინაბ ბარნოვის ფოტო.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

საინტერესო საუბარი. თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 23 აგვისტო ქ. თბილისი

მ. ჯულელის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ტანვარჯიშის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **მედეა (მზია) ჯულელი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 23 აგვისტო ქ. თბილისი

ვ. ბალავაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის საზოგადოება „მართვეს" თავმჯდომარის მოადგილე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი **ვახტანგ ბალავაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

მკითხველთან პირისპირ

გიწვევთ განათლების მინისტრთან სასაუბროდ

10 სექტემბერს, 12-დან 14 საათამდე ჩვენი რედაქციის სტუმარი იქნება საქართველოს განათლების მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე. ტელეფონით 93-34-04 შეგიძლიათ მას დაუკავშირდეთ და მიიღოთ პასუხი თქვენთვის საინტერესო საკითხებზე.

შეკითხვები და წინადადებები შეიძლება წინასწარ ფოსტითაც მოგვაწოდოთ (კოსტავას 14).

გვწერენ

საქართველოს პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ ნუ მოაწერთ ხელს საგადასახადო კანონმდებლობის საწინააღმდეგო განკარგულებას

დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ახლად ფეხადგმული ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა რომ თანდათანობით დახვეწას მოითხოვს, ამაზე არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ სანამ მიღებული კანონები ძალაშია, ისინი ცალკეული სისტემების (ორგანიზაციების, საწარმოების) მაღალპრესტიჟული მესვეურების თხოვნით (თხოვნა ყოველთვის დასაბუთებულია) არ უნდა ირღვეოდეს.

ახლა ძირითადად მხედველობაში მაქვს ჩემთვის ცნობილი ფაქტები: საქართველოს რკინიგზის, ენერგოსისტემის სტრუქტურებისა და სს „საქტრაქტორის" ბიუჯეტში გადასარიცხი დავალიანებების გადახდის გაურკვეველი ვადით შეჩერება. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება თქვენი წლევანდელი 11 აგვისტოს №183 განკარგულება, რომელიც რკინიგზის დეპარტამენტს ეხება.

დარწმუნებული ვარ, სამეურნეო სუბიექტების უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა, რასაც მოყვება ხოლმე თქვენს წინაშე ხელმძღვანელთა წუწუნი და თხოვნა სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანებათა შეჩერებასა და რესტრუქტურიზაციის თაობაზე, მარტო ობიექტური მიზეზებით არ არის განპირობებული, ბევრი რამ არის დამოკიდებული უწყებების (ორგანიზაციების, საწარმოების) მესვეურთა კეთილსინდისიერებასა და პროფესიონალიზმზე.

უყაირათო მუშაობის ძირითად მიზეზთა შორის უპირველესია ჩაშლილი ბუღალტრული აღრიცხვა. ადამიანთა მიზანმიმართული საქმიანობის ეს აუცილებელზე აუცილებელი სფერო ჩვენს ქვეყანაში იმდენად მასობრივად არის უგულებელყოფილი, რომ უმართავი ხდება საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა და იმის დადგენაც შეუძლებელია, თუ რომელ მუშაკს რა სახის და რა ოდენობის ფასეულობებზე ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა. ეს ერთნაირად ეხება სახელმწიფო და კერძო სექტორსაც. სანამ ეს საკითხი არ მოგვარდება, ეკონომიკის ნორმალურ განვითარებაზე ლაპარაკი უსაფუძვლოდ მიმაჩნია.

უღრმესი პატივისცემით

ბორის ხუციძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი.

გვეკითხებიან

ადრე გადახდილი თანხა ძალაშია?

ბინაზე ტელეფონის დასადგმელად, რომლის რიგიც მიწევდა, 1989 წელს მაშინდელი კურსით ოფიციალურად გადავიხადე 107 მან. 50 კაპიკი. სწორედ ამ პერიოდში ჩემს სახლში გაზის ძლიერი აფეთქება მოხდა და ბინა მთლიანად დამენგრა. ქალაქის საბჭომ მაშინვე გამომიყო ოთხოთახიანი ბინა დიდ დიღომში, მე-3 მიკრორაიონის მე-5 კორპუსში, სადაც ვცხოვრობ ამჟამად. ბინის შეცვლის შესახებ წერილობით მაშინვე ვაცნობე კავშირგაბმულობის სამინისტროს, უშუალოდ სამმართველოს უფროსს ავთანდილ იაშვილს.

მოგმართავთ კითხვით: რჩება თუ არა ძალაში ადრე გადახდილი თანხა?

კუკური ჯიბლაძე,
თბილისი.

შეკითხვაზე გვიპასუხებს საქართველოს კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროს ელექტროკავშირის გენერალური დირექტორი ავთანდილ იაშვილი:

— მოქალაქე კ. ჯიბლაძე დამატებითი ხარჯების გარეშე დაკმაყოფილდება ტელეფონით. სასურველია, მან წარმოადგინოს გადახდილი თანხის ქვითარი, რადგან სამინისტროს ბუღალტერიაში ქვითრები სამი წლის შემდეგ ნადგურდება.

აქვე გაცნობებთ, რომ დიდ დიღომში 1997 წლის თებერვალში ამოქმედდება 3 000-ნომრიანი სატელეფონო სადგური.

პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელები გადაეცა

30 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს რწმუნებათა სიგელები გადასცა ზამბიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ნხიმუნია ჯონ სიკაულუსმა. ზამბია პირველი ქვეყანა იყო აფრიკის კონტინენტიდან, რომელმაც სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

შეხვედრაზე ილაპარაკეს ორ სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზე.

შეიქმნა აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებით შეიქმნა აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო. მას სათავეში ჩაუდგა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა. მისი ორგანიზაციის მიზანი, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს სამინისტროს პრესცენტრში აუწყეს, ის არის, რომ რესპუბლიკის აგროსამრეწველო და სასურსათო კომპლექსში ერთიანი მიზნობრივი პოლიტიკა განახორციელოს, რის შედეგადაც მისი ყველა დარგი უნდა განვითარდეს, სოფლად რეფორმების მიმდინარეობასთან, სოფლის ცხოვრების სხვა აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებული სტრატეგიული ამოცანები გადაწყდეს. საბჭოს სხდომა წელიწადში ორჯერ გაიმართება.

ვაზო, შვილივით ნაზარდო

საცაა რთველი დაიწყება. მევენახეობისა და მეღვინეობის პრობლემების მოწესრიგებისა და რთველის ორგანიზებული განხორციელების სახელმწიფო კომისიის მორიგ სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ სეზონში მოსალოდნელია 150 ათასი ტონა ყურძნის მოკრეფა. 68 ღვინის ქარხანა, რომელთაც არა აქვს დავალიანება, მზად არის მოსახლეობისაგან მიიღოს მოსავალი.

ავტომობილი ფუფუნება არ არის

8 თვის განმავლობაში თბილისის საბაჟომ გააფორმა საზღვარგარეთ ნაყიდი 3 750 სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანა. ყველა შემოყვანილი ავტომანქანა დამზადებულია 5-15 წლის წინათ და მათი ძირითადი „გამყიდველები" არიან გერმანია, ჰოლანდია და ბელგია. ყველა ეს ავტომობილი შესაბამისი სახელმწიფო გადასახადით დაბეგრეს და ქვეყნის ბიუჯეტს ამ გზით 1,3 მილიონი დოლარი შეემატა.

აბასთუმანი უყურადღებოდ არ რჩებათ

— აღნიშნა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში აბასთუმნის ტუბერკულიოზური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ტარიელ ენდელაძემ. — სამხარეო ადმინისტრაციის ძალისხმევითა და საქენერგოს სპეციალისტთა დახმარებით აღდგენილია სტიქიისაგან დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზი. კარგი ტემპით მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები ახალციხე—აბასთუმნის საავტომობილო გზის 8 კილომეტრიან მონაკვეთზე. ახალციხის საგზაო სამმართველოს კოლექტივი ენერგიულად შრომობს აღნიშნული გზის მონაკვეთის განსაზღვრულ ვადებში აღსადგენად.

ქართული კულტურის დღეები სომხეთში

29 აგვისტოს ერევანში არამ ხაჩატურიანის სახელობის სიმფონიური მუსიკის დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა ქართული კულტურის დღეები. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ორი ქვეყნის კულტურის მინისტრებმა. ოფიციალური ნაწილის შემდეგ, სომხეთის სიმფონიურმა ორკესტრმა, რომელსაც ჯანსუღ კახიძე დირიჟორობდა, გამართა კონცერტი.



იმავე დღეს რუსთაველის თეატრმა წარმოადგინა შექსპირის „მაკბეტი".

30 აგვისტოს საქართველოს დელეგაციის წევრები მიიღეს სომხეთის პრემიერ-მინისტრმა გრანტ ბაგრატიანმა და სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ბაბკენ არარქციანმა.

თავაზიანი „თბილტრანსი"

სატრანსპორტო კომპანია „თბილტრანსის" მესვეურებმა გვამცნეს, რომ 2 სექტემბერს ყველა მოსწავლეს, სტუდენტს შეუძლია უფასოდ იმგზავროს ავტობუსებით, ტრამვაითა და ტროლეიბუსებით.

2 სექტემბერს იმოძრავებს ტროლეიბუსები დიღმის ბაზრიდან ქარხანა „მიონამდე". ადრე „სპილენძზე მონადირეთა" მიერ ჩამოხსნილ-მოპარული 8 კილომეტრიანი ხაზი მთლიანად აღდგენილია.

ცხინვალს — 2 მილიონი დოლარი

გაეროს განვითარების პროგრამამ ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური აღორძინებისათვის გამოყო 2 მლნ. აშშ დოლარი. ექსპერტთა აზრით, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის სტაბილიზაციის შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციების დაინტერესება — აღმოუჩინონ ფულადი დახმარება ამ რეგიონს — კიდევ უფრო გაიზრდება.

327 ახალი საწარმო

7 თვის განმავლობაში თბილისში შეიქმნა 327 ახალი საწარმო, სადაც დაახლოებით 20-30 ათასი კაცია დასაქმებული.

თბილისის ტერიტორიაზე განლაგებულ კერძო საწარმოებში 90 000 ადამიანია დასაქმებული.

შეხვედრა „ცეკავშირში"

საქართველოს სახელმწიფო კორპორაცია „ცეკავშირს" სტუმრად ეწვია ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის დელეგაცია. შეხვედრის მიზანია „ცეკავშირსა" და ცხინვალის რეგიონს შორის კავშირის აღდგენა. ოსური მხარე განსაკუთრებით დაინტერესდა ეკონომიკური კავშირების აღდგენით.

ლარი და დოლარი

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, განვლილი კვირის დასაწყისიდან, შიდა სავალუტო ბაზარზე შეიმჩნეოდა ლარის კურსის უმნიშვნელო (დაახლოებით 0,2 პროცენტი) დაწევა, რაც დაკავშირებული იყო საბიუჯეტო არხებით მიმოქცევაში დამატებით 15 მლნ. ლარის მოხვედრასთან. კვირის ბოლოს ლარის კურსმა აშშ დოლართან მიმართებაში 1,268 ლარი შეადგინა.

ვისი ღვინო სჯობს?

საქართველოში წარმოებული საუკეთესო ღვინოები, კონიაკები და სხვა სასმელები იქნება წარმოდგენილი პირველ რესპუბლიკურ კონკურსზე, რომელიც 4 სექტემბერს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაში გაიმართება. ეს თავისებური დათვალიერება მევენახეთა და მეღვინეთა კავშირისა და რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტის" ინიციატივით იმართება. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, ვისაც ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების ლიცენზიები აქვს.

ფასები სტაბილურია

უკანასკნელი თვეების განმავლობაში საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ფასები სტაბილურია. 26 ივლისიდან ყოველი მომდევნო კვირის ფასების ინდექსის ჯამური მაჩვენებელი წინა კვირის მაჩვენებელთან შედარებით გამოხატავს კლების ტენდენციას.

დამონტაჟდება უახლესი აპარატურა

ახმეტის რაიონში სტუმრად იმყოფებოდა საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრი ფრიდონ ინჯია.

მინისტრმა რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად მოინახულა მაღალმთიანი თუშეთი, რესპუბლიკის ჩრდილოეთი საზღვარი, გაეცნო რეგიონში არსებულ პრობლემებს. გადაწყდა, რომ სატელეფონო კავშირის გაუმჯობესების მიზნით დამონტაჟდება კავშირგაბმულობის უახლესი სისტემის აპარატურა, რომელიც თუშეთს ქვეყნის სხვა რეგიონებთან დააკავშირებს.

აფხაზეთში ისევ იტაცებენ...

უცხოელ დამკვირვებელთა შეფასებით, აფხაზეთში ადგილობრივმა მილიციამ აღკვეთა ბანდების თარეში და სიტუაცია შედარებით გამოსწორდა. ამჟამად აქ ყველაზე გავრცელებული დანაშაულია მოტაცება გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს ის მდგომარეობაც, რომ მილიცია სრულ უმოქმედობას იჩენს, როდესაც დანაშაულს ჩადიან მისი ყოფილი თანამებრძოლები ან ნათესავები. იგივე პრობლემის წინაშე დგას სასამართლოს სისტემაც.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტისა და პარლამენტის პრესსამსახურებმა - საქინფორმმა, იბერიამ და ჩვენმა კორესპონდენტებმა.

ახლა კი გავიმარჯვებთ?

გუშინ საქართველოს პარლამენტში 5 საათს გასტანა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მორიგმა სხდომამ, რომელმაც განიხილა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველ სპორტსმენთა წარუმატებელი გამოსვლის მიზეზები.

კომიტეტის თავმჯდომარის რომან მიმინოშვილის მოწოდება — საუბარი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით წარემართათ და ამის პირადი მაგალითიც მისცა და — მსწრაფლ, სამწუხაროდ, ზოგიერთმა ორატორმა არ გაითვალისწინა და ურთიერთგადაბრალების, უწყებრივი დაპირისპირების, სახელმწიფოს მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით გადაჭარბებული მანიპულირების პოლიტიკა აირჩია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა დამცირებით, ეთიკის ნორმების დარღვევით შეეცადა ფონს გასულიყო.

განსაკუთრებული ვნებათაღელვის საგანი გახდა მომავალ ოლიმპიურ ციკლში ჩვენ თანამემამულეთა ღირსეული მომზადებისათვის ისეთი აქტუალური საკითხების განხილვა, როგორიც არის სპორტის ადგილი სახელმწიფო ბიუჯეტში, კანონი სპორტის შესახებ, ფედერაციებისა და სპორტსაზოგადოებების საქმიანობა და მათი ურთიერთობის ფორმები სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან, ბავშვთა და სოფლის სპორტის რეანიმაცია, სამედიცინო და ფსიქოლოგიური სამსახურებით საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის უზრუნველყოფა და ამ საქმეში სამეცნიერო კადრების მოზიდვა.

უკანასკნელ საათს

ასლან მასხადოვი სტრასბურგში მიიწვიეს

გუშინ დაღესტნის დაბა ხასავიურტში ექვსი საათის დაგვიანებით დაიწყო რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრე ლებედისა და ჩეჩნეთის „შეურიგებელი" ოპოზიციის მეთაურის ასლან მასხადოვის მოლაპარაკება, რომელიც ძნელად მიმდინარეობს, მაგრამ მხარეები იმედოვნებენ, რომ ხელს მოაწერენ შეთანხმებას.

როგორც ალექსანდრე ლებედმა თქვა, ჩეჩნეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების პროგრამა მთლიანად არის შეთანხმებული პრეზიდენტთან.

დღეს მთავრდება ფედერალური ჯარების გამოყვანა გროზნოდან, სადაც ცხოვრება ასე თუ ისე დგება ნორმალურ კალაპოტში, უკვე გაიხსნა ბაზარი, ერთობლივი კომენდატურა ავლენს მაროდიორებს, დამნაშავე ელემენტებს.

რესპუბლიკის ოფიციალური ადმინისტრაცია არსებითად ჩამოშორებულია მმართველობას და ასლან მასხადოვს თანდათან აღიარებენ ჩეჩნეთის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად. იგი უკვე მიიწვიეს სტრასბურგში ევროპის საბჭოს სხდომაზე.

ბორის ელცინი გამოჯანმრთელდა

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, რომელიც მძიმედ იყო ავად, უკვე იმდენად მოიკეთა, რომ თვითონ მოინახულა საავადმყოფოში თავისი მეუღლე, რომელმაც რთული ოპერაცია გადაიტანა თირკმელზე; პროფესიული დღესასწაული მიულოცა გაზისა და ნავთობის მრეწველობის მუშაკებს.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროს მეთაურთა შემადგენლობისათვის ვადამდე სპეციალური წოდებების მინიჭების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროს მეთაურთა შემადგენლობას განსაკუთრებული დამსახურებისათვის ვადამდე მიენიჭოს:

პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდება:

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკს **დავით კაჭკაჭიშვილს** — თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამსახურის უფროსს.

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის სპეციალური წოდება:

პოლიციის მაიორს **თამაზ თამაზაშვილს** — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსს;

პოლიციის მაიორს **იური დავითაძეს** — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის უფროსს;

პოლიციის მაიორს **დავით კეკუას** — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ორგანიზებული გამოძალვისა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსს;

პოლიციის მაიორს **თორნიკე საჯაიას** — საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ორგანიზებული გამოძალვისა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროს ინსპექტორს.

პოლიციის მაიორის სპეციალური წოდება:

პოლიციის კაპიტანს **ოთარ ცალანს** — მესტიის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სოფელ ხაიშის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსს.

ე. შევარდნაძე.

შეთანხმება დადასტურებულია

საქართველოსა და თურქმენეთს შორის

საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის 1996 წლის 20 მარტს ხელმოწერილი შეთანხმების ძალაში შესვლის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადასტურდა შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

საქართველოსა და ჩინეთს შორის

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის 1993 წლის 3 ივნისს ხელმოწერილი შეთანხმების ძალაში შესვლის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადასტურებულია შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის საზღვაო ნაოსნობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

საქინფორმი.

ელექტროენერგეტიკულ სექტორში ფინანსური სისტემის რესტრუქტურიზაციის შესახებ

„ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 4 ივლისის ბრძანებულების საფუძველზე ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის ერთიანი პროგრამის ფარგლებში ფინანსური ურთიერთობის გარდაქმნის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ფინანსური სისტემის რესტრუქტურიზაციის სამთავრობო კომისია საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის მირიან მურჯიკნელის თავმჯდომარეობით.

კომისიას დაევალა სექტორის შესაბამის საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად 1996 წლის 1 ოქტომბრამდე განახორციელოს სახელმწიფო კომპანიების „საქენერგოსა“ და „საქენერგოგენერაციის“, მათ სექტორში შემავალი საწარმოებისა და ორგანიზაციების ქონების, დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა ინვენტარიზაცია, დავალიანებათა კლასიფიკაცია დებიტორებისა და კრედიტორების, ასევე ხანდაზმულობის მიხედვით; განსაზღვროს უიმედო დავალიანებები, აგრეთვე დავალიანებათა ის ნაწილი, რომელსაც სახელმწიფო უნდა მოემსახუროს ან ტარიფში უნდა აისახოს; განახორციელოს საწარმოთა ანგარიშების გამიჯვნა, სექტორში კონტრაქტების სისტემის მოწესრიგება და სხვა სამუშაოები.

საქინფორმი.

მკითხველთან პირისპირ

რა გაწუხებთ?

ეს ერთობ გაშიშვლებული კითხვა გაჩნდა თუ არა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და მრავალრიცხოვანმა მკითხველმა შეიტყო, რომ მათ საწუხარ-სატკივარს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრი თენგიზ გაზდელიანი მოისმენდა, მას შემდეგ ტელეფონი არ „დამცხრალა“.

თამაზ ძოწულაძე (სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური სპორტული კლუბის დირექტორის მოადგილე): — ბატონო თენგიზ, როგორც ძველ სპორტსმენს გეკითხებით, როგორ გადაწყდება „შევარდენის“ შემდგომი დაფინანსების საკითხი?

— სამწუხაროდ, თანხები არ არის...

ცირა ნაცვლიშვილი: — მომუშავე პენსიონერს პენსია არ ეძლევა, მაგრამ შემოქმედებით კავშირებს ხომ აქვთ ამის უფლება?

— მხოლოდ და მხოლოდ მომუშავე ომის ინვალიდს ეძლევა ხელფასთან ერთად პენსია. ახალ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება, რომ ყველა მომუშავე პენსიონერმა პენსიაც მიიღოს.

ლევან გიგაშვილი: — წინათ სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში პენსიონერებს უფასოდ უკეთებდნენ პროთეზს, ახლა უარსეუბნებიან. კანონიერია თუ არა?

— ომის ინვალიდებს, მონაწილეებს უფასოდ მკურნალობისა და პროთეზირების უფლება აქვთ. რაც შეეხება სხვა სახის პენსიონერებს, ამ უფლებას ისინი 1997 წელს მოიპოვებენ.

გივი გალდავა (ოფიცერი): — სამხედრო მოსამსახურენი ელექტროტრანსპორტზე უფასო მგზავრობის უფლებით ვსარგებლობთ. მაგრამ როცა უფორმოდ ვართ, მარტო მოწმობის ჩვენება არ ჭრის და ჩვენი უფლებებიც ირღვევა. კანონიერია თუ არა ელექტროტრანსპორტის მუშაკთა მოქმედება?

— მთავარია მოწმობა და არა ფორმა. ვინც არღვევს კანონით მინიჭებულ თქვენს უფლებას, უნდა მიმართოთ შესაბამისი უწყების ხელმძღვანელობას.

ჩხაიძე ეთერი (პენსიონერი პედაგოგი): — პენსია მაქვს 8 ლარი და 50 თეთრი. მეუღლეს არ შესრულებია საპენსიო ასაკი და 3 წელი უმუშევარია. სხვა შემოსავლის წყარო არ გვაქვს. მეკუთვნის თუ არა რაიმე დახმარება?

— 1997 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მიზნობრივი სოციალური (საოჯახო) დახმარება და ამ კატეგორიის შკალაში მოხვდებით. სამწუხაროდ, მანამდე არავითარი დახმარება არ მოგეცემათ.

გოგი ბერუაშვილი, დოდო წიკლაური: — გვყავს სამი შვილი, ერთი წელია ორივე უმუშევრები ვართ. რით დაგვეხმარება სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო?

— სამუშაოს თაობაზე უნდა მიაკითხოთ შრომის ბირჟას, რომელსაც ამჟამად აქვს ვაკანტური ადგილები, რაც შეეხება მატერიალურ დახმარებას, 1997 წლის ბოლომდე სამინისტროს ამის საშუალება არა აქვს, მაგრამ...მობრძანდით ჩემთან, იქნებ სამუშაოც მოგიხერხოთ და დახმარებაც!

ანეტა სიამაშვილი (პერსონალური პენსიონერი): — ვარ მარტოხელა. მეკუთვნის თუ არა ელექტროენერგიისა და კომუნალურ გადასახადში შეღავათი?

— დიდ იმედებს ვამყარებთ 1997 წლის ბიუჯეტზე.

გივი ბურჯანაძე: — დიღმის მასივის II კვარტალის მე-10 კორპუსის პენსიონერებს ორი თვის პენსია არ მიგვიღია.

— ან ბანკი სცოდავს, ან ფოსტა. ხვალვე მივხედავ!

ჟუჟუნა სარალიძე: — 15 წლის იყო ჩემი ბიჭი, აფხაზეთის ომში რომ გამეპარა, იქ დაინვალიდდა, ვახტანგ გორგასლის ორდენით კი დააჯილდოვეს, მაგრამ მამით ობოლს, მარტო ორდენი უშველის. ნუთუ უფასო მკურნალობა მაინც არ ეკუთვნის?

— ჩემთან მობრძანდით!

ჯემალ სირაძე: — რატომ გაიზარდა საპენსიო ასაკი 5 წლით?

— ჩვენს გარდა არსად არ იყო საპენსიო ასაკი ქალისათვის — 55 და მამაკაცისათვის — 60 წელი. გარდა იმისა, რომ პენსიონერთა რიცხვი მცირდება და ბიუჯეტს ტვირთი უმსუბუქდება, მოსახლეობას საშუალება ეძლევა ჯერ კიდევ დაუხარჯავი ენერგია საზოგადოებრივ საქმეს მოახმაროს.

ვანო მჭედლიშვილი: — I ჯგუფის ინვალიდი ვარ, მწოლიარე. 10 ლარი მაქვს პენსია. გადაანგარიშება თუ მოხდება? ან ჰუმანიტარული თუ მეკუთვნის?

— 1997 წლის ბოლოს 12 ლარი გაგიხდებათ. რაც შეეხება ჰუმანიტარულს, სოცუზრუნველყოფის სამინისტროს შეხება არა აქვს ამ სახის დახმარებასთან, ჩვენ მხოლოდ სიებს ვადგენთ, მაგრამ დაგეხმარებით!

წერეთელი-ძამთარაძისა (პედაგოგი): — რუსეთიდან საქართველოში გადმოვედი საცხოვრებლად და ორი ვაჟი ჩამოვიყვანე, ერთ-ერთი ვაჟი ექიმი — უმუშევარია, როგორც მისი რუსი კოლეგები ამბობდნენ, შესანიშნავი სპეციალისტია. სადაც მივაკითხეთ, ყველგან უარით გამოგვისტუმრეს. არ გეწყინოთ, საქართველოში თუ ზურგსუკან დიდი კაცი არა გყავს, სამსახურს ვერ იშოვი.

— თუ „დიდკაცად“ ჩამთვლით და „ზურგსუკან“ მიგულებთ, გამოგზავნეთ თქვენი ვაჟი!

ყველას გამოგვიცდია, როცა ვინმესთან სათხოვარი გვაქვს, ხსნას მის საგვარეულოში ვეძებთ: „თქვენი რა არის?“, „ხომ არ იცნობთ?“ დიახ, ამ ქართული უშუალობით ვცდილობთ მისი გულის მოგებას, მასთან დაახლოებას და სასურველი პასუხის მიღებას.

ჩვენმა სტუმარმა კი პირიქით — ყველა რესპონდენტს „გამოუჩხრიკა“ საერთო მეგობარ-მეზობელ-ნათესავი. ისინიც ამ გულისხმიერებით წაქეზებულნი, მარტო სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების პრობლემებზე კი არა, პრივატიზებისა და ინვესტიციების, აქციებისა და ბიზნესის საკითხებზეც თხოვდნენ კონსულტაციებს. და ისიც გულმოდგინედ ასრულებდა მათ თხოვნას.

ორ საათში მინისტრმა სამინისტროს ყველა სამმართველოს ფუნქცია მაღალპროფესიულ დონეზე შეასრულა. დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი გულდასმით ათვალიერებდა იმ პენსიონერთა და ინვალიდთა, უმუშევართა და მარტოხელათა გრძელ სიას, რომელთაც დახმარება აღუთქვა.

მოსახლეობის სოციალური დაცვის ტვირთი ბიუჯეტს აწევს, ბიუჯეტის შევსების უმთავრესი წყარო კი მოსახლეობაა, რაც სამწუხაროდ, გაჭირვებამ დაგვავიწყა. ჩვენ ბევრნი ვართ, ბიუჯეტი კი ერთია, რომელიც ყველას და ყველაფერს ვერ გასწვდება.

ნანული ბარათაშვილი, ლეილა კოშკაძე.

P.S. რედაქციაში დაგვირეკეს ჟუჟუნა სარალიძემ და მარინა სიდამონიძემ და გვაცნობეს, რომ მინისტრმა მათ პრობლემა მოუგვარა. იმედია, ეს შეხვედრა სხვა მთხოვნელთათვისაც სარგებლიანი აღმოჩნდება.

გილოცავთ ახალ [illegible]

ფრთები, ფრთები გვინდა

დაბრუნების წინათგრძნობა

მამა უეცრად, თითქოს არსაიდან გაჩნდა საღამოს მწუხრში თეთრად მოკიაფე, კირქვით მოკირწყლულ შარაზე. მხრებჩამოყრილი, დაღლილი და გაფითრებული მოდიოდა. ბიჭებს ის ასეთი არასოდეს ენახათ და უეცრად ვერც კი შეიცნეს.

რა გზები, რა საცალფეხო ბილიკები ამოიარა, როგორ ამოაღწია ფეხით სოხუმიდან ღუმურიშამდე? — ახლაც, ოთხი წლის შემდეგ, უკვირთ გიორგისა და ლევანს. ძმებს ხშირად ახსენდებათ ის შეხვედრა უსიერი ტყის პირას. ან რა დაავიწყებთ — თურმე, იმ საღამოს ჩართულა მათი ახალი ცხოვრების წამზომი. ის საღამო ბედნიერ ბავშვობასთან, ყრმობასთან გამოსალმებისა ყოფილა.

ზუხბაიების ოჯახი სოხუმში, ჩოჩუას ქუჩაზე სახლობდა. იმ სახლში დაიბადნენ ჯერ გიორგი, ორი წლის შემდეგ კი — ლევანი. ორივე ქალაქის მე-17 სკოლაში სწავლობდა. ბიჭების დედამ, როცა შვილები წამოიზარდა, ბანკში მუშაობას თავი დაანება და მათ სკოლაში ბიბლიოთეკარად მოეწყო. იქვე ვიქნები, მეთვალყურეობა გამიადვილდებაო. თუმცა, სამეთვალყურეო ბიჭებს არაფერი სჭირდათ — ორივე წარჩინებით სწავლობდა. ორივეს წიგნი უყვარდა. ორივე ზედმიწევნით ზრდილი და თავაზიანი იყო.

ზაფხულის არდადეგებზე მამას ბიჭები გალის რაიონში, სოფელ ღუმურიშში მიჰყავდა თავის ძმასთან. ტყის სიღრმეში მდგარ სახლს დილა-საღამოს უთვალავი ფრთოსნის გალობა ავსებდა, დღისით იდუმალებას ეპყრო ცადაწვდილი ფიჭვის ტევრი.

...იმ ღამეს მამა და ბიძა კარმიხურულ ოთახში გათენებამდე ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ბებია და ბიცოლა ტიროდნენ...

დილით მამამ შვილებს უთხრა, დედათქვენი აბაშაში გველოდება და გზას ადრიანად უნდა გავუდგეთო. ფეხით იარეს სოფელ ჩეგალამდე, იქიდან ნათესავმა კაცმა მამა-შვილები შეუელმფრენით გადაიყვანა აბაშაში. სახეშეშლილი და ატირებული დედა დიდხანს კოცნიდა თავის ბიჭებს. ასე შემოვიდა ომი გიორგი და ლევან ზუხბაიების ცხოვრებაში. ასე დაიწყო მათი ერთწლიანი უსიხარულო მოგზაურობა ქალაქიდან ქალაქში.

აბაშაში მამისთვის ყანა მიეცათ და მოსავლის აღებამდე გიორგი და ლევანი მის გვერდით მუშაობდნენ. მერე ქუთაისში გაემგზავრნენ ნათესავებთან, იქიდან — ფოთში. როცა აფხაზეთში შედარებითი სიმშვიდე ჩამოდგა, გალში მობრუნდნენ. ღუმურიშში გიორგიმ მეცხრე კლასი დაამთავრა, ლევანმა — მეშვიდე. სადაც კი ჩავედით, დედამ ყველგან სკოლაში წაგვიყვანაო, — მითხრა გიორგიმ, — ასე, რომ ზოგან ერთი სემესტრი ვისწავლეთ, ზოგან — ორი, ზოგან ორი თვე... ეს დედაჩემის კრედოა — არც ერთი დღე სკოლის კედლების მიღმა. აფხაზეთში რომ დაზავება გამოცხადდა, ოჯახი სოხუმში მიბრუნდა, მაგრამ სამი დღის შემდეგ ქალაქის დაბომბვა დაიწყო. ისევ აიყარნენ. რაღაც დიდი მანქანა იშოვნეს, სადაც მათთან ერთად მოთავსდნენ ბიძის ოჯახი, ბებია, მეზობლები, მეზობლების ნათესავები, კიდევ ვიღაცეები და მანქანა აუყვა სვანეთის უღელტეხილს, რომელიც რამდენიმე დღეში გოლგოთად იქცა... ღვთის წყალობით, ამათ მშვიდობით ჩამოაღწიეს თბილისამდე. „მაგრამ ის მოგზაურობა არასოდეს დამავიწყდება. საშინელება იყო თვითგადარჩენის წყურვილით შეპყრობილი ადამიანებით პირთამდე გაძეძგილი მანქანა, რომელშიც ადამიანი ადამიანს არ სცნობდა“...

ზუხბაიების ოჯახი ერთხანს დიღმის მასივში ცხოვრობდა, ჩემი ნათესავების მეზობლად. მთელ კორპუსს ახლაც სალაპარაკოდ აქვს ამ ყმაწვილების თავაზიანობა და სიდარბაისლე. გიორგიმ 130-ე სკოლა წარჩინებით დაამთავრა და ახლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტია. ლევანი სკოლას გაისად დაამთავრებს. უფროსი ძმისგან განსხვავებით, მას ტექნიკური დისციპლინები უფრო აინტერესებს. ისიც ბევრს კითხულობს, გატაცებულია ინფორმატიკით, „ეკლექტიკური ბუნების კაცია, — ამბობს გიორგი, — ძალიან მრავალმხრივი ინტერესები აქვს...

— ერთხელ გიორგის ვერაზე წიგნების თაროსთან გადავეყარე. სქელტანიან წიგნს კითხულობდა თავაუღებლივ. გარეკანს თვალი შევავლე და... ნიცშე. ნაცნობმა გამყიდველმა მითხრა, ეგ ყმაწვილი ჩემთან ხშირად მოდისო. ამაზე ადრე, ასე ზეზეურად, რუსი ფილოსოფოსის შრომებს კითხულობდაო.

ჩვენი მეგობრობაც ამ დღიდან დაიწყო. აღმოჩნდა, რომ ჩვენ, ორივეს, მეცხრამეტე საუკუნის ევროპული მწერლობიდან ყველაზე მეტად სტენდალი გვიყვარს, განსაკუთრებით „პარმის სავანე“, რუსული ლიტერატურიდან — ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“. მერე გიორგიმ თავისი ლექსები წამაკითხა. ის ბევრს წერს. რას ეძღვნება მისი პოეზია? — რა თქმა უნდა, უპირველესად, თავის ტკივილნარევ სიყვარულს — აფხაზეთს. სიტყვა „აფხაზეთი“ რამდენადაც მახსოვს, არსად აქვს ნახსენები, მაგრამ იმ ლექსებს სოხუმური დაისის რბილი შუქი აფენია, იქ ოლეანდრებისა და ევკალიპტის სურნელება დაბორიალებს, ღუმურიშის ფრთოსანთა გაბმული გალობა ისმის, იქ... დაბრუნების წინათგრძნობაა.

ნანული ბარათაშვილი.

ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა, ჭრიალ-ჭრიალით, მაგრამ შეუპოვრად გადადის საბაზრო ეკონომიკის რელსებზე. ჯერჯერობით რეფორმატორული სიახლეები ყველაზე ნაკლებად განათლების სისტემას შეეხო. და აი, სასკოლო რეფორმების დაწყების ზარმაც ჩამორეკა, მაგრამ მისმა პირველივე ნაბიჯმა პედაგოგთა მრავალათასიან კოლექტივში შეშფოთება და გაღიზიანება, ხოლო მთელს საზოგადოებრიობაში დიდი მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი გამოიწვია.

პედაგოგთა ატესტაციას მრავალი ოპონენტი გამოუჩნდა. უმთავრესი არგუმენტი: რა დროს ატესტაციაა, პედაგოგები ასეთ გაჭირვებულ დღეში არიან...

სხვათა შორის, ატესტაცია ჩვენი პედაგოგებისათვის მთლად უცხო ხილი არ გახლავთ. ატესტაცია „იმ ფორმაციაშიც“ ტარდებოდა და მას სრულიად კონკრეტული მიზანი ჰქონდა: დაედგინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ესა თუ ის პედაგოგი დაკავებულ თანამდებობას. იმ ატესტაციების „ეფექტიანობის“ საილუსტრაციოდ ორად ორ ციფრს მოვიტანთ: 15 წლის მანძილზე საქართველოში ატესტაცია წარმატებით ვერ გაიარა და ამის გამო სამსახურიდან გაანთავისუფლეს 16 მასწავლებელი. „და ამათგან სამსახურში ალვადგინეთ... 17-ო“, მახსოვს, ხუმრობდნენ განათლების სამინისტროში.

ახლანდელი ატესტაცია ძირეულად განსხვავდება იმ ძველისგან, მისი მიზანი უფრო გლობალურია, სტრატეგიული მიმართულება კი ითვალისწინებს იმას, რომ პედაგოგის ცოდნა და პროფესიული ღირსება სრულად შეესაბამებოდეს მისი ცხოვრების დონეს, მის კეთილდღეობას, დიახ, მთავარი ღირსება ატესტაციისა ის არის, რომ ამიერიდან ჩვენი განათლების სისტემა ღირსეულ, ჭეშმარიტად პროფესიონალ პედაგოგს დააფასებს.

ატესტაცია

მტერი კი არა — მოყვარე

დღეს რედაქციის სტუმრები არიან საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის რექტორი გია მურღულია და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის განყოფილების გამგე ლევან მნათობიშვილი.



გია მურღულია

ლევან მნათობიშვილი

— ბატონო გია, როდის უნდა დაიწყოს პედაგოგთა ატესტაცია?

— ატესტაციის პირველი ეტაპი ჩატარდება 1996 წლის ოქტომბრიდან 1997 წლის თებერვლის ჩათვლით, ხოლო მეორე ეტაპი 1997 წლის მარტის მეორე ნახევრიდან ამავე წლის 15 მაისამდე.

— პირველ და მეორე ეტაპში რას გულისხმობთ?

— ატესტაცია ტარდება ახალი მოდელისა (ე.წ. „რეიტინგული მოდელი“) და დებულების საფუძველზე. მოდელი გვთავაზობს ექვს პარამეტრს (ზუსტად განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით), რომელთა მიხედვითაც შეფასდება პედაგოგის მოღვაწეობა სკოლაში. ამ ექვსიდან ხუთი პარამეტრის მიხედვით თავად სკოლის საატესტაციო ჯგუფი (კომისია) შეაფასებს მასწავლებელს — სწორედ ეს იქნება ატესტაციის პირველი ეტაპი.

მეექვსე პარამეტრი (ჩამონათვალში ის რიგით პირველია) გახლავთ პედაგოგიკის სამეცნიერო ცოდნის დონე ანუ საგნის „ფლობის“ ხარისხი. ამ პარამეტრის მიხედვით მასწავლებელს შეაფასებს შესაბამისი ჯგუფი სპეციალურად ამისთვის შექმნილი საატესტაციო ტესტების საფუძველზე. ეს შემოწმებაც ადგილებზე ჩატარდება (რეგიონების, რაიონების, ქალაქების პრინციპით). აი ეს იქნება ატესტაციის მეორე ეტაპი.

— ვისი გადაწყვეტილებით ტარდება პედაგოგთა ატესტაცია საქართველოში და რა დოკუმენტებია საამისოდ მზად?

— ატესტაცია ტარდება საქართველოს განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით. მომზადებულია, როგორც უკვე მოგახსენეთ, ატესტაციის დებულება, ახალი მოდელი, ატესტაციის ალგორითმი ანუ შესაბამის ღონისძიებათა ჩატარების თანამიმდევრობა და ვადები, აგრეთვე საქართველოს პედაგოგიური კადრების ატესტაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ხუთ წელს მოიცავს და გულისხმობს არა მხოლოდ პედაგოგთა, არამედ სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა, ბაგა-ბაღის თანამშრომელთა და სხვათა ატესტაციას.

— ახლა ატესტაციის მიზნებზე ბრძანეთ.

— მას რამდენიმე სტრატეგიული მიზანი აქვს, რომელთაგან, ჩემი აზრით, უმთავრესს ჩამოვთვლი:

პროფესიონალიზმის დამკვიდრება განათლების სისტემაში და გათანაბრების მანკიერი პრაქტიკის დაძლევა;

პედაგოგთა ობიექტური რანჟირება კატეგორიების მიხედვით;

საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ოპტიმალური შემოტანა განათლების სისტემაში;

კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის თვისებრივად ახალ სიმაღლეზე აყვანა;

პედაგოგთა დაქირავების საკონტრაქტო სისტემაზე გადაყვანის საფუძვლების მომზადება;

განათლების სისტემის საკადრო უზრუნველყოფის ოპტიმიზაცია.

ატესტაციის ჩატარება ხელს შეუწყობს სასწავლო დაწესებულებებში სწავლებისა და აღზრდის ხარისხის ამაღლებასა და ჯანსაღი კონკურენციის დაბადებას.

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ატესტაცია ტარდება მასწავლებლის ღირსებისა და პროფესიული პრესტიჟის ასამაღლებლად, მის დასაფასებლად, პედაგოგის საზოგადოებრივი სტატუსის თვისებრივად ახალ განზომილებაში, ახალ სიმაღლეზე ასაყვანად.

ატესტაცია მასწავლებლის „მეგობარია“ და არა „მტერი“, როგორც ზოგიერთს — სრულიად არაბუნებრივად — წარმოუდგენია.

— სად დამუშავდა თქვენს მიერ ნახსენები ე.წ. „ატესტაციის რეიტინგული მოდელი“ და ვინ არის მისი ავტორი?

— მოდელი დამუშავდა საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტში. ავტორი გახლავთ ბ-ნი ლევან მნათობიშვილი.

— ვინ ამუშავებს საატესტაციო ტესტებს? საერთოდ, რას წარმოადგენს ისინი?

— ტესტების მომზადებას კოორდინირებას უწევს ასევე ჩვენი ინსტიტუტი. ამ საქმეში მონაწილეობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის, პედაგოგიკის ეროვნული ინსტიტუტისა და ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები, აგრეთვე პრაქტიკოსი მასწავლებლები.

— განათლების სფეროში რაიმე სიახლის დანერგვას გარკვეული ფსიქოლოგიური და პროფესიული ბარიერები ეღობება, რაც შეეხება საატესტაციო ტესტებით მასწავლებელთა ცოდნის დონის შემოწმებას, პედაგოგთა დამოკიდებულება მათდამი, სამწუხაროდ, მკვეთრად ნეგატიურია. რა კეთდება საიმისოდ, რომ პედაგოგები მომზადებულნი შეხვდნენ ატესტაციას?

— სწორს ბრძანებთ, ამიტომაც ამ პროცესის წარმართვას დიდი ტაქტი და სიფაქიზე სჭირდება. განათლების სამინისტრო შეეცადა მაქსიმალურად გაეთვალისწინებინა პედაგოგთა ინტერესები. უპირველეს ყოვლისა, მოგახსენებთ, რომ სამინისტროში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი (მინისტრის მოადგილის ბ-ნ დავით ბურჭულაძის ხელმძღვანელობით), რომელიც უხელმძღვანელებს ატესტაციის ჩატარებას.

მეორე: უკვე სექტემბრისათვის გამოიცემა ატესტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (დებულება, მოდელი, შესაბამისი საინსტრუქციო წერილი საატესტაციო კომისიების წევრთათვის).

მესამე: ატესტაციის პირველი ეტაპის დაწყებამდე საქართველოს ყველა რეგიონში ადგილებზე ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩასატარებლად მივლინებული იქნებიან სპეციალისტები. უპასუხოდ არ უნდა დარჩეს არც ერთი კითხვა, რომელიც დაებადება საატესტაციო კომისიის წევრებსა თუ მასწავლებლებს.

მეოთხე: ნაახალწლევს გამოქვეყნდება ყველა საატესტაციო ტესტი და პედაგოგებს შესაძლებლობა ექნებათ, ატესტაციის II ეტაპის (ტესტირების) დაწყებამდე დაახლოებით ორი თვით ადრე, დაიწყონ კონკრეტული მზადება ამ პროფესიული გამოცდის ჩაბარებისათვის. გამოქვეყნდება აგრეთვე შესაბამისი პასუხები, ამოხსნები და სარეკომენდაციო ლიტერატურის სია. ხაზგასმით ვამბობ: ტესტირების მიზანი ვინმეს უცოდინარობაში „გამოჭერა“ კი არ არის (ამგვარი „მიდგომა“ არაბუნებრივი და უკადრისი იქნებოდა), არამედ პედაგოგთა პროფესიული აზრის მაქსიმალური მობილიზება და აქტივაცია.

მეხუთე: — უკვე საშემოდგომოდ, ჩვენი ინსტიტუტი აპირებს გამოსცეს მიზნობრივი კრებულები პედაგოგებისათვის (საგანთა მიხედვით), რომლებშიც შევა: ატესტაციის ჩატარების წესი; ტესტირების ჩატარების წესი; ტესტების შედგენის პრინციპები და ტიპოლოგია; თავად ტესტების ნიმუშები (ინდივიდუალური ვარიანტები) და მათი ამოხსნები, პასუხები.

დაბოლოს, მეექვსე: — ჩვენი ინსტიტუტი თბილისშიც და რაიონებშიც, მსურველთათვის, შესაბამისი დაკვეთის საფუძველზე, ჩაატარებს მიზნობრივ საკონსულტაციო კურსებს ყველა იმ საგნის პედაგოგთათვის, რომელშიც ტარდება ტესტირება.

— ვინ მიანიჭებს მასწავლებელს კატეგორიას?

— განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, კატეგორიის მინიჭების საკითხს წყვეტს რაიონის საატესტაციო კომისია სკოლის საატესტაციო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი შეფასებისა (უკვე ნახსენები ხუთი პარამეტრის მიხედვით) და ტესტირების შედეგების საფუძველზე.

— უკანასკნელ ხანს ჩვენს სკოლებში პედაგოგთა შემცირებას გარკვეული პრობლემები ახლდა. როგორც ცნობილია, შემცირებულ პედაგოგთა სოციალური დაცვის ერთ-ერთი არსებითი მექანიზმი მათი გადამზადება ანუ ახალი (მონათესავე ან მომიჯნავე) პროფესიის დაუფლებაა. წელს თუ ხსნით გადამზადების ჯგუფებს?

— ჩვენ უკვე გამოვაცხადეთ მიღება გადამზადების სპეციალურ ფაკულტეტზე. ვამზადებთ ნებისმიერი საგნის პედაგოგს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში (ზოგიერთი მიმართულებით სწავლების ვადა წელიწადნახევარია).

ძირითადი წინასწარი პირობა — უმაღლესი განათლება. მხოლოდ ამგვარ ცოდნას შეიძლება „დაეშენოს“ გადამზადების ფაკულტეტის პროგრამები. სახელმწიფო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ჩვენი კურსდამთავრებული იღებს მასწავლებლის კვალიფიკაციასა და შესაბამის დიპლომს. მსურველს დღესვე შეუძლია შემოიტანოს განცხადება.

— რა გავლენას მოახდენს ატესტაციის შედეგები პედაგოგთა შრომის ანაზღაურებაზე?

— განათლების სამინისტრომ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია (ამის შესახებ ოფიციალური განცხადებიც გაკეთდა), ყველა შესაბამის უწყებასთან შეათანხმა საკითხი იმის შესახებ, რომ სხვადასხვა (სულ 4 კატეგორიის პედაგოგთა ხელფასებს შორის არსებითი განსხვავება იქნება: — ყოველ მომდევნო კატეგორიის განაკვეთში წინაზე 35 პროცენტით მეტს გადაუხდიან.

— მკითხველისა არ ვიცი, მაგრამ დღევანდელმა ჩვენმა საუბარმა, უფრო ადრე კი ატესტაციის დებულებისა და მოდელის გაცნობამ პირადად მე, დამარწმუნა, რომ მან უეჭველად სიკეთე უნდა მოუტანოს ჩვენი განათლების სისტემას და კონკრეტულად — პედაგოგს.

— იცით, ადამიანში ნიადაგ უნდა იყოს პროფესიული თვითსრულყოფის იმპულსი. ამით ჯერ თვითონ ეს ადამიანი იგებს, შემდეგ ქვეყანა, საზოგადოება. მერე არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვს აქვს უფლება კარგი მასწავლებელი ჰყავდეს, კარგი განათლება მიიღოს. მხოლოდ ამ კონტექსტით შეგვიძლია მასწავლებლის უფლებებზე ლაპარაკი. პედაგოგებისათვის ზედმეტი შეღავათების მინიჭება მხოლოდ ბავშვისა და საქართველოს მომავლის ხარჯზე შეიძლება.

დამერწმუნეთ, ამას ჩვენი პედაგოგებისადმი უდიდესი პატივისცემით ვლაპარაკობ.

— ბატონო ლევან, ატესტაციის რეიტინგული მოდელის ავტორი თქვენ ბრძანდებით. რატომ გახდა საჭირო ახალი მოდელის შექმნა? მასწავლებელთა ატესტაცია ხომ ადრეც ტარდებოდა. რა უპირატესობა აქვს ამ მოდელს იმ ადრე მოქმედთან?

— დიახ, საქართველოში მასწავლებელთა ატესტაცია 1975 წლიდან 1991 წლამდე ტარდებოდა საკავშირო განათლების სამინისტროს დებულებით, რომელიც ეფუძნებოდა არც თუ მართებულ თეზისს საბჭოთა სკოლის სტაბილურობის შესახებ. ამიტომ ატესტაციის მიზანი იყო დაკავებულ თანამდებობასთან მასწავლებლის შესაბამისობის დადგენა, რაც ასახული იყო საატესტაციო შეფასებებში: „შეეფერება დაკავებულ თანამდებობას და იმსახურებს მასწავლებლის წოდებას, ან „არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას“ ა.შ. საკვალიფიკაციო მოთხოვნები იყო ზოგადი, ემსახურებოდა მასწავლებლის საქმიანობის საერთო სურათის აღწერას და შეფასებისას ბევრი რამ (თუ ყველაფერი არა), დამოკიდებული იყო საატესტაციო კომისიის წევრის შეხედულებაზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნების მისეულ ინტერპრეტაციაზე. ერთი სიტყვით, საატესტაციო სისტემა იყო იზოტროპული და სუბიექტური შეფასებისათვის საკმაო საფუძველს ქმნიდა. შედეგებიც შესაბამისი მივიღეთ. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ შეფასება „შეეფერება დაკავებულ თანამდებობას რეკომენდაციის შესრულების პირობით“ — მიეღო მასწავლებელთა 80 პროცენტზე მეტს (სხვადასხვა შრომებში ეს რიცხვი 87-92 პროცენტს შორის მერყეობს) 1975 წელს ასეთი შეფასება მიიღო 12,8 პროცენტმა, მომდევნო წლებში კიდევ უფრო მცირდებოდა და 1990 წლისათვის 4,3 პროცენტს მიაღწია. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა ატესტაციის ახალი მოდელის შექმნის აუცილებლობა. მოკლედ მის შესახებ:

ატესტაციის რეიტინგული მოდელის საშუალებით ხდება მასწავლებლის მრავალმხრივი საქმიანობის დისკრეტული შეფასება ექვსი განსხვავებული მნიშვნელობის მქონე (რისთვისაც მათ მინიჭებული აქვთ ასევე განსხვავებული

ღიმილის დოზა



—შენ კიდევ სკოლაში მიდიხარ?

მხატვარი ვახტანგ კუციავა.

სასწავლო წელს!

გოგონა, რომელსაც მსოფლიო მოქალაქის პასპორტი შვოძეს

მაიამის უნივერსიტეტში ოთხ წელიწადში ერთხელ გამოიყოფა უფასო სწავლების ადგილი. წელს იგი თბილისელმა გოგონამ თამუნა ჭადაშვილმა მოიპოვა. ამ დღეებში თამუნა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

ასეთი რამ უკვე აღარ გვიკვირს, — ევროპისა თუ ამერიკის ქვეყნებში სასწავლებლად ახლა ბევრი მიდის. საზღვარგარეთ გასაგზავნი ქალიშვილები და ვაჟები საგანგებო გამოცდას გადიან და იქ შემთხვევითი ვერავინ მოხვდება, მაგრამ მათ შორისაც არიან გამორჩეულნი.

თამუნა ჭადაშვილმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის მეორე ექსპერიმენტული საშუალო სკოლა. მის მიერ დამუშავებული თემები ქიმიაში, ბიოლოგიაში, ქართულში და ისტორიაში რესპუბლიკურ კონფერენციებზე დიპლომებით აღინიშნა. მიღებული აქვს სიგელები მთელ რიგ საგნებში ოლიმპიადაზე გამარჯვებისათვის, აგრეთვე სიგელი სოროსის ოლიმპიადაზე გამარჯვებისათვის ბიოლოგიის სექციაში. ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შესახებ დამუშავებული თემების კონკურსში გამარჯვებისათვის მან პრიზის სახით მსოფლიოს მოქალაქის პასპორტი დაიმსახურა.

1994-1995 სასწავლო წელს სპეციალური კონკურსით შერჩეული 50 მოსწავლე ამერიკაში გაემგზავრა (პროგრამას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აფინანსებდა). თამუნა განაწილებით ოჰაიოს შტატის ქალაქ ჰამილტონში მოხვდა. წელს მან წარჩინებით დაამთავრა ჰამილტონის უმაღლესი საფეხურის სკოლის მე-12 კლასი, მიიღო სკოლადამთავრებულის დიპლომი და სიგელები ქიმიაში, ბიოლოგიაში, აშშ-ს ისტორიაში, ინგლისურსა და ინფორმატიკაში. ახლა ის სწავლას მაიამის (ქ. ოქსფორდი) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე გააგრძელებს (ეს უნივერსიტეტი ოთხ წელიწადში ერთხელ გამოყოფს ერთ უფასო ადგილს. თუ ვინ მოიპოვებს ამ ადგილს, კონკურსის წესით განსაზღვრავს მაღალკვალიფიციური კომისია).

თამუნამ მიწვევები მიიღო აშშ-ს, სხვა ისეთი პრესტიჟულ უმაღლესი სასწავლებლიდანაც, როგორიცაა ცინცინატის (ოჰაიოს შტატი), ვალპარაიზოს (ინდიანა), კამბერლენდის (კენტუკი), კაროლინის სანაპირო (სამხრეთ კაროლინა), ქერთიჯის (ვისკონსინი) უნივერსიტეტები.

კამბერლენდისა და ვალპარაიზოს უნივერსიტეტებიდან თამუნა ჭადაშვილს აკადემიური ჯილდოები გაუგზავნეს.

თამუნა კმაყოფილია, მაგრამ ამას მაინცდამაინც არ გამოხატავს, თითქოს რაც მოხდა, ასეც უნდა მომხდარიყო. სიხარულს უფრო ბებია-ბაბუა და მშობლები ვერ მალავენ.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „რეგალიები", თამუნა რომ ფლობს, ადვილი მოსაპოვებელი არ არის. თავად გოგონას კი მიაჩნია, რომ ყველა გამარჯვება უდიდესი შრომისა და მისი მასწავლებლების ღვაწლის შედეგია, განსაკუთრებით ბიოლოგიის მასწავლებელს, ქალბატონ თინა გამყრელიძეს ემადლიერება, რომელსაც, თურმე, დიდი წვლილი მიუძღვის თამუნას, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბებაში, ასევე — პროფესიული გზის არჩევაში.

აქ აღარ მოვიტან ტექსტს მაიამის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ თამუნასათვის გამოგზავნილი წერილიდან, რომელშიც მილოცვასთან ერთად გოგონას ქებით მოიხსენიებენ.

ბელა დურგლიშვილი.

ეფიციენტები), საატესტაციო პარამერის მიხედვით. შემუშავებულია საკვალიკაციო მოთხოვნები თითოეული პარატრისათვის და შესაბამისი კონკრეტუი შეფასებები. შედეგად მივიღეთ შეფაბის სპექტრი საკვალიფიკაციო კატეების შესაბამისი რეიტინგული შუაედებით. მაგალითად, თუ ატესტაციის ედეგად მასწავლებელმა 147-239 ქულა იღო, მას მიეკუთვნება მესამე კატეგოია, 240-300 -მეორე კატეგორია, 301-346 პირველი კატეგორია და 347-378 — უმაესი კატეგორია. სათანადოდ განსხვაბულია ხელფასიც. მაგალითად, თუ მემე კატეგორიის მასწავლებლის ხელფასი 1 ერთეული, მაშინ მეორე კატეგორიის მასწავლებლისათვის ის იქნება 1,4 , პირველი კატეგორიის მასწავლებლისათვის 1,9 და უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლისათვის — 2,5. ამრიგად, ატესტაის შედეგად სრულიად ნათელი გახდე არა მარტო ის, თუ ვინ არის, ვთქვათ, ორე კატეგორიის მასწავლებელი, არაიც ისიც, თუ როგორია მისი ცოდნის დოსაგანში, პროფესიული ოსტატობა და ა, რაც არსებითად შეუწყობს ხელს პეაგოგიური კადრების სწორ შერჩევასა და აწილებას, განსაზღვრავს მასწავლელის კვალიფიკაციის ამაღლების კონკრეულ მიმართულებას და სხვა.

— არის თუ არა თქვენს მოდელში ეთი მექანიზმი, რომელიც ატესტაის ჩატარებისას გამორიცხავს ყოლგვარ მიკერძოებას და უზრუნველფს ჭეშმარიტ ობიექტურობას?

— უკვე მოგახსენეთ, რომ თითოეული ტესტაციო პარამეტრის კონკრეტული ფასებისათვის მოცემულია სანიმუშო საალიფიკაციო მოთხოვნა. ამასთან, განსხვებული პარამეტრების საკვალიფიკაციო მოთხოვნები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული. შეიძლება ქვას, რომ რომელიმე შეფასების საფუანობა მოწმდება სხვა შეფასებებით. სიტყვით, მასწავლებელს შეაფასებს პიროვნება, არამედ, არსებითად, საატაციო მოდელი. ეს, მინდა ვირწმუნო, მარისი გარანტიაა ობიექტურობისა.

არის სხვა მექანიზმებიც, განსაკუთრე, სამეცნიერო ცოდნის დონის შეფასეს, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ნაადრევად ვება.

ამასთან, უნდა დავძინო, რომ ატესტაის დაწყებამდე სამ სკოლაში მაინც ჩარდება რეიტინგული მოდელის აპრობაია და, პარალელურად, რესპუბლიკური საატესტაციო ჯგუფი განმარტებითი მუშაობისათვის შეხვდება ყველა რაიონის ათლების დაწესებულების ხელმძღვანებს, პედაგოგებს.

— როგორ შემოწმდება მასწავლებლის ცოდნის დონე?

— მასწავლებელთა ცოდნის დონე საში შემოწმდება ტესტირებით, 1997 ის მარტის შუა რიცხვებიდან. სულ მომდება 25.000-მდე ტესტი 17 სასწავლო გნში ქართულ და რუსულ ენებზე.

უნდა გავიმეორო: ყველა ტესტი, სწოპასუხის მითითებითა და, ხშირ შემთხვში, ამოხსნებით გამოიცემა და 2 თვით მიეწოდება მასწავლებელს. ტესტირება ჩატარდება ადგილებზე (რაიონის ან იონის ცენტრში); მისი შედეგები დამუშავდება კომპიუტერის საშუალებით და ოპერატიულად მიეწოდება სასკოლო საატესტაციო კომისიებს.

ტესტებში, როგორც წესი, მხოლოდ პროგრამული მასალაა გამოყენებული. იშვიათად — არაპროგრამულიც, თუ მისი ცოდნა აუცილებელია პროგრამული მასალის ღრმად შესწავლისათვის. ტესტები სირთულის (ცნებათა, სიმარტივის) მიხედვით ოთხი დონისაა და საშუალებას იძლევა დადგინდეს მასწავლებლის ცოდნა როგორც ინფორმაციულ, ისე ანალიზურ დონეზე.

რეიტინგულმა მოდელმა პროგნოზის გაკეთების საშუალება მოგვცა. თეორიულად „საშუალო სტატისტიკური" მასწავლებლის რეიტინგი 200-ის ფარგლებშია. ჩავატარეთ ექსპერიმენტი: საგნების მასწავლებლები გავყავით ორ ჯგუფად — ერთს შევთავაზეთ ტესტირებაში მონაწილეობა ტესტების ნიმუშების გაცნობის გარეშე, მეორე ჯგუფს კი — გაცნობის შემდეგ. აღმოჩნდა, რომ I ჯგუფის ტესტირების შედეგი, საშუალოდ, 30 ქულით მეტი იყო II ჯგუფის შედეგზე. ამრიგად, ტესტირების გამოქვეყნება და გაცნობა „საშუალო სტატისტიკური" მასწავლებლის რეიტინგს 30-40 ქულით გაზრდის...

— როგორც თქვენ უკვე ბრძანეთ, საატესტაციო ტესტების გასაცნობად მასწავლებლებს 2-3 თვე ეძლევათ. ალბათ, ისინი ამ დროის მაქსიმალურად გამოიყენებენ და ტესტირებისათვის სათანადოდ მოემზადებიან. ეს კი მათ საკვალიფიკაციო კატეგორიასა და, შესაბამისად, ხელფასშიც აისახება, ხომ მართალია?

— რა თქმა უნდა.

ესაუბრა
ანული ბარათაშვილი.

დავიბრუნეთ ძველი სახელი - თბილისის კლასიკური გიმნაზია

როცა რუსთაველის პროსპექტზე ოქროსფრად მოელვარე, გასული საუკუნის არქიტექტურული სტილით ნაგებ შენობას შეხედავთ, უნებურად ამაღლებული განწყობილება დაგეუფლებათ, რომელიც შიგნით შესულთ კიდევ უფრო გაგიღრმავებდათ. თეთრად მოელვარე მაღალი მარმარილოს სვეტებითა და მარმარილოსავე კიბეებით დამშვენებული ცოდნის ტაძარი და სიმყუდროვე — ჯერჯერობით, პირველ სექტემბრამდე.

თბილისის ორსაუკუნოვანი სასწავლებლის — კლასიკური გიმნაზიის ოცდამეათე დირექტორი ლია შეწირული ოცდამეოთხე წელიწადია ამ სკოლას ხელმძღვანელობს.

— რით ცხოვრობს და ცოცხლობს დღეს ეს სკოლა? არა მარტო დიდებული წარსულით, — მას აქვს დღევანდელობა და ძალიან დიდი მომავალი! სკოლის ისტორიისა და მისი ტრადიციების პატივსაცემად, ჩვენ მას დავუბრუნეთ არა მარტო კლასიკური გიმნაზიის სახელი, არამედ შინაარსიც. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა უკვე კლასიკური გიმნაზიის პროგრამით იმუშავებს, ჰუმანიტარული მიმართულებით — საუნივერსიტეტოთი, კლასიკური გიმნაზია თანამედროვე სახეს და შინაარსსაც განათლების რეფორმის სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნათა გათვალისწინებით მიიღებს, გიმნაზიის დებულება ქალაქის განათლების სამმართველოსთან ერთად შევიმუშავეთ და სულ მალე განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად წარვუდგენთ.

ამ დებულების თანახმად, თავისი არსებობის პირველ ეტაპზე კლასიკური გიმნაზია სამ საფეხურს მოიცავს.

სკოლაში პირველ საფეხურზე მიღება ექვსი წლის ასაკიდან, ტესტირების (გასაუბრების) საფუძველზე მოხდება. წლეულს, იმის გამო, რომ ძალიან დიდი იყო პირველ კლასებში მომსვლელთა რაოდენობა — 600-მდე განცხადება შემოვიდა — სკოლამ უარი თქვა პირველკლასელთა მიღებაზე. გაისად გასაუბრების საფუძველზე, კონკურსის შედეგად, მეორე კლასებში გვექნება მიღება. ვფიქრობ, სკოლამ უპირველესად თავის მიკრორაიონში მცხოვრები მოსწავლეები უნდა მიიღოს. და, ასევე, იგი უნდა დარჩეს თაობათა სკოლად. ამას, ალბათ, განათლების სამინისტრო და ქალაქის განათლების სამმართველოც დაგვიკანონებენ.

გიმნაზიის მეორე საფეხურზე ჩაირიცხებიან ის ბავშვები, რომლებიც წარმატებით დაამთავრებენ ელემენტარულ სკოლას და გამოცდებს ჩააბარებენ პროგიმნაზიაში. აუცილებლად გვექნება კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები.

გიმნაზიის მესამე საფეხურზე (X-XII კლასები) სწავლება ფასიანი იქნება. წლეულს გადასახადი მხოლოდ მეათე კლასში იქნება. გიმნაზიის მოსწავლეს არა აქვს უფლება განმეორებით გაიაროს კურსი, ანუ დარჩეს მეორე წელიწადს. თუ მან კურსი დიფერენცირებული სწავლების დროს აირჩია, კიდევაც უნდა დაძლიოს იგი, თუ არა — გაირიცხება.

სკოლის უმაღლეს მმართველ ორგანოს გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს, ხოლო საბჭოს სხდომებს შორის — გიმნაზიის დარბაზი.

ჩვენს ფინანსურ სახსრებზეც მოგახსენებთ. ეს გახლავთ როგორც საბიუჯეტო ასიგნებანი, ისე მოსწავლეთა გადასახადი და შემოწირულობანი. აქ შევა არასტანდარტული საგნების შემოსავლიდან მიღებული თანხაც (ეს სწავლება ხომ ფასიანია). გიმნაზია ისარგებლებს საბანკო კრედიტით. მას უფლება ექნება სახელმწიფოსაგან მიიღოს მოკლევადიანი კრედიტი, პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად განსაზღვროს შრომის ანაზღაურების ფარგლები, დააყენოს პედაგოგთა პერსონალის ან სკოლის სხვა მუშაკთა პრემირების საკითხი: კლასიკური გიმნაზია არის იურიდიული პირი, მას აქვს თავისი ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და ასევე სულ მალე ექნება თავისი ჰიმნი. წლეულს ყველა გიმნაზიელს ექნება ფორმა, მათი ესკიზები უკვე შედგენილია.

რაც შეეხება პედაგოგთა ატესტაციას, მიმაჩნია, რომ ატესტაცია აუცილებელი და მეტად საჭიროა. იგი ერთადერთი საშუალებაა, იხსნას დღევანდელი სკოლა და ხელი შეუწყოს სასწავლებელში მაღალი პროფესიონალიზმის დამკვიდრებას. ატესტაცია ემსახურება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მათი პროფესიული დონის დახვეწას. ოღონდ ატესტაცია უნდა გაიმართოს კანონიერად, სამართლიანად, ადამიანური მიდგომით და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ანგარიშსწორება.

ახლა მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა 18 საათამდე გაიზარდა. ეს ღონისძიებაც მისასალმებელია და მასში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. მაგრამ შეუფერებელი პედაგოგის სკოლიდან გაშვების პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში იდგა ჩვენს წინაშე და ვერასოდეს ვერ ვწყვეტდით, ახლა უშუალოდ დირექტორმა უნდა გადაჭრას. მადლობა ღმერთს, ჩვენთან ეს პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ მოგვარდა: პედაგოგებმა გაუგეს ერთმანეთს და ჩვენგან 14 მასწავლებელი წავიდა. მაგრამ რა ქნან იმ სკოლის დირექტორებმა, რომლებსაც ეს მტკივნეული საკითხი ჯერაც გადასაწყვეტი აქვთ?

ქალბატონმა ლიამ მიამბო, რომ გიმნაზიას აქვს საერთაშორისო კავშირები. უფლება აქვს დამოუკიდებლად შეარჩიოს საზღვარგარეთ გასაგზავნი მოსწავლეები და მასწავლებლები (ოღონდ პასუხს აგებს მათი მომზადების ხარისხზე), ასევე — მიიღოს უცხოელი მოსწავლეები.

სკოლაში შეისწავლება: რუსული, ინგლისური, სპარსული, გერმანული ენები. წლეულს შემოიღებენ ლათინურსა და ძველბერძნულს.

ესაუბრა
ლარისა ხუზულური.

ჯერ სტატისტიკა. ჯანდაცვის მსოფლიოს ორგანიზაციის მონაცემებით, დღეისათვის ნარკომანია მსოფლიოში შიდსის ინფექციის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი რისკ-ფაქტორია.

ნარკომანები, ინფექციით დაავადების საშიშროებით, მეორე ადგილზე არიან ჰომოსექსუალების შემდეგ. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა როგორც ამერიკის, ისე ევროპის, განსაკუთრებით, მისი სამხრეთ ნაწილის მაგალითით, სადაც ნარკომანთა უმეტესი ნაწილი შიდსით ინფიცირებულია: მაგალითად, იტალიაში — 65 პროცენტი, ესპანეთში — 64, საფრანგეთში — 21, მსოფლიოს ზოგ რეგიონში ინფიცირებულია ნარკომანთა 80 პროცენტიც კი (ჰონკონგი).

თვალი გადავავლოთ ზრდის დინამიკას: თუ დასავლეთის ქვეყნებში 1984 წელს ინფიცირებულთა საერთო რიცხვიდან ნარკომანი იყო 6,6 პროცენტი, ეს რიცხვი 1986 წელს — 20 პროცენტამდე გაიზარდა, 1988 წელს — 34-მდე, ხოლო 1992 წელს — 38 პროცენტს მიაღწია.

ბოლო წლების მონაცემებით, შიდსით ინფიცირებულ ქალებში 55 პროცენტი ნარკომანია, 30 — ჰეტეროსექსუალი; მამაკაცებში — 51 პროცენტი ნარკომანი, 6 — ჰეტეროსექსუალი, 30 — ჰომო და ბისექსუალი. შიდსით ინფიცირებულ ბავშვთა 40 პროცენტის დედები ნარკომანები არიან.

1996 წლის 1 აგვისტოსათვის საქართველოში რეგისტრირებულია 23 შიდსით ინფიცირებული. რეგისტრირებულ ინფიცირებულთაგან 6 უცხოელია, დანარჩენი 17 — საქართველოს მოქალაქე. ამ 17-დან შიდსის დიაგნოზი დაუდგინდა 9 პაციენტს, რომელთაგან 5 უკვე გარდაიცვალა.

სავარაუდოა, რომ დღეს საქართველოში შიდსით ინფიცირებულთა რიცხვი გაცილებით მეტია, დაახლოებით 600-700-ს აღწევს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა პროგნოზით, თუ სასწრაფოდ არ მიიღებენ რადიკალურ ზომებს, ჩვენში 2010 წლისთვის შიდსით ინფიცირებულთა რიცხვი რამდენიმე ასეული ათასი იქნება.

ამგვარად, უახლოეს მომავალში საქართველოში მოსალოდნელია შიდსის აფეთქება. შიდსი მოედება მოსახლეობის ყველა ფენას, მაგრამ მისი სწრაფი ტემპით გავრცელება მოსალოდნელია, უპირველეს ყოვლისა, ნარკომანთა შორის.

ჩვენში უკვე დღეს ინტენსიურად მატულობს შიდსის შემთხვევები ნარკომანთა შორის. დღეისათვის რეგისტრირებული იმ 17 ინფიცირებული საქართველოს მოქალაქიდან 7 ნარკომანია (ინტრავენური), ე.ი. საერთო რაოდენობის 41 პროცენტი. ბოლო პერიოდში დაავადებულთაგან ყველა ნარკომანია და ყოველი მათგანი დაავადდა უკრაინაში, სადაც ამჟამად უკვე არის შიდსის ეპიდემია (უკრაინაში ინფიცირებულთა რიცხვი 1996 წლის ბოლო 5 თვის მანძილზე ერთბაშად გაიზარდა 1500-დან 6000-მდე). დამაფიქრებელია ინფიცირების ტემპის ზრდა პოლონეთში, რუსეთში, თურქეთში, ბელორუსიაში...

ნარკომანია

„მეგობრობის შპრიცები"

„ცისფერებმა" მჩხირავებს ჭკუით აჯობეს

პრეზიდენტის ბრძანებულებით ეროვნული უშიშროების საბჭოსთან შექმნილი ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო კომისიის ამას წინათ გამართული პირველი სხდომის შემდეგ, ჯანდაცვის სამინისტროს შიდსის ცენტრის დირექტორის მოადგილეს ცისანა შარტავას ვკითხე, რა იწვევს ნარკომანებში შიდსის ინფექციის გავრეცელებას-მეთქი.

— ნარკომანები რთული სოციალური კატეგორიაა, ისინი უფრო მეტად დეკლასირებული პირები არიან. მათ შორის ბევრია დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელი და ძნელად ემორჩილებიან, ასე ვთქვათ, საგანმანათლებლო მუშაობას. ნარკომანებში ხშირია საერთო შპრიცითა და ნემსით, ე.წ. „მეგობრობის შპრიცით" სარგებლობა. გამოყენებულ შპრიცსა და ნემსში ყოველთვის არის სისხლის მცირე ნარჩენი, ზოგჯერ იმდენად მცირე, რომ შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს. ასეთი შპრიცისა და ნემსის გამოყენებით ინფექცია სხვებზეც ვრცელდება: ვირუსი ორგანიზმის გარეთ მალე იღუპება, მაგრამ გამოყენებულ შპრიცსა და ნემსში ერთ კვირამდე ძლებს.

წარსულში მთელი ძალისხმევა გადატანილი იყო ჰომოსექსუალთა შორის შიდსის პროფილაქტიკაზე. საგანმანათლებლო მუშაობაც, ძირითადად, ამ მიმართულებით წარმოებდა. ნარკომანები, როგორც ინფექციაზე რისკის ჯგუფი, უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ და „ჩრდილში იდგნენ". და აი, ისე მოხდა, რომ დღეისათვის მსოფლიოში აღინიშნება ჰომოსექსუალთა ინფიცირების ახალი შემთხვევების კლების მკვეთრი ტენდენცია, ნარკომანთა შორის კი, პირიქით — მკვეთრი მატება.

— რატომ უნდა ველოდოთ საქართველოში მაინცდამაინც ნარკომანთა შორის შიდსის სწრაფი ტემპით გავრცელებას?

— საქართველოში ნარკომანია ბოლო წლებში გასცდა „ელიტურ" ფენას და მოსახლეობაში ფართოდ გავრცელდა, რასაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელი შეუწყო ქვეყანაში პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და საომარმა მოქმედებებმა. ნარკოლოგიური სამსახურის ინფორმაციით, ამჟამად საქართველოში პროცენტულად მეტი ნარკომანი და ნარკოტიკის მომხმარებელია, ვიდრე ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში. საქართველო აქტიურად ჩაება ნარკობიზნესში, როგორც გასაღების ბაზარი და როგორც ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანა. მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, რესპუბლიკაში არის ერთჯერადი შპრიცების, ნემსების და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტების, სასტერილიზაციო აპარატურისა და სადეზინფექციო საშუალებების მწვავე დეფიციტი. მათ ნაკლებობას სამედიცინო დაწესებულებებიც კი განიცდიან (1995 წელს გვჭირდებოდა 2 მილიონი შპრიცი და 18 მილიონი პრეზერვატივი). „სამამულო" ნარკომანთა შორის სანიტარული კულტურის დონე გაცილებით დაბალია მოწინავე ქვეყნებთან შედარებით, რადგან მათ შორის ნაკლებია საგანმანათლებლო მუშაობა.

— როგორ ვებრძოლოთ ნარკომანთა შორის შიდსის გავრცელებას, რას გვიკარნახებს მსოფლიო გამოცდილება?

— არსებობს ორი შესაძლებლობა: ტოტალიტარული, ანუ იძულებითი და ლიბერალური, რომელიც ნარკომანიის ლეგალიზაციას მოითხოვს.

ნარკომანთა შორის ინფიცირებასთან ბრძოლის კონცეფცია სამედიცინო სამსახურის ზოგადი კონცეფციიდან გამომდინარეობს, რომელიც მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში იძულებით, გარკვეულწილად დისკრიმინაციულ ღონისძიებებს ემყარებოდა.

1993 წელს საქართველო შეუერთდა რიგის დეკლარაციას, რომლის საფუძველზეც მთლიანად შეიცვალა რესპუბლიკის სამედიცინო სამსახურის კონცეფცია, რომელსაც ამჟამად საფუძვლად უდევს ცივილიზებულ ქვეყნებში მიღებული პრიორიტეტები და მთლიანად შეესაბამება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გლობალური სტრატეგიის ძირითად პრინციპებს.

მიგვაჩნია, რომ ნარკომანთა შორის ინფიცირებასთან ბრძოლა უნდა ეფუძნებოდეს მოსახლეობასთან ნდობის ფაქტორზე დამყარებულ ურთიერთთანამშრომლობასა და საგანმანათლებლო მუშაობას. ამ კუთხით ევროპის ქვეყნებში ტარდება შემდეგი სახის პროფილაქტიკური ღონისძიებები: ნარკომანებისათვის ერთჯერადი შპრიცების უფასოდ გაცვლა ნახმარზე, სადეზინფექციო საშუალებების უფასოდ დარიგება, საინფორმაციო მასალებით მომარაგება ნარკოტიკების მიღების უსაფრთხო ფორმებისა და უსაფრთხო სექსის შესახებ; სამედიცინო მომსახურების პროგრამების შემუშავება და განხორციელება, ნარკომანებთან მომუშავე სოციალურ მუშაკთა ჯგუფების მომზადება, ნარკომანთა კონსულტაციები და ჩანაცვლებითი თერაპია (მეტადონით მკურნალობა).

ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ბევრ ნარკომანს ასეთი პროგრამები რეალურად ეხმარება. არის შემთხვევები, როცა ისინი ქცევას იცვლიან და გადადიან უსაფრთხო ნარკომანიაზე, ზოგ შემთხვევაში ჯგუფურადაც კი ანებებენ თავს მავნე ჩვევას. ცნობილი ფაქტია, რომ ასეთი პროგრამების განხორციელების შედეგად გლაზგოსა (შოტლანდია) და სიდნეიში (ავსტრალია) ინფიცირებულ ნარკომანთა რაოდენობა 5 პროცენტამდე შემცირდა.

1994 წლიდან საქართველოში შიდსის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური მუშაობა შიდსთან ბრძოლისა და პროფილაქტიკის ეროვნული პროგრამით ხორციელდება. პროგრამაში სერიოზული ადგილი უკავია ე.წ. მიზნობრივ ჯგუფებთან (ნარკომანები, მეძავები, ჰომოსექსუალები, ვენდაავადებულები, სისხლის დონორები, მოგზაურები, ახალგაზრდობა და სხვა.) სპეციფიკური მუშაობის საკითხებს.

პროგრამისათვის გამოყოფილი თანხის 78 პროცენტი განკუთვნილია პროფილაქტიკური საქმიანობისა და ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობისათვის. სახსრების გარკვეული ნაწილი ხმარდება ნარკომანებისა და სხვა მაღალი რისკის ჯგუფების შიდსის ინფექციაზე კვლევას (მათ შორის, ანონიმურად), მაგრამ შიდსზე გამოკვლეულ ნარკომანთა რიცხვი უმნიშვნელოა. მათი კვლევა გართულებულია, რადგან ისინი სოციალურად უფრო რთულ ჯგუფს წარმოადგენენ და ძნელად ემორჩილებიან სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობას. დასავლეთის მოწინავე ქვეყნების სპეციალისტთა გამოცდილებით ამ პრობლემის მოგვარების ეფექტიან გზად ნარკომანიის ლეგალიზაციაა მიჩნეული...

იქნება თუ არა ნარკომანია ლეგალიზებული, ან, საერთოდ, საჭიროა თუ არა „დასავლეთის მოწინავე ქვეყნების სპეციალისტთა გამოცდილებისამებრ" ნარკომანიის ლეგალიზება, ამაზე, დაე, იმ სახელმწიფო კომისიამ იმსჯელოს, რომელიც საქართველოში ნარკომანიის გავრცელებისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად შეიქმნა. აქ მხოლოდ იმას დავამატებ, რომ კომისიამ მიიღო წინადადება: „მეგობრობის შპრიცთან" ბრძოლა შეუღვერის შიდსსა და ვენერიულ სნეულებებთან ბრძოლას, რადგან სამივე ეს ბოროტება დღეს ერთი ჰიდრის სამი შხამიანი თავია.

ალეკო ასლანიშვილი.

სასამართლო რეფორმის წინ

ერთიანი საგამოძიებო სამსახური უნდა შეიქმნას

ამას წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა პროფესორ აპოლონ ფალიაშვილის საპოლემიკო წერილი „საგამოძიებო სამსახური ცალკე უნდა არსებობდეს".

საქმე ეხება მოსაზრებას ქვეყანაში ერთიანი საგამოძიებო აპარატის შექმნაზე. საკითხი მეტად აქტუალური და საჭირბოროტოა. ბუნებრივია, მომხრეებიც ეყოლება და მოწინააღმდეგენიც. წინასწარ შემიძლია ვთქვა: ამ დიდ საქმეს უეჭველად მიემხრობა რიგით იურისტთა მთელი არმია, საწინააღმდეგო მოსაზრებისა კი იქნებიან დღევანდელი სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები. მიზეზი ის არის, რომ არავის უნდა საკომანდო არეალი შეუმცირდეს, განსაკუთრებით ისეთი, როგორიცაა სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიება.

საერთოდ, უწყებათა ხელმძღვანელებს მხოლოდ ის უნდათ, რომ სასამართლო რეფორმით რაღაც იპოვნონ და არაფერი დაკარგონ. მათ გასაგონად მინდა ვთქვა, დაკარგვით არაფერს დავკარგავთ და კანონის უზენაესობისაკენ მიმავალ გზას კი დავადგებით.

თითქმის ოთხ ათეულ წელს ითვლის სამართალდამცავ ორგანოებში ჩემი მუშაობის პრაქტიკა. აქედან 20 წელი გამოძიებაში დავყავი. კარგად მახსოვს, ეს საკითხი მუდამ იდგა დღის წესრიგში. ცნობილი მეცნიერ-იურისტები და პრაქტიკოსები ყოფილი სსრკ-ის დროსაც უტრიალებდნენ თემას, მაგრამ იგი საკითხის დაყენების ფარგლებს არასდროს გასცილებია. ერთადერთი, რაც შესაძლებელი გახდა, ეს იყო 1963 წელს საგამოკვლევო აპარატის საგამოძიებოდ გარდაქმნა. სწორედ მაშინ შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროში საგამოძიებო სამმართველო, რომლის პირველი უფროსი გახლდათ ცნობილი პრაქტიკოსი იურისტი გიორგი სოგორაშვილი. რეფორმა შემდგომში ადგილიდან არ დაძრულა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმავე სამინისტროს სისტემაში ვითომც დამოუკიდებელი, საგამოძიებო დეპარტამენტის შექმნას.

ახალი კონსტიტუციის მიღებამ, მისმა დებულებებმა კვლავ დააყენა დღის წესრიგში დამოუკიდებელი საგამოძიებო აპარატის შექმნის აუცილებლობა, რომელიც სასამართლო რეფორმის აუცილებელი ნაწილი უნდა იყოს. მართალია, ამის შესახებ კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის მითითებული, მაგრამ ხელისუფლების განაწილების პრინციპების გააზრება ამის უშუალო მაუწყებელი უნდა იყოს. იძულებული ვარ გავიმეორო, რომ კონსტიტუცია აღიარებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, უცნაურია ის, რომ პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების ატრიბუტია (მუხ. 91), ხოლო ისე, როგორც სხვა სამინისტროები, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტრო შედის აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მაშასადამე, წინასწარი გამოძიება ტარდება როგორც აღმასრულებელი, ისე სასამართლო ხელისუფლების ეგიდით, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მეხუთე მუხლის მე-4 პუნქტს. აქედან გამომდინარეობს კონსტიტუციის არაპირდაპირი მითითება, რომ ქვეყანას, რომელიც ევროპისა და ამერიკის დემოკრატიულ გზაზე აპირებს გასვლას, ასეთი საკითხები მოწესრიგებული უნდა ჰქონდეს. ჩემი აზრით, ერთიანი დამოუკიდებელი საგამოძიებო აპარატი უნდა თავსდებოდეს სასამართლო ხელისუფლების ჩარჩოებში და აღარ იქნება ის აღრევა, რასაც ახლა ვაწყდებით. ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია პრაქტიკოსი იურისტებისათვის. ყოველდღიურად ვაწყდებით ერთიანი საგამოძიებო აპარატის არარსებობის მავნე შედეგებს: უამრავი ასეთი ფაქტის მოტანა შემიძლია, მაგრამ ერთს ვიტყვი:

ამჟამად ვიცავ აფხაზეთის სპეცდანიშნულების რაზმის უფროსის ვიცე-პოლკოვნიკ დ. შენგელიას ინტერესებს. საქმეს იძიებდა ჯერ ზუგდიდის პროკურატურა, შემდეგ საგამოძიებო დეპარტამენტის ადგილობრივი გამომძიებელი, შს სამინისტროს ორი სხვადასხვა გამომძიებელი. გადაწყვიტეს საქმე გამოეძია რესპუბლიკის პროკურატურას. პროკურატურამ საქმე არ მიიღო და გადაუგზავნა სამეგრელოს სამხარეო პროკურატურას. იქ ჯერ მიიღეს, ხოლო რაღაც მოსაზრებით კვლავ რესპუბლიკის პროკურატურაში გადმოაგზავნეს. პროკურატურამ ბევრი ჭიდილის შემდეგ საქმე კვლავ საგამოძიებო დეპარტამენტს გადაუგზავნა, რომელმაც როგორც იქნა დაამთავრა გამოძიება. ე. ი. ეს საქმე ჰქონდა 6 სხვადასხვა გამომძიებელს. ამასობაში იწურებოდა 9 თვის პატიმრობის ვადა და გამოძიება დააჩქარეს, მტკიცებები სუსტია და ბრალდებები — დაუდასტურებელი. განა ეს მოსათმენია? ამ დროს ვერ დაიცავ

პოლემიკა

საპროცესო მოთხოვნებს. ასეთი საქმეების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ახლა პროკურატურა მისტირის პატიმრობის 9 თვიან საკონსტიტუციო ვადას. ამას წინათ წავიკითხე საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის ბატონ რევაზ ყიფიანის მოხსენება მთავრობის 1996 წლის 19 ივლისის გაფართოებულ თათბირზე. მიუხედავად მისდამი დიდი პატივისცემისა, ვერ დავეთანხმები კონსტიტუციის მისეულ რევიზიის ცდას. 9 -თვიანი ვადა ცოტააო, მოჰყავს მაგალითი, როცა პატიმარს 9 -თვის ვადა გაუდის, რა ვქნათ, ვადის გასვლის გამო გავათავისუფლოთო? არა, ბატონებო, ამის პასუხი საპროცესო კოდექსშია!

ვფიქრობ, უმჯობესია პროკურატურის ხელმძღვანელობა მხარში ამოუდგეს კანონის პროექტს სახელმწიფო საგამოძიებო ბიუროს შესახებ და როცა ერთიანი საგამოძიებო აპარატი გვექნება, არავითარი ვადებიც არ დაირღვევა. თუ საქმე რთული და შრომატევადია, მას საგამოძიებო ჯგუფი იოლად დაძლევს, არც საქმის წალმა-უკუღმა ტრიალი იქნება. რატომღაც ვფიქრობ, საგამოძიებო აპარატის დამოუკიდებლად შექმნის პირველი მოწინააღმდეგენი პროკურატურის ხელმძღვანელები იქნებიან. გარკვეული ფუნქციების ჩამოშორებამ ასე გაანაწყენა ისინი და ახლა გამოძიებას დათმობენ? იმაზე კი არ ფიქრობენ, რომ საქმისათვის ასეა უმჯობესი. უნდა დავძლიოთ ამბიციურობა, მოვერიოთ, ვაჯობოთ საკუთარ თავს, ზოგჯერ სასურველს საჭირო უნდა ვარჩიოთ.

ბატონმა პროფესორმა, თავის წერილში ნათლად ჩამოაყალიბა ის პრიორიტეტები, რაც დამოუკიდებელ საგამოძიებო აპარატს ექნება. უნდა დავეთანხმოთ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო პროცესუალისტს, სწორედ იგია ამ საქმეში ავტორიტეტი.

აბა, წარმოვიდგინოთ შენობა, სადაც მხოლოდ საგამოძიებო აპარატი იქნება, შეიძლება იქვე ადვოკატების ოთახებიც მოეწყოს, აქ იქნებიან კრიმინალისტები, ფოტოგრაფები, ვიდეო და აუდიო აპარატის სპეციალისტები და ა.შ. პირადად მე ასე წარმომიდგენია საგამოძიებო აპარატი. განა ასე უმჯობესი არ იქნება სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობა, ასე უფრო არ ამაღლდება მათი გახსნის კოეფიციენტი?

განსაკუთრებით მივესალმები გამომძიებლის თანაშემწეთა ინსტიტუტის შემოღებას, რაც აუცილებელია. წმინდა პრაქტიკულ სამუშაოს ისინი შეასრულებენ, ხოლო ბრალდებულთან მუშაობას თვით გამომძიებელი გაუძღვება.

არ მიმაჩნია, რომ ოპერატიულსამძებრო აპარატის შექმნა საგამოძიებო სამსახურთან ერთად, როგორც ეს ყაზახეთს გაუკეთებია, საჭირო და აუცილებელი იყოს. საგამოძიებო სამსახურში მხოლოდ გამომძიებლები! მაშინ უფრო რეალური იქნება ადამიანის უფლებების დაცვა. რომელი ჰკუათმყოფელი გამომძიებელი შეეცდება ბრალდებულის ფიზიკურ შეურაცხყოფას ჩვენებების გამოსაძალად? ვის რად უნდა ჩვენება, რომელიც სასამართლოში არ დადასტურდება. ამიტომ, გამომძიებელი უფრო მეტს იზრუნებს თავის თანაშემწეებთან ერთად ობიექტური მტკიცებულებათა შეგროვებისათვის.

ერთიანი საგამოძიებო აპარატის არსებობა სავსებით შეესაბამება ხელისუფლების განაწილების კონსტიტუციურ პრინციპებს. მისი დადებითი შედეგები, ალბათ, არ დააყოვნებს და ეს ცხადი იქნება, როგორც იურისტთა კორპუსის, ისე საზოგადოებისათვის. უდაოდ გაუმჯობესდება გამოძიების ხარისხი, გამომძიებელს საშუალება ექნება საქმედ აქციოს დანაშაულის ობიექტური, სრული და საყოველთაო გამოძიების ცნობილი საპროცესო პრინციპი, უფრო აუცილებელი გახდება მეცნიერული ცოდნის გამოყენება, რეალურად გაიმიჯნება ოპერატიული და საგამოძიებო ფუნქციები, სახელმწიფოს არ გაუჭირდება მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, დაფინანსება. წინააღმდეგ შემთხვევაში რაოდენ პარადოქსულია, როცა სხვადასხვა უწყების გამომძიებლებს სხვადასხვა ანაზღაურება აქვთ.

ვიტყვი იმასაც, რომ სამივე უწყების ხელმძღვანელი დაინტერესებულია თავის განკარგულებაში ჰყავდეს საგამოძიებო სამსახური, ვინაიდან ამ აპარატში დამთავრებული საქმეებით ფასდება მათი ოპერატიული მუშაობა. აქედან გამომდინარე, გამოძიება მუდამ იმყოფებოდა ამ უწყებების ხელმძღვანელთა წნეხის ქვეშ. ისინი ყოველდღიურ კონტროლს უწევენ თავიანთ საგამოძიებო აპარატს. აქედან გამომდინარე თითქოს დამოუკიდებელი საგამოძიებო დეპარტამენტის შექმნა შსს-ში მაინც ფიქციაა და არა რეალობა.

ამგვარად, საგამოძიებო სამსახური თავისი პროცესუალური პრინციპებით სასამართლო ხელისუფლებას განეკუთვნება და მისი ადგილიც იქაა!

ცოტა რამ დასახელების შესახებ. არ მომწონს „სახელმწიფო საგამოძიებო ბიურო". უცხო ენათა ლექსიკონში „ბიურო" განმარტებულია, როგორც ხელმძღვანელი არჩევითი ორგანო, ასევე, როგორც კანტორა, ვთქვათ ცნობათა ბიურო. აჯობებდა საგამოძიებო ეროვნული დეპარტამენტი ან კომიტეტი. ბიუროებმა მოჭამეს დრო.

და ბოლოს: ერთიანი საგამოძიებო სისტემა, ვფიქრობ, უსათუოდ უნდა შეიქმნას. ამაში კი ყველაზე დიდ იმედს საქართველოს პრეზიდენტზე ბატონ ედუარდ შევარდნაძესა და პარლამენტზე ვამყარებთ. მათ კარგად ესმით სასამართლო რეფორმის, მათ შორის წინასწარი გამოძიების რეორგანიზაციის აუცილებლობა.

ოთარ ბერიშვილი,
საქართველოს ადვოკატთა კოლეგიისა და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

„წყალობა არ იზომება“

ელიას მთა. აქ, წმიდა სამების საკათედრო ტაძარი შენდება. პრობლემები ბევრია. თავი და თავი კი მაინც უსახსრობაა. მოსახლეობა ცდილობს წვლილი შეიტანოს საუკუნის მშენებლობაში. შემოწირულებისათვის განკუთვნილ ყულაბას ყოველდღე ემატება თანხა. დღეისათვის ოქროს ნივთები, 224812 ლარი და 42416 დოლარი და 15 სტერლინგია შემოწირული. თუ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, შემოწირულება ცოტა არ არის, თუმცა ეს თანხა ასეთი გრანდიოზული მშენებლობისათვის ზღვაში წვეთია.

... „წყალობა არ იზომება“, — შეგვახსენებენ ფონდის მესვეურნი, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ დაწყებული საქმის გასაგრძელებლად. მშენებლობას დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს პრეზიდენტი; ტაძრის აგება უშუალოდ მისი განკარგულებით დაიწყო და ამ მხარდაჭერას განსაკუთრებით აფასებენ მშენებლები. კათოლიკოსი ლოცვა-კურთხევას არ აკლებს საქმეს და გამოინახა კიდეც საშუალება და გაგრძელდა ტაძრის საძირკვლის დაბეტონება. ღვთის წყალობით, გამოჩნდნენ ქველმოქმედები, რომლებიც სამშენებლო მასალით ნივთიერ დახმარებას უწევენ მშენებლობას;

ქრისტეს შობის 2000 წლის იუბილესათვის სამების ტაძრის მშენებლობა დასრულდება, ამ ფრაზას კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებენ ჭეშმარიტი მორწმუნენი; რა ვუყოთ, პრობლემების წარმოჩენისას ჩასაფრებული ოპონენტები თუ ამბობენ, რა დროს ტაძრის მშენებლობაა, ახლა ამისი დრო არ არისო; ვიდრე საძირკველი გაიჭრებოდა, საქართველოს პატრიარქმა ბრძანა: დიდ ღვთიურ საქმეს ბევრი წინააღმდეგობა ახლავს, მაგრამ მაინც იმარჯვებსო. ამის მაგალითი სამების ტაძრის მშენებლობაზე ხშირად გვხვდება. საქმე მხოლოდ ოპონენტებში როდია, ხან ტრანსპორტი, ხან საწვავი, ხანაც ბეტონი აბრკოლებს მშენებლობას, მაგრამ ღვთის შეწევნით, მაინც ყველა პრობლემას ავვარებენ...

მალე დიდი ტაძრის საძირკვლიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ხის ეკლესიის საძირკველი გაიჭრება. სახელოსნოში ბატონი არჩილ მინდიაშვილის თაოსნობით უკვე დასრულდა პროექტის დამუშავება. ხის ეკლესიის მასშტაბები დიდ ტაძართან შედარებით ბევრად მცირეა — ფართობი დაახლოებით 90 კვადრატული მეტრი, სიმაღლე კი 6 მეტრი იქნება. მშენებლობა სულ 94 ათასი ლარი დაჯდება.

ამ ეკლესიისათვის საშენ ხის მასალას ხარაგაულის რაიონი ამზადებს. უკვე გამოგზავნეს რამდენიმე მანქანა წაბლის ფიცარი, ბოლო დროს კი, ღვთიურ საქმეს ჩასაფრებულმა ეშმაკმა, ეტყობა, მათაც შეუშალეს ხელი; თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ხარაგაულელები თავის სიტყვას მაინც შეასრულებენ და მალე ელიას მთას ხის მომცრო ეკლესია დაამშვენებს და ის შანდლები, რომლებიც სახელდახელოდ არის ჩადგმული დედო ტაძრის საძირკველში, ხის ლამაზ საყდარში გადაინაცვლებს. ხალხს, კი რომელიც თითქმის ყოველდღე აკითხავს ელიას მთას, მალე ექნება ლამაზი სამლოცველო, სადაც დედო ტაძრის მშენებლობის დასრულებისათვის ილოცებს.

გუშინაც ვინახულეთ მშენებლობა, მშენებლებს მორიგი უჯრის დაბეტონება უკვე დაემთავრებინათ და ტენის შესანარჩუნებლად ნახერხს აყრიდნენ. გალობით მოვიდნენ მანდილოსნები — ილოცეს და ტაძრის საძირკველში სანთლები დაანთეს. ერთ-ერთმა მათგანმა პატარა ლოცვა გადმოგვცა, სამ ივნისს, „სამებობას“ დავწერეო — „გმადლობთ შენ ყოვლადწმიდაო სამებაო, მამაო, ძეო და წმიდაო სულო, რათა ღირსგვყავ დღევანდელსა ამას დღესა, ვმდგარიყავით ფუძესა შენსა და გვეგალობა ყოვლადწმიდისა, უძველესისა და ყოვლისმხილველის სამების, ერთარსებისა და განუყოფელის სავედრებელი, სადიდებელი და სამადლობელი საგალობელი. ნუ მოუშლი ჭირნახულ ქართველ ერს შენს განუზომელ წყალობას. ამინ!“

ტაძრის მშენებლობას შეეწირნენ:

კალე ქუთათელაძის სახელობის საშენ მასალათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი — 50 ლარი;
კონცერნი „საქავტოგზა“— 5000 ლარი
მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სახაზინო სამსახური — 5 ლარი 48 თეთრი;
მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შს სამმართველო — 50 ლარი;
თეიმურაზ ქართია — 100 ლარი;
ბაღდადის რაიონის ფერსათის საკრებულო — 23 ლარი;
გულნაზ აბესაძე — 1 ლარი;
მარინა ყიფშიძე — 9 ლარი 70 თეთრი;
ლაგოდეხის სკოლა-ლიცეუმის მერვე კლასის მოსწავლეები — 9 ლარი;
დუშეთის სოფლის მეურნეობის სამმართველო — 20 ლარი;
ქლიბაძე — 53 ლარი 60 თეთრი;
თეონა, დათო, ირინა, შოთიკო, სოფიკო, სალომე, გიორგი სვანიძეები — 28 ლარი;
დუშეთის აგრობანკის თანამშრომლები — 53 ლარი;
შპს ფირმა „ქაჩი“ — 200 ლარი;
გიორგი პლატონის ძე ბურდული — 10 ლარი;
პლატონ სიმონის ძე ბურდული — 10 ლარი;
ანა კრავცოვა-ბურდული — 10 ლარი;
თამარ ბეგლარის ასული ბურდული — 10 ლარი;
ანუკი გიორგის ასული ბურდული — 5 ლარი;
მარიამ გიორგის ასული ბურდული — 5 ლარი;
რესპუბლიკის პროკურატურა — 1020 ლარი;
ვაჟა გოგუა — 10 დოლარი;
საზღვაო კონვეციური ინსპექცია — 8 ლარი;
სენაკის აგრობანკი — 40 ლარი;
შპს „ინაკო“ — 5000 ლარი;
მცხეთა-მთიანეთის რწმუნებულის აპარატის თანამშრომლები — 32 ლარი;
დუშეთის საგზაო სამმართველო — 20 ლარი;

პირველად საქართველოში

მიმდინარე წლის 3-6 სექტემბერს, 11.00-დან 18.00 საათამდე თბილისის საგამოფენო ცენტრის ტერიტორიაზე ა. წერეთლის გამზირი № 118 სს „გამოფენების ცენტრი“ (Expo-Georgia) და გერმანული ფირმა Primus Balticum მართავს ამერიკის, გერმანიის, საფრანგეთის, ისრაელის, შვეიცარიის, ბალტიისპირეთის სახელმწიფოების, იაპონიისა და სხვა ქვეყნების წამყვანი ფირმების სამედიცინო ტექნიკის, სტომატოლოგიური და ფარმაცევტული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვას. (*სულ მონაწილეობას მიიღებს 16 ქვეყნის 46 ფირმა*).

გამოფენის მიმდინარეობის დროს ჩატარდება კონფერენციები, სიმპოზიუმები და სემინარები ენდოსკოპისტებისათვის, ფარმაცევტებისა და სხვა სპეციალობის ექიმებისათვის.

4 სექტემბერს 13.00 საათზე, გამოფენის ტერიტორიაზე ფირმა „უნიდენტი“ აწყობს კონფერენცია-სემინარს სტომატოლოგიაში. „უნიდენტის“ მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 126. ტელეფონი 96-71-26. ფაქსი: 95-27-89.

სს „გამოფენების ცენტრი“
Primus Balticum
Messegesellschaft.
Waldstrasse 56-58
D-84056
Röllenburglh
Tel:
+49/8781/9402-0
Fax:
149/8781/9402-40
თბილისი, წერეთლის გამზირი 118.
95/32/997439
Fax:
00995/32/958306

გახსენება

მარიკა ქიტიაშვილი

ჩვენს მრავალთასიან კოლექტივში შემოცქრიალდი ახალგაზრდა, ლამაზი, მშვენიერი... ჩვენს თვალწინ დაამთავრე უნივერსიტეტი. კარგი სპეციალისტი, შენი თანამშრომლების უბადლო მეგობარი, სათნო და კეთილი მრჩეველი იყავი. ჩვენს თვალწინ დაქალდი, სპეტაკი, მოყვარული მეუღლე, ლამაზი ქალ-ვაჟის შეუდარებელი დედა გახდი.

ლამაზად ჩამოიმარცვლა წლები, უკურნებელი სენი ჩაგსაფრებოდა, თურმე... ექვსი წელიწადი ებრძოდი... თურმე, ამაოდ...

ბევრი განუხორციელებელი ოცნება დაგრჩა, მარიკა, როგორც დედას და მეუღლეს, სპეციალისტს, მოქალაქეს. სიცოცხლე და სილამაზე მოიტანე ჩვენთან თხუთმეტი წლის წინათ... ახლა კი ნაღვლიანი წახვედი, სევდა დაგვიტოვე, ცრემლი გვადინე, ალალი და უსაყვედურო...

ძნელია იმის გაფიქრებაც კი, რომ სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ კოლექტივში აღარა ხარ... ჩვენს ხსოვნაში მუდამ ცოცხალი იქნება, მარიკა — ლამაზი, სათნო, მშვენიერი...

სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“ კოლექტივი.

შალვა ლიპარტელიანი



უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ არის შალვა — საყვარელი მეუღლე, მოსიყვარულე მამა და პაპა, ყველასათვის ძვირფასი ადამიანი. მთელი შენი შეგნებული ცხოვრება, შესანიშნავმა დასტაქარმა, რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას მოახმარე. ამიტომ იყო მწარე შენთან გამოთხოვება.

გვჯერა, შენი სული დაივანებს ზეციურ საქართველოში, რჩეულ ქართველ განსვენებულთა შორის.

ოჯახი და ახლობლები.

ბინები, აგარაკები

იყიდება ოთხოთახიანი ბინა დიდ დიღომში მე-4 მ/რ 9 სართულიანი სახლის მე-8 სართულზე, გარემონტებული. ფასი 6500 დოლარი. დარეკეთ 95-30-47, თინა.

იყიდება აგარაკი იაფად სოფელ გლდანის თავზე, კარგი რემონტით, ხეხილის ეზოთი, ეზოში აუზია. ბინას აქვს სარდაფი, გარაჟი, საუნა. საწყისი ფასი 15 000 ლარი, 95-30-47 ან 34-26-13. რომანი.

იყიდება ოროთახიანი ბინა 8 სართულიანი სახლის მე-7 სართულზე, სამტრედიის ქუჩა № 15-ში. საწყისი ფასი 18 000 ლარი, 34-62-28.

იყიდება ვაკეში, რაზმაძის ქუჩის დასაწყისში, ორსართულიანი, კაპიტალური სახლის ნახევარი, პირველ სართულზე ორი ოთახი, მე-2 -ზე 4 ოთახი, სახლი სარემონტო და სარეკონსტრუქციოა. აქვს ხეხილიანი, საკუთარი ეზო. სარდაფი, და მანქანის გასაჩერებელი ადგილი. 22-26-66.

სასწრაფოდ იყიდება ერთ სადარბაზოში ორი ბინა, 1-ლი ჩეხური პროექტის გარემონტებული, ოთხოთახიანი, მე-3 სართულზეა. დიდუბის ეკლესიის პირდაპირ. ოთახები 36-13-12-9 კვ.მ. სამზარეულო-სასადილო 5/10, სარდაფი 15 კვ.მ. გარემონტებული, სათავსო რკინის კარებითა და კარადებით, 12 კვ.მ. აივანი კარადებით. ტელეფონით, გარაჟით, ავეჯის ნაწილით, (საძინებელი, წიგნების კარადა, სამზარეულო). ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-72-36 ან 35-24-10.

იყიდება დიდუბის ეკლესიის პირდაპირ ჩეხური პროექტის ოთახნახევრიანი ბინა, შემოერთებული ფართოებებით. საერთო ფართობი 80 კვ.მ. მიმდინარეობს რემონტი — გადაკეთება სამ ოთახად 26-14-3 კვ.მ. ფართობი — 9 კვ.მ. ლოჯი, სამზარეულო 8 კვ.მ. აქვს პატარა სათავსო, მანქანის დასაყენებელი ადგილი. სარემონტო მასალების ნაწილით. ტელეფონით. საწყისი ფასი 27 720 ლარი. ტელ: 34-72-36; 35-24-10.

იყიდება ატენის ქუჩაზე მშენებარე სახლი 240 კვ.მ. მე-4 სართული. 22-54-42, ზურა.

იყიდება საგარაკო სახლი, პრივატიზებული, 7X7, სინათლით, წყლით, 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით. ფასი შეთანხმებით, 22-54-42.

ვყიდი ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას მცხეთაში, (არმაზის დასახლება) 5 სართულიანი სახლის მე-3 სართულზე, აივნითა და კეთილმოწყობილი სარდაფით. ძალიან ხელსაყრელ და მისაწვდომ ფასად. დარეკეთ თბილისში — 51-50-30, გივი ჭუმიძე.

ვყიდი 2-ოთახიან ბინას მეტრო „ისანთან“, საწყისი ფასი 8000 დოლარი და 3-ოთახიან ბინას თემქის მე-3 მიკრორაიონში 8000 დოლარად.ტელ: 96-34-31, 95-09-86.

ვაქირავებ მხოლოდ ერთ გოგონასათვის, ოროთახიან, ლოჯიან ბინას 47 კვ. მ. ბინა მაღალჭერიანია, გარემონტებულია, საკუთარი ლოჯით, III სართული, მეზობელთან საერთო სველი წერტილებით. მისამართი: მთაწმინდის რ-ნი, ყიფიანის 7, ტელ: 99-09-49, ნაზიკო.

ვყიდი ერთოთახიან ბინას ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-4 კვ. მე-II კორპ. მე-2 სართული. აქვს ტელეფონი, ოთახი იყიდება ავეჯით, ფასი შეთანხმებით. 39-05-95.

იყიდება ოთხოთახიანი და ერთოთახიანი ბინები მე-16 და მე-17 სართულებზე. ოთხოთახიანი ბინის ფართია 110 კვ. მ. ყველა ოთახი იზოლირებულია, აქვს ორი სველი წერტილი, ორი აივანი, აბაზანა, ტუალეტები და სამზარეულო მოპირკეთებულია კაფელით. სამზარეულოს ფართია 12 კვ. მ., საშრობი 6 კვ. მ., სარდაფი 6 კვ. მ., ბინას აქვს ჩაშენებული კარადები, კაპიტალური ავტოფარეხი. საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. ერთი ოთახი ბინის თავზეა, ფართი 40 კვ. მ., ჭერის სიმაღლე 5 მ., შესაძლებელია შიდა კიბის გაკეთება. მუდმივად მუშაობს 4 ლიფტი. ბინა გადაჰყურებს ქალაქ მზიურს. საწყისი ფასი 35000 დოლარი. 36-11-66, საღამოს, 93-89-53 დღისით.

იყიდება ერთოთახიანი ტიპიური პროექტის სუფთა ბინა, საბურთალოზე, გამსახურდიას პრ. 14 ბ. მე-4 სართული, გრძელი აივნით, ტელეფონით, მეტრო „პოლიტექნიკურის“ გვერდით, საწყისი ფასი 13000 დოლარი, 38-52-07.

იყიდება სასწრაფოდ მუხიანის დასახლებიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით კაპიტალური სახლი, ოთხოთახიანი, საცხოვრებელი ფართით 50 კვ. მ., ოთხი სარდაფით 600 კვ. მ. ეზოთი, ხეხილის ბაღით, ეზოში არის წყალი, ფასი შეთანხმებით. მისამართი. მუხიანი, დუმბაძის ქ. 3.

იყიდება სამოთახიანი ბინა ლოჯით. ვაჟა-ფშაველას IV კვარტ. III სართული, II სად. საწყისი ფასი 20000 დოლარი, ჭერის სიმაღლე 260 სმ. ტელ: 30-32-54, 99-05-31, კოტე.

იყიდება ფალიაშვილის ქუჩაზე რიგისა და არაყიშვილის ქუჩებს შორის ოთხოთახიანი ბინა ლოჯით. ოთახები 25X25, 18X16 მ 2, ლოჯი 40 მ2, მაღალი ბელეტაჟით, გარაჟითა და სამი სარდაფით, ფასი 60000 დოლარი. ტელ: 22-29-18, სოსო, 98-57-50 ეკა.

ვაქირავებ მეტრო „ვარკეთილთან“ ახლოს 9-სართულიან სახლში ოროთახიან იზოლირებულ ბინას მე-9 სართულზე ავეჯის ნაწილით. მეტრო „ვარკეთილიდან“ № 8 სამარშუტო ტაქსის ერთი გაჩერება. სინათლე და წყალი სისტემატიურადაა, გრაფიკის მიხედვით, ფასი 55 დოლარი, მიმართეთ ვარკეთილის მე-4 მ/რ, მე-2 რიგი, მე-12 კორპ. ბინა 49.(საღამოს საათებში) 99-53-25 ან 99-62-57, სამუშაო საათებში, (კობა).

იყიდება ოროთახიანი ბინა ჩაიკოვსკის ქ. № 3 (მეტრო „თავისუფლების მოედანთან“), 42 კვ. მ. ფართი, ეზოდან შესასვლელი, I-ლი სართული, 99-06-40, მარინე (ფასი შეთანხმებით).

ვყიდი საბურთალოზე, სასტუმრო „აჭარის“ გვერდით, 5-სართულიანი სახლის მე-2 სართულზე, იზოლირებულ არატიპიურ ერთოთახიან ბინას ლოჯით. საერთო ფართი 45 კვ. მ. ფასი 14000 დოლარი. ტელ: 98-90-55.

ვაქირავებ ოთახნახევრიან, იზოლირებულ ბინას, რკინის კარებით, მცირე ავეჯით, 16-სართულიანი სახლის მე-12 სართულზე დიდ დიღომში, ფასი 70 ლარი. ტელ: 51-53-29 ან 38-64-69.

სხვადასხვა

იყიდება ღვინის კერძო ქარხანა სოფელ კაჭრეთში, ცნობისათვის დარეკეთ: 30-45-85, მიშა ბურჯანაძე.

იყიდება კოკა-კოლას მაგიდები სკამებითა და ქოლგებით.
95-92-57 ან 39-45-54, ირაკლი.

მცენარეული საკვები პრეპარატების გამოყენებით, გთავაზობთ წონაში დაკლებას შიმშილის განცდისა და დიეტის გარეშე. წონის მომატებას ორგანიზმის გაწმენდას მარილებისა და მავნე ნარჩენებისაგან. ნევროზისა და სტრესებისაგან განთავისუფლებას 95-92-57 ან 39-45-54.

იყიდება ბენზინზე მომუშავე ხერხი „მპ 5 ურალი 2 ტ“ (დრუჟბა), ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-09-88, მზია.

ავტომანქანები



იყიდება სასწრაფოდ ბენზინმზიდი „ზილ-130“, სრული ტევადობაა 6200 ლიტრი. გამართული მანქანაა. საწყისი ფასი 2700 დოლარი. დარეკეთ 34-36-29. ნოდარი ან გურამი.

იყიდება სამგზავრო ავტომანქანა „ერაზი“ 17-ადგილიანი, გამოშვებულია 1991 წელს. საწყისი ფასია 1400 დოლარი. ტელ: 34-36-29. ნოდარი ან გურამი.

იყიდება ვაზ — 21011 ჟიგულის მარკის ავტომანქანა 1975 წლის გამოშვება, თეთრი ფერის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 71-52-96, იკითხეთ სერგო.

იყიდება თეთრი ფერის ავტომანქანა „ვაზ — 21-011“, 1975 წლის გამოშვება. მანქანა მუშა მდგომარეობაშია. ფასი 1200 ლარი. ტელ. 71-52-96.

ვყიდი სამშენებლო აგურს ლენინგრადის წარმოების მოსაპირკეთებელი გვერდით 20 000 ცალის ოდენობით. არმატურა მესამე კლასის 22-25 მმ. ერთი ტონა. ფასები შეთანხმებით, იკითხეთ იუზა ტ. 36-70-88

ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, გაქირავების შესახებ განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა დაგვირეკეთ:
ტელ. 99-73-24.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სამარცხვინო გარიგება

20 მილიარდი მანეთის სხვადასხვა სამხედრო აღჭურვილობა დაუტოვა ჩეჩენ „ბოევიკებს“ შინაგანი ჯარის ქვეგანაყოფმა, რომელიც გაერთიანებული შტაბების მთავარი სამმართველოს შენობას იცავდა და ოთხშაბათ ღამეს დატოვა ობიექტი.

შენობაში იყო დიდძალი იმპორტული ორგტექნიკა, მობილური და თანამგზავრული კავშირის სისტემები, კომპიუტერები, აგრეთვე სპეციალური სამხედრო აპარატურა, ტყვია-წამლისა და სამხედრო ქონების უდიდესი მარაგი. სამხედროების თქმით, მთავარი სამმართველოს შენობა წარმოადგენს ნამდვილ ციხე-სიმაგრეს, რომლის აღება პრაქტიკულად შეუძლებელია მძიმე არტილერიისა და ავიაციის გამოუყენებლად. ამჟამად მიმდინარეობს იმ მიზეზების გამოძიება, თუ რატომ მიატოვეს სამხედრო მოსამსახურეებმა თვითნებურად ობიექტი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ბულატ ოკუჯავამ მოიკეთა

სასიხარულო ცნობა მოგვივიდა მოსკოვიდან: ბულატ ოკუჯავა, რომელიც სკლიფოსოვსკის ინსტიტუტის კარდიო-რეანიმაციის განყოფილებაში იწვა, უკვე გადაუყვანიათ „ჩვეულებრივ“ ავადმყოფთა პალატაში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, და უკვე მნახველებსაც იღებს.

ბანდიტი მართლმსაჯულებას ვერ დაემალება

როგორც ცნობილია, სახელოვან რუს მოცურავეს ალექსანდრე პოპოვს, ამ რამდენიმე დღის წინათ დანით მძიმე ჭრილობები მიაყენეს. მთავარი დამნაშავე ჯერჯერობით იძებნება, დანარჩენი ორი ეჭვმიტანილი კი უკვე დაკავებულია. ესენი არიან ნახჭევნისა და ევლახის აზერბაიჯანელი მცხოვრებნი. საზამთროს მესამე გამყიდველის ვინაობა, რომელმაც უშუალოდ გაუყარა დანა ოლიმპიურ ჩემპიონს, უკვე დადგენილია და სამართალდამცველი ორგანოები იღებენ ზომებს მის დასაკავებლად.

ჟურნალისტის მკვლელებს სიკვდილი მიესაჯათ

ტაჯიკეთის უზენაესმა სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა აბდუნაბი ბრონოვსა და ნურალი იანოლოვს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ტაჯიკი ჟურნალისტისა და პარლამენტის წევრის ზაინიდინ მუხიდინოვის მკვლელობაში. ჟურნალისტის მოკვლა თავდაპირველად დააბრალეს ტაჯიკეთის ოპოზიციას, რომელმაც ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს, მაგრამ მკვლელები ყოფილან ნახევრად სამხედრო სახალხო ფრონტის წევრები, რომელიც ტაჯიკეთის სამოქალაქო ომის დროს ჩამოყალიბდა, და რომლის დახმარებითაც გახელისუფლდა ნეოკომუნისტური მთავრობა 1992 წელს.

პერმში ახალი ჩიკატილო დაძრწის

ცნობილმა ასტროლოგმა პაველ გლობამ პერმში ყოფნისას იწინასწარმეტყველა: „ამ ქალაქში მანიაკი გამოჩნდებაო...“ კაცმა არ იცის, როგორ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ პერმში მართლაც გამოჩნდა მანიაკი. იგი მხოლოდ ქალებს ხოცავს, ჩაქუჩით ან პატარა ნაჯახით.

პირველად მანიაკ მკვლელზე ქალაქში ჯერ კიდევ აპრილში ალაპარაკდნენ. გავიდა ორი თვე და უკვე ათზე მეტი ქალი აღმოჩნდა მოკლული. შემდეგ თითქოს ხალხმა შვებით ამოისუნთქა, მკვლელობების სერია შეწყდა, მაგრამ აი, ერთი კვირის წინათ კვლავ იპოვეს მსხვერპლის— 22 წლის ახალგაზრდა ქალის გვამი. მილიციის მუშაკებმა უკვე ბევრი ეჭვმიტანილი დააკავეს, მაგრამ მანიაკის კვალს ჯერჯერობით ვერ მიაგნეს.

ნაციონალისტები პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ

რუმინეთის ეროვნული ერთობის პარტიის ლიდერმა გიორგი ფუნარმა 27 აგვისტოს პრეზიდენტ იონ ილიესკუს მოუწოდა გადადგეს იმის გამო, რომ მან მხარი დაუჭირა უნგრეთთან ხელშეკრულებას.

ფუნარის თქმით, ილიესკუმ დაარღვია კონსტიტუცია, როდესაც ევროპის საბჭოს რეკომენდაციით დათანხმდა ხელშეკრულებაში ეთნიკურ უმცირესობათა მუხლის შეტანას. მან აგრეთვე ბრალად დასდო ილიესკუს, რომ იგი „საფრთხეს უქმნის რუმინელთა მომავალს, ეროვნული ერთობის სახელმწიფოსა და მის ტერიტორიულ მთლიანობას“. ფუნარმა ხელშეკრულებას უწოდა „საიდუმლო აქტი და ეროვნული ღალატის აქტი“.

ხორციელდება ადამიანთა სელექციური შეჯვარების პროგრამა

ჩინეთი „მოსახლეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით“ იწყებს სელექციური შეჯვარების პროგრამის განხორციელებას, წერს „ტაიმსი“. სახელმწიფო საბჭოს მიერ მოწონებული გეგმის მიხედვით ქვეყნის აღმოსავლეთის ქალაქების შეძლებულ განათლებულ ოჯახებს ყოველნაირად შეუწყობენ ხელს იყოლიონ მეტი შვილები, მაშინ, როდესაც შობადობა ღარიბ ოჯახებში, აგრეთვე ეროვნულ უმცირესობებს შორის შეიზღუდება.

ასეთი პროგრამები ჩინეთში წინათაც არსებობდა და მათ აკრიტიკებდა საერთაშორისო გაერთიანება უმაღლესი რასის შექმნის ნაცისტურ პოლიტიკასთან მსგავსებისათვის.

დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება

საქინფორმის ლონდონელი კორესპონდენტი ვიაჩესლავ ქათამაძე გვაუწყებს: დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა გააკეთა მკაცრი განცხადება ერაყელთა ჯგუფის მისამართით, რომლებმაც სუდანის ავიაკომპანიის თვითმფრინავი გაიტაცეს და იგი ინგლისის სტანსტედის აეროდრომზე დასვეს. თუმცა, გამტაცებელი ტერორისტები კი არა, ერაყის სამხედრო და ტექნიკური სპეციალისტები არიან, რომლებიც სუდანში მუშაობდნენ და დევნის შიშის გამო უარი თქვეს ერაყში დაბრუნებაზე, მაგრამ მინისტრის მაიკლ ჰოუარდის აზრით, მათ მიერ ჩადენილი აქტი სერიოზული დანაშაულია, მით უმეტეს, რომ „თვითმფრინავში დაწყებული მუშტი-კრივის შედეგად გამტაცებელთა ორ მოწინააღმდეგეს დანით ჭრილობები მიაყენეს. ბრიტანული კანონებით, ამგვარი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია მკაცრი სასჯელი სამუდამო პატიმრობის ჩათვლით, მაგრამ სამართალდამცავები დიდ ბრიტანეთში, რომლებმაც უკვე მოახერხეს ყოფილი ერაყელი მოქალაქეების დიდი ჯგუფისათვის ცხოვრების ნებართვის მიღება, დარწმუნებული არიან: ბრიტანელი მოსამართლენი მხედველობაში მიიღებენ პირობებს, რომლის დროს დანაშაული მოხდა, და, ალბათ, სერიოზულად არ დასჯიან დიდ ბრიტანეთში ცოლ-შვილით გამოქცეულ ერაყელებს. ამავე დროს ჟურნალისტებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ის გარემოება, რომ გატაცებული თვითმფრინავი დასვეს სახელდობრ სტანსტედის აეროდრომზე, რომელიც დიდ ბრიტანეთში ოფიციალურად აღიარებულია „აეროდრომიდან გამტაცებლებისათვის“. თუმცა, ეს რამდენიმეთაგან ერთ-ერთი აეროპორტია, რომლებიც კარგად არიან მომზადებული იმისათვის, რომ საქმე იქონიონ ტერორისტებთან და გამტაცებლებთან. მათგან სტანსტედი ყველაზე დიდია, და სწორედ მას იყენებენ პოლიცია, უშიშროების სამსახური და სპეციალური საიერიშო ქვეგანაყოფები ანტიტერორისტული მოქმედების დასახვეწად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ [illegible] გვერდით, სადაც უკვე არაერთხელ მოუთავსებიათ გატაცებული თვითმფრინავები, მდებარეობს კორომი, რომელშიც სპეცქვეგანაყოფები ემზადებიან უშუალოდ თვითმფრინავის შტურმისათვის. დამკვრელი სპეცჯგუფები მუდამ ემზადებიან აქ სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავებში მოქმედებისათვის, სწავლობენ მოქმედებას მგზავრებისთვის მინიმალური რისკით.

არგენტინა: ბავშვის ნათლიაა სახელმწიფო

არგენტინის მთავრობა ზღუდავს სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში. აგრეთვე აუქმებს სახელმწიფო სოციალურ პროგრამებს. ამავე დროს არის სფერო, რომელსაც სახელმწიფო სხვას არავის ანდობს — ბავშვის სახელის შერჩევა. როგორც ცნობილია, შვილისათვის სახელის დარქმევა მთელ მსოფლიოში მშობლების პრეროგატივაა. მთელ მსოფლიოში, მაგრამ არა — არგენტინაში. კანონის თანახმად ყველა უცხოური სახელი უნდა გაესპანურდეს. კანონს ერთვის ნებადართული სახელების სია, რომელშიც არ არის ისეთი სახელები, როგორიცაა რობერტი, ემილი ან ჯეკი.

ტურისტებს შეუძლიათ ღამე გაატარონ სტალინის ყოფილ აგარაკზე... 20-30 დოლარად

ბრიტანეთის გაზეთმა „ივნინგ სტენდარდმა“ გამოაქვეყნა ირონიით აღსავსე შენიშვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ იოსებ სტალინის ყოფილი აგარაკი შავ ზღვაზე „ახალი რუსებისათვის“ მიმზიდველი ადგილი გახდა. მცირე საფასურად 20-30 დოლარად ნებისმიერ ტურისტს შეუძლია ღამე გაატაროს იმ ადამიანის სარეცელში, რომლისაც ოდესღაც მთელ მსოფლიოს ეშინოდა, და აგარაკზე რიგიც კი დადგა, ვისაც სურს ისარგებლოს ამ შესაძლებლობით. საგულისხმოა, რომ იმ დროს, როცა თეთრ სახლში ღამის გათევა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ გამოჩენილ ამერიკელებს, როგორიცაა, ვთქვათ, კინორეჟისორი სტივენ სპილბერგი, სტალინის აგარაკი გახდა მხოლოდ კრიმინალურ სამყაროში ცნობილ პიროვნებათა თავშესაფარი.

ყველაზე საოცარი წიგნი

ბოლო ხანებში დიდი ბრიტანეთის წიგნის მაღაზიების დახლებზე გამოჩენილი ერთ-ერთი ყველაზე საოცარი წიგნი გახდა პიტერ სედონის ნაშრომი სახელწოდებით „ფეხბურთის კომპენდიუმი“ — ორგანიზებული ფეხბურთის ცნობარი — მეგზური. ამ წიგნში 522 ფურცელი და 6 ათასი სტატიაა სხვადასხვა თემებზე. მან მოიპოვა ბრიტანეთის საბიბლიოთეკო ასოციაციის მედალი ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაში თვალსაჩინო წვლილისათვის. პიტერ სედონი წიგნს სულ ორი წლის განმავლობაში წერდა, მაგრამ კიდევ 19 წელიწადი დასჭირდა იმას, რომ ეპოვა, სათანადოდ შეეფასებინა და შეერჩია ყველა ნაწარმოები, სერიოზულიც და სახუმაროც, რომლებიც კი ოდესმე დაწერილა ფეხბურთის შესახებ. „ფეხბურთის კომპენდიუმში“ 14 თავია, მათ შორის ისეთები, როგორიც არის „ფეხბურთი და თეატრალური ხელოვნება“ და „ფეხბურთი ლიტერატურაში“ (ამ თავში შეტანილია შემდეგი განყოფილებები: „ფეხბურთი და პოეზია“, „ფეხბურთი და თეატრალური ხელოვნება“ და „ფეხბურთი და რელიგიური ტრაქტატები“) „ფეხბურთის თეორია და სათამაშო სისტემები“ და „ფეხბურთი და მეცნიერება“. მაგრამ ყველაზე საოცარია თავი სახელწოდებით „ფეხბურთი და მუსიკა“. მასში შესულია ფეხბურთის ქომაგთა ჰიმნები, აგრეთვე შაირები და ნართაულები, რომლებსაც სტადიონებზე გაიძახიან. იმის მაგალითად, რაზეც ლაპარაკია „ფეხბურთის კომპენდიუმში“, არის სტატია დიმიტრი შოსტაკოვიჩის ბალეტი „ოქროს საუკუნის“ შესახებ. როგორც ცნობილია, ბალეტს საფუძვლად დაედო კონფლიქტი ფაშისტ ფეხბურთელებსა და საბჭოთა ფეხბურთელ
ბის გუნდებ შორის, რომლებიც ს
[illegible] ტურნირზე [illegible]
ბოდნენ, ხოლო ბალეტის ფინალ
რი სცენაა ფეხბურთელთა და
მკვრელ მუშათა საერთო ცეკ
რომლებიც „შრომის სიხარულ
დღესასწაულობენ.

„სახლ-კონვერსიებ
პოპულარულია ლონდონში

დიდ ბრიტანეთში სამშენებლ
ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე მ
მგებიანი სახეობაა ის, რომ სამშ
ნებლო კომპანიები ყიდულობ
ძველ პაკჰაუზებს, საწყობებს, ს
ლებს ან ფაბრიკებს და მათ ყვ
ლაზე თანამედროვე საცხოვრებე
სახლებად გადააკეთებენ ხოლმ
მაღალი ჭერი ასეთ შენობებში შ
საძლებლობას აძლევთ შექმნან კ
მპაქტური ბინები ორ დონეზე: ქვ
მოთ საცხოვრებელი ოთახი და ს
მზარეულო, ზემოთ-ორი საძილ
მაგრამ ასეთი ტიპის ახალი საც
ხოვრებელი სახლების უმრავლე
სობა სწორედ იმით გამოირჩევ
რომ ოთახები იქ ძალიან დიდ
ფანჯრები კი ზოგჯერ მთელ კე
დელს მიჰყვება,. ასეთი ბინები ჭე
შმარიტად სამოთხეა ახალგაზრდ
ბისათვის, რომლებიც ცდილობ
თავიანთ ბინებს მიანიჭონ ინდი
ვიდუალობა, ფუფუნება და თან
მედროვე სახე. ბოლო წლების მ
ნძილზე ლონდონში ასეთი ტიპ
სახლებში ბინები იყიდებოდა ქ
ლაქის თითქმის ყველა რაიონშ
მათ შორის იქაც, სადაც ბინა გა
საკუთრებით ძვირი ღირს — ბრი
ტანეთის დედაქალაქის ცენტრშ
მყიდველთა შორის არიან მსახი
ბები, რეჟისორები, მწერლები, მ
ცნიერები, ბანკის მოსამსახურე
და, რა თქმა უნდა, მხატვრები, რო
მლებსაც სჭირდებათ ვრცელი შ
ნობები. „სახლ-კონვენსიები“
გორც ასეთ გადაკეთებულ შენ
ბებს უწოდებენ სულ უფრო მეტ
პოპულარობით სარგებლობენ არ
მარტო თავიანთი ორიგინალობი
გამო: ბინები მათში, როგორც წ
სი, უფრო იაფია, ვიდრე ცოტ
ხნის წინათ აშენებულ მრავალბ
ნიან სახლებში.

7 ათას დოლარად გაიყიდა 1881 წლის გლობუსი

წლითიწლობით იზრდებ
ბრიტანელ ოსტატთა ხელოვნებ
დონე, რომლებიც წარსულის მ
ტერიალური კულტურის საუკ
თესო ნიმუშების აღდგენის დ
რგში მუშაობენ. დიდებული ნამ
შევრებით გამოირჩევიან ბოლ
ხანს სამეცნიერო ხელსაწყოებ
შემქმნელებიც. ახლახან მთე
მსოფლიოში განთქმულმა სამხ
ტვრო აუქციონმა „კრისტიზმ
თითქმის 7 ათას დოლარად გაყ
და გლობუსი, რომელიც კატალ
გში აღნიშნულია როგორც 188
წლის ნამუშევარი:. სინამდვილ
ში გლობუსი დაამზადა 36 წლ
ინგლისელმა ოსტატმა ბისელ-თ
მასმა, რომელიც დასპეციალებ
ლია მეთხუთმეტე-მეოცე საუკ
ნის გლობუსების წარმოებაში დ
მისი რეალური ფასი დაახლოებ
250 დოლარია. ინგლისელი ოსტ
ტი, როგორც ჩანს, მოხიბლა თ
ვისი ოსტატობის ასეთმა მაღალ
შეფასებამ, მაგრამ აუქციონის ად
მინისტრაცია იძულებული გახ
ფული დაებრუნებინა ჰოლანდი
ლი ანტიკვარისათვის, რომელ
დარწმუნებული იყო, რომ იყიდ
დედანი და ძალიან იშვიათი ნივთ

ღვთის ლოცვა-კურთხევითა და ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციიდან

ეს უჩვეულო მატჩი ფლორენციის მახლობლად გაიმართა. მონაზონი პერანჯელა ენერგიულად ატყუებს მოწინააღმდეგის კარის მცველებს. სპორტისადმი მხურვალე ერთგულებამ მონაზონს ტოსკანიის სოფლის მცხოვრებთა პატივისცემა მოუხვეჭა. აქ იგი საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. როცა დედა-წინამძღვარმა მისი სხვა სამრევლოში გადაყვანა მოიწადინა, მ
ლმა სოფელმა მოაწერა ხელ
ტიციას თხოვნით, რათა პერა
ლა დაეტოვებინათ, როგორც ამ
ბენ ხოლმე, წინანდელ სამუშა
საერო ცხოვრებაში პერანჯელ
კონი მარია დოჯი ერქვა, წარ
შობით კი ამერიკის ქალაქ სი
ლიდან არის.

ასსოშიეიტედ პრესის ფოტ

გვერდში გამოყენებულია საზღვარგარეთის სააგენტოებისა და პრესის მასალები.

საბჭოთა კავშირის ხალხები მრავალ ენაზე სიმღერებს თხზავდნენ სტალინზე. ეს სიმღერები გამოხატავენ საბჭოთა კავშირის ხალხთა უდიდეს სიყვარულსა და უსაზღვრო ერთგულებას თავიანთი დიდი ბელადის, მასწავლებლის, მეგობრისა და მხედართმთავრისადმი.

სტალინის სახელი საბჭოთა საზოგადოების მორალური და პოლიტიკური სიმბოლოა.

სტალინის სახელს უკავშირებენ მთელი პროგრესული კაცობრიობა, მთელი თავისუფლებისმოყვარე დემოკრატიული ხალხები, ხანგრძლივი მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების იმედებს.

იოსებ ბესარიონის ძე სტალინი მოკლე ბიოგრაფია, თბ. 1948



ი.ბ. სტალინის პიროვნების კულტი, მისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში დაშვებული შეცდომები უდავოდ ამუხრუჭებდნენ საბჭოთა საზოგადოების განვითარებას, მაგრამ ისინი ვერ შეაჩერებდნენ ამ განვითარებას და, მით უმეტეს, ვერ შეცვლიდნენ საბჭოთა წყობილების ბუნებას.

პარტიის XX ყრილობამ თავისი გადაწყვეტილებებით ამხილა მავნეობა, რომელიც პარტიასა და სახელმწიფოს მოუტანა ი.ბ. სტალინის პიროვნების კულტმა, და დასახა მისი შედეგების დაძლევის გზები.

[illegible] — დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 40, გ. 1958

ასეთი კატეგორიულად ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რაოდენ აუცილებელი იყო გორში სტალინის ფენომენის შემსწავლელი ცენტრის შექმნა. ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციაც ამ ფენომენის არაერთგვაროვნების კიდევ ერთ დამადასტურებელ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს.

ალექსანდრე ზინოვიევი

ცდუნება

ნაწყვეტები სოციოლოგიური ქრონიკიდან

... მთელ მსოფლიოში უამრავ ადამიანს აქვს თანდაყოლილი გადახრები ფსიქიკის ნორმებისაგან, და ასეთ ადამიანთა რიცხვი სულ უფრო იზრდება. ამ მოვლენამ დიდი ხანია, თავისი გამოხატულება პოვა კულტურაში. მაგალითად, ფერწერაში — ეს არის კანდინსკი, პიკასო, იმპრესიონისტები, ექსპრესიონისტები, აბსტრაქციონისტები, ლიტერატურაში — კაფკა. ჩვენთან — ბულგაკოვი. პოეზიაში — მისი საფუძვლების, ე. ი. რითმისა და ზომის უარყოფა. მუსიკაში — ახლანდელი შლაგერები, ახალგაზრდობას რომ აგიჟებს, საერთოდ—მუსიკა, რომელსაც შეიძლება ანტიმუსიკა ეწოდოს. დრამატურგიაში — აბსურდის თეატრი, ბეკეტი. კინოში — ბერგმანი, ანტონიონი, ფელინი, ჩვენთან — ტარკოვსკი. თუ დაბადებით ფიზიკური ხეიბრების მხრივ თითქოს ყველაფერი ცხადია, ნორმის ფსიქიკურ გადახრებს მეტწილად საერთოდ ვერ ამჩნევენ გარკვეულ დრომდე. ჩვეულებრივ ეს გადახრები ექსტრემალურ სიტუაციებში იჩენს ხოლმე თავს.

— რა არის ამ მოვლენის მიზეზი?

— მიზეზი კი არა, მიზეზები. მიზეზები ათასგვარია. ყველას ვერც გაადევნებ თვალს. ზოგადი ფორმით ახსნა მეტისმეტად ტრივიალურია. ადამიანები ძალზე ბევრნი არიან. დამუხრუჭებულია ან საერთოდ გამორიცხულია ბუნებრივი შერჩევის მექანიზმი. არანორმალური ბავშვები ისევე ძლებენ, როგორც ჯანმრთელები. იღუპებიან ან ნორმალური ცხოვრებიდან გამოირიცხებიან მხოლოდ უკიდურესი, აშკარა გადახრის მქონენი. უფრო ფაქიზ გადახრებს საზოგადოებრიობა უგულებელყოფს, ხოლო ზოგჯერ ახალისებს კიდეც. ვთქვათ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, თავისთავად. ქიმიის წარმატებები, ატომური ექსპერიმენტები, პროგრესი ძვირად გვიჯდება. მე ვფიქრობ, კაცობრიობას ბოლოს და ბოლოს სწორედ პროგრესი შეიწირავს. დიალექტიკა მართლა მარქსისტების მონაჩმახი ხომ არ გგონია, იგი ევოლუციის რეალობაა.

— არის რაიმე კავშირი ფსიქიკურ და ფიზიკურ არანორმალურ გამოვლინებებს შორის?

— არის, მაგრამ ნუ ღელავ, შენ ეს არ გეხება, ისეთ შემთხვევებში, როგორიც შენია, ბავშვები ფსიქიკურად ჯანმრთელნი და ინტელექტუალურად ძალზე ნიჭიერნი იბადებიან, მაგრამ მათაც შეიძლება განუვითარდეთ ფსიქიკური სნეულებანი ფიზიკური არასრულფასოვნების განცდის შემდეგ.

— არსებობს ამის წინააღმდეგ რაიმე საშველი?

— არსებობს.

— მაგალითად?

— მაგალითად, შეპყრობილი უნდა იყო რაღაც დიდი იდეით, ჩანაფიქრით და საქმით.

— შეიძლება, ასეთი როლი შეასრულოს იმ ადამიანთა მოკვლის იდეამ, რომლებიც ბოროტების სიმბოლოები და განსახიერებანი გახდნენ?

— მე მესმის შენი გუნება-განწყობილება, კი არ გარიგებ, მაგრამ, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, ერთ ჭკუის სასწავლებელ ამბავს მოგიყვები. იგი ეხება ადამიანთა ქცევისა და ფსიქიკის ერთ ფაქტორს, რომელსაც რატომღაც არავინ აგდებს ანგარიშში — სახელდობრ, ისტორიულ სამართლიანობას.

აგონია

უკვე ორმოციანი წლების დამლევს სტალინიზმს მოჭმული ჰქონდა თავისი დრო. მაგრამ აგონიას კიდევ მრავალი წლის განმავლობაში განაგრძობდა და აუტანელ ტანჯვა-ვაებას აყენებდა ხალხს. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სტალინს განსაკუთრებით გაუძლიერდა იმის შიში, რომ მოკლავდნენ, ყველგან მოგზავნილი ჯალათები ელანდებოდა, ამხელდა და ააშკარავებდა ვითომდა მოწყობილ თავდასხმებს. მაგრამ ეს მხილებები არ გახმაურებულა და „ორგანოების“ წიაღში ჩაიმარხა. მათ აკლდათ დამაჯერებელი ძალა და სტალინმა თვითონ აკრძალა ამ მხილებების ისტორიის ფურცლებზე გადატანა. მხოლოდ „მომწამვლელი ექიმების“ (1952 წელი) საქმემ გამოაღწია ამ წიაღიდან, მაგრამ მას არ მოჰყოლია ის ეფექტი, რომლის იმედიც ჰქონდა სტალინს. ეს იყო პირველი სიგნალი იმისა, რომ სტალინიზმს დღეები დათვლილი დარჩენოდა. მსოფლიო მთლად შეცვლილიყო, და ახალ მსოფლიოში მას აღარ დაედგომებოდა.

სტეფანე შუტიკოვს, ქ. იაროსლაველის ვაგზლის მოხელეს, კუჭში გასვლა მოუნდა და საპირფარეშოში შევიდა. პატარა ყუთში, რომელშიც წესისამებრ იმ გაზეთების ფურცლები უნდა ყოფილიყო, რომლებიც იგივე ფუნქციას ასრულებენ, რასაც ტუალეტის ქაღალდი, დამპალ დასავლეთში, ეგდო მხოლოდ მოწაფის რვეულიდან ამოხეული ფურცლის ნაგლეჯი, ქაღალდი წვრილად ნაწერი ტექსტით იყო სავსე. შუტიკოვი იჭინთებოდა, მაგრამ კუჭში ვერ გადიოდა. დრო რომ მოეკლა, გადაწყვიტა ნაწერი წაეკითხა, მაგრამ ქაღალდი უკვე დაეჭმუჭნა, რადგან სახმარად გაემზადებინა. საგულდაგულოდ გაასწორა დაჭმუჭნული ქაღალდი, სათვალე გაიკეთა და კითხვას ჩაუღრმავდა. ერთი წუთის შემდეგ უკვე დაავიწყდა, რისთვის შემოვიდა საპირფარეშოში. დაავიწყდებოდა, აბა რა მოუვიდოდა! ქაღალდის ნაგლეჯზე ამოიკითხა შემდეგი: „შენ წერ, რომ ის მოსაკლავია, და რომ მზად ხარ ამისათვის სიცოცხლე გასწირო. მე ვიზიარებ შენს გრძნობებს, მაგრამ მიმაჩნია, რომ უნდა ვიღონოთ რაღაც სერიოზული რამ. რა თქმა უნდა, მთავარი ბანდიტი მოკვლის ღირსია. მაგრამ ამით იგი მხოლოდ მოიგებდა შთამომავლობის თვალში. ხოლო მკვლელობა ნავთს დაასხამდა რეპრესიების ცეცხლზე. იგი ჯერ უნდა გავასამართლოთ. ამისათვის კი უდიდესი სამუშაოა გასაწევი. ჩვენ გვყავს ენთუზიასტთა ჯგუფი, რომლებიც უკვე რამდენიმე წელიწადია მუშაობენ ამ საკითხზე. დარწმუნებული ვარ, შენც შემოგვიერთდები“.

შუტიკოვი კვლავ და კვლავ კითხულობდა ნაწერს. ჭირის ოფლმა დაასხა. ის იყო, შარვალი უნდა აეწია, რომ მუცელი აუბუყბუყდა, და ჩაფიქრებული საქმე თავისთავად გამოუვიდა ჭახანითა და ქშუილით. მან ავტომატურად წაიღო ქაღალდიანი ხელი იქითკენ, საითკენაც უნდა წაეღო, მაგრამ, დროზე მოეგო გონს. თუმცა, რამდენიმე წვეთი მაინც მოხვდა ქაღალდს, მაგრამ შუტიკოვმა ამას ყურადღება არ მიაქცია, ისე იყო გაოგნებული თავისი აღმოჩენით, რომ ყოველგვარი სიფრთხილე დაჰკარგა. თავში აზრადაც არ მოსდიოდა, რომ რაღაც წვეთებსა და ექსკრემენტების ნამცეცებს შეეძლო მის ცხოვრებაში საბედისწერო როლი ეთამაშა. შუტიკოვმა შარვალი აიწია, საგულდაგულოდ დაკეცა აბედითი ქაღალდი და წავიდა „სადაც საჭიროა“, რათა ეცნობებინა თავისი აღმოჩენა, სახელდობრ „განსაკუთრებულ განყოფილებაში“, რომლებიც იმ დროს ყველა დიდ დაწესებულებასა და საწარმოში იყო. გზაში გაახსენდა შემთხვევა, იმავე საპირფარეშოში რომ მოხდა შარშან. მაშინ ერთმა მიდეგა მგზავრმა გამოსახოცი ქაღალდის ყუთში „პრავდიდან“ ამოხეული სტალინის პორტრეტი აღმოაჩინა. დამლაგებელი ქალი, რა თქმა უნდა, მაშინვე დააპატიმრეს. ეს მტრული გამოხდომა რომ გაიხსენა, შუტიკოვს, ძველ პარტიის წევრს, ოციანი წლების კომკავშირელს, დიადი მშენებლობების მოხალისესა და ომის ვეტერანს, კიდევ უფრო მეტად განუმტკიცდა მოსახდელი ვალის შეგნება და ნაბიჯს აუჩქარა.

უშიშროების სამინისტროს რწმუნებულმა სოკოლოვმა ყურადღებით მოისმინა შუტიკოვის ნაჩქარევი, ბლუყუნა მოხსენება. გამოართვა ქაღალდი. გაშალა. უსუნა... დამახასიათებელი ლაქები შეამჩნია, დაიმანჭა. მერე მუქარანარევი კილოთი ჰკითხა შუტიკოვს: შენ რა, „ორგანოებს“ ამ „დოკუმენტის“ დამალვას ხომ არ უპირებდიო. შუტიკოვს ააკანკალა, შიშით გამწვანდა, მოჰყვა ლუღლუღს, იფიცებოდა, როგორ უყვარდა ამხანაგი სტალინი და როგორი ერთგულია „ორგანოებისა“, უთხრა, რომ ლამის აკვნიდან არის „ორგანოების“ ინფორმატორი და ყოველთვის იქნება... რწმუნებულმა ხელით ანიშნა შუტიკოვს, „მოკეტეო“, და „დოკუმენტის“ კითხვას მოჰყვა. წაიკითხა ერთხელ. წაიკითხა მეორეჯერ. წაიკითხა და თვითონაც ცუდ გუნებაზე დადგა. „დოკუმენტს“ ცუდი სუნი ასდიოდა არა მარტო პირდაპირი, არამედ გადატანითი მნიშვნელობითაც.

— მაშ, მე შემიძლია წავიდე, ამხანაგო უფროსო? — გაუბედავად ჰკითხა შუტიკოვმა, რომელიც წამდაუწუმ ფეხს ინაცვლებდა, ისე ძალიან უნდოდა, საპირფარეშოში გავარდნილიყო.

— არა, შუტიკოვ, შენ უნდა მოიცადო, — უთხრა რწმუნებულმა და ხმაში ავბედითი კილო გამოურთა. — ახლა შენ თუ წახვალ, წახვალ მხოლოდ ყველაზე დიდი უფროსობის, შესაძლოა, თვით იმის ნებართვით!

რწმუნებულმა ბარე მეათედ წაიკითხა „დოკუმენტი“ და როდესაც საბოლოოდ ირწმუნა მისი რეალობა, დაურეკა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საოლქო სამმართველოს უფროსს — თვით ამხანაგ ჩიჟოვს. ჩიჟოვმა სოკოლოვს უბრძანა შუტიკოვთან ერთად ადგილზე დარჩენილიყო და მის მოსვლამდე ფეხი არ მოეცვალა, ნახევარი საათი ისე გავიდა, რომ არც ერთს ხმა არ ამოუღია. ჩიჟოვი რომ მოვიდა, სოკოლოვი მაგიდას უჯდა და ცხვირწინ მყრალი „დოკუმენტი“ ედო, შუტიკოვი კაბინეტის კუთხეში მიმდგარიყო. ჩიჟოვმა მოსვლისთანავე გასინჯა „დოკუმენტი“. იკითხა, ამ ქაღალდის ამბავი კიდევ ვინმე სხვამ ხომ არ იცისო. უარყოფითი პასუხი მიიღო, ბრძანა, ხმა არ ამოეღოთ. თქვენ გარდა ამ „დოკუმენტის“ არსებობა კიდევ ვინმემ რომ გაიგოს, მხრებზე თავი არ შეგრჩებათო, დაემუქრა, მერე სოკოლოვსა და შუტიკოვს თავით ანიშნა, უკან მომყევითო. ქუჩაში ჩიჟოვის პირადი მანქანის უკან იდგა „ვარონა“ — პატიმართა გადასაყვანი სპეციალური მანქანა. თავზარდაცემული და ენაჩავარდნილი სოკოლოვი და შუტიკოვი მანქანაში შეყარეს. ჩიჟოვმა ბრძანა, სამარტოო საკნებში ჩაკეტეთ, ხმას ნურც თქვენ გასცემთ, და ნურც მაგათ ამოაღებხნებთო.

სამმართველოში მისული ჩიჟოვი თავის კაბინეტში ჩაიკეტა და ღრმად ჩაფიქრდა. სიტუაცია უაღრესად რთული იყო. უმაღლეს ხელმძღვანელობასა და ორგანოებში ამ დროისათვის ძალზე დაძაბული ვითარება სუფევდა. უშიშროების მინისტრი აბაკუმოვი თავად გამხდარიყო პატიმარი და, როგორც ამბობდნენ, დაეხვრიტათ. მის ადგილზე იგნატიევი დაეყენებინათ. მაგრამ დიდი ხნით? ამბობდნენ, სტალინმა ყოფა უნდა უტიროსო მოლოტოვს, მიქოიანს, ვოროშილოვს და თვით ბერიასაცო. განტევების ვაცობას უპირებსო. ვითომდა იმიტომ, რომ ისინი სტალინს სიმართლეს უმალავდნენ, დეზინფორმაციას აწვდიდნენ და მითითებებს უმახინჯებდნენ. თვითონ ჩიჟოვმა სულ ცოტა ხნის წინათ შეცვალა საოლქო სამმართველოს უფროსის პოსტზე როკოტოვი, რომელსაც აბაკუმოვის თანამზრახველობა დააბრალეს. შეცვლით კი შეცვალა, მაგრამ დიდი ხნით? რა ქნას? მოსპობს შუტიკოვის ნაპოვნი „დოკუმენტი“ შუტიკოვიანად და სოკოლოვიანად? „დოკუმენტის“ მოსპობას რა უნდა, მაგრამ შუტიკოვისა და სოკოლოვის გაქრობაა ცოტათი ძნელი საქმე. სამმართველოში ეჭვიანობისა და საყოველთაო ჯაშუშობის ატმოსფერო სუფევს. აგორდება ჭორი. ჩიჟოვის მოადგილე, როკოტოვის ადგილს რომ უმიზნებდა, ნაღდად დააფქვევინებს სოკოლოვს, რამია საქმე. სოკოლოვი, საკუთარი ტყავი რომ გადაირჩინოს, საიდუმლოს გათქვამს. აი, მაშინ კი სულ რამდენიმე დღეში გამოუყვანენ წირვას ჩიჟოვს. კეთილი და პატიოსანი, ვთქვათ, „დოკუმენტს“ მსვლელობა მისცა, რა ხაზით გაუშვას? ახალ მინისტრს რომ აცნობოს, ის ნაღდად დაუკავშირდება პირდაპირ სტალინს. რა მოჰყვება ამას, ძნელი სათქმელია, ბერია კი ფაქტობრივად ჩამოშორებულია „ორგანოების“ ხელმძღვანელობას. მაგრამ ჯერჯერობით ის მაინც უფრო მაგრად დგას ფეხზე, ვიდრე იგნატიევი, თანაც ბერია მას, ჩიჟოვს, პირადად იცნობს, — ჩიჟოვი ხომ მრავალი წლის განმავლობაში იყო ბერიას კაცი. და ჩიჟოვმა გადაწყვიტა გაერისკა — თავზე გადახტომოდა მინისტრს და პირდაპირ ბერიას დაკავშირებოდა. არადა, რისკი იყო. ჩიჟოვისა და ბერიას ლაპარაკისთვის შეიძლებოდა მოესმინათ.

ჩიჟოვმა დათქმული კოდით გააგებინა ბერიას, პირადად უნდა შეგხვდეთო, თან — დაუყოვნებლივ, უკვე ერთი საათის შემდეგ შავი „ზისი“ საქმის მონაწილეებს მოსკოვისაკენ მიაქროლებდა. ბერია მათ თავის საგარეუბნო აგარაკზე ელოდებოდა. გაეცნო თუ არა „დოკუმენტს“, მაშინვე სტალინს მიაშურა. სტალინმაც რამდენჯერმე გადაიკითხა „დოკუმენტი“. ჩაფიქრდა, მთელ საათს ბოლთას სცემდა კაბინეტში, თავისი საყვარელი ჩიბუხიც კი დაავიწყდა. მერე, თითქოს გონს მოეგო, ჯიქურ მივიდა ბერიასთან და უთხრა, რომ ეს მართლაც ძალიან სერიოზული საქმეა, და ამ ახალ საქმეს ავალებს პირადად ბერიას. თან გააფრთხილა, თუ ყველაფერს უმაღლეს დონეზე არ გამიკეთებ, შეგიძლია სიცოცხლეს ახლავე გამოესალმოო.

შეიქმნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც დაევალა, რაღაც უნდა დაჯდომოდა, ეპოვა წერილის ავტორი და ის, ვის სახელზე იყო იგი დაწერილი. ძებნამ ორ წელიწადს გასტანა. თუ როგორ მიმდინარეობდა ძებნა, ეს დიდი და ცალკე გამოკვლევის თემაა. კრიმინალისტიკის ისტორიაში ალბათ, არ მოეძებნება ანალოგი იმას, რაც ამ ოპერატიულმა ჯგუფმა გააკეთა. ბოლოს და ბოლოს ნემსი იპოვეს თივის ზვინში, — მიაგნეს წერილის ავტორსაც და იმასაც, ვისაც გაეგზავნა იგი. ახლა, რომ გავიგოთ, თუ ვინ იყვნენ ეს ადამიანები, უნდა დავბრუნდეთ უკან, პირველ ომისშემდგომ წლებში.

ომი დამთავრდა. სტალინი და მისი ამალა გამარჯვებით ტკბებოდნენ. გამუდმებით ივსებოდა ისედაც გადაჭედილი ციხეები და შრომა-გასწორების ბანაკები. ახლა ისინი ივსებოდა უმთავრესად ყოფილი სამხედრო ტყვეებით, გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებული ქვეყნის რაიონების მაცხოვრებელი გლეხებისა და დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეების ხარჯზე. ამ დემობილიზებულთაგან მილიონობით კაცს ჰქონდა გადატანილი სტალინიზმისა და ომის საშინელებანი, მათ ნახეს ევროპა, ოცნებობდნენ, რომ ახალ ცხოვრებას ააშენებდნენ თავიანთ ქვეყანაში. მაგრამ წილად არგუნეს მხოლოდ შიმშილი და სილატაკე, უბადრუკი ყოფა, უმადური შრომა, ლოთობა, ქურდობა, თაღლითობა და ძარცვა-გლეჯა, უიმედო პირადი პროტესტისა და სასოწარკვეთილების აფეთქება. რუსი ხალხი, რომელმაც საკუთარ მხრებზე გადაიტანა ომის უმთავრესი სიმძიმე და რომელმაც ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო, ცხოვრობდა ისეთ პირობებში, როგორსაც ვერ წარმოიდგენდა ვერც ერთი ცივილიზებული ერი მთელ დედამიწის ზურგზე. სტალინს და მის რეჟიმს თითქოს მარადისობა ეწერათ. ყველა დროის და ხალხის უდიდესი გენიოსის, უდიდესი მოაზროვნის, უდიდესი პოლიტიკოსის, მხედართმთავრის და საერთოდ უდიდესთა შორის უუდიდესის პორტრეტებსა და მონუმენტებს ლამის წაელეკა დაწესებულებები, საწარმოები და კერძო ბინები, სახლის ფასადები, მაღაზიის ვიტრინები, სკვერები, ქუჩები, ქალაქისა და სოფლის მოედნები. სტალინის სახელი აურაცხელი გამოსვლის, სტატიის, წიგნის, ქურნალის განუყოფელი ელემენტი გამხდარიყო. ხელმოუწერელი თუ ხელმოწერილი ბეზღის ბარათების ნიაღვარი მოსდებოდა ქვეყანას, ხალხს იმისიც კი ეშინოდა, აზრად გაევლო რაღაც ისეთი, რაც ტუსაღთა მრავალმილიონიან არმიაში ამოაყოფინებდა თავს. და მაინც, ყოველივე ამის მიუხედავად, არ ილეოდნენ ვაჟკაცები, რომლებიც ბედავდნენ გამოსულიყვნენ ყოვლისმძლე ტირანის წინააღმდეგ.

1946 წლის ზაფხულში გვარდიის კაპიტანი ანტონ გრომოვი დემობილიზაციამ მოჰყვა და ჯარიდან მოსკოვს დაბრუნდა. თავდაპირველად ეგონა, მესაფერის სამუშაოს იშოვიდა და უნივერსიტეტის საღამოს განყოფილებაზე დაიწყებდა სწავლას. მაგრამ გრომოვისთანა სხვაც ბევრი იყო. ხეირიანი სამუშაო ვერ იშოვა და შევიდა ისტორიის ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე. სულ ცოტა ხანში შემოეჭამა პროდუქტები, რომლებიც დემობილიზაციაში გასვლისას მისცეს, შემოეხარჯა მთელი ფული, ომის დროს რომ დაეგროვებინა „საველე წიგნაკზე“, შემოეყიდა და შემოესვა, რაც კი რამ შემორჩენოდა სამხედრო სამსახურიდან. დაიწყო მშიერი და უბადრუკი ომისშემდგომი ცხოვრება. ანტონს დაავიწყდა, რომ ერთ დროს ბატალიონის მეთაური იყო და გადაიქცა ჩვეულებრივ სტუდენტად, რომელიც თავიდან არაფრით არ განსხვავდებოდა 1928-29 წლებში დაბადებული თანაკურსელებისაგან, თოფი რომ არ ენახათ თვალით. იძულებული იყო, სწავლასთან ერთად თან ემუშავა, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო.

და მაინც, შინაგანად ანტონი სულაც არ იყო ისეთი გაუბედავი ყმაწვილი კაცი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდა. მას დიდი ომი ჰქონდა გამოვლილი, არაერთგზის გაესწორებინა სიკვდილისათვის თვალი, ომით მოევლო მთელი ქვეყანა, მთელი ევროპა. საკუთარი თვალით ენახა, როგორ ცხოვრობს ხალხი სინამდვილეში, ენახა და გაეგო, რას ფიქრობენ ადამიანები თავიანთ ცხოვრებაზე. იგი იყო ერთი იმ მრავალ მილიონ რიგით რუს ადამიანთაგანი, ვის ცნობიერებაშიც უკვე მომხდარიყო ჯერაც გაუცნობიერებელი გადატრიალება, და ვინც შინ ცხოვრების ძირფესვიანი გარდაქმნის განზრახვით დაბრუნებულიყო, და შინ მწარე იმედგაცრუება დახვედროდა. ომში გამარჯვებამ ახალი ძალები შემატა სტალინურ რეჟიმს. მისი მარწუხები სულ უფრო ძალუმად უჭერდა ყელში საზოგადოებას, სულს არ ათქმევინებდა; საზოგადოება კი ომის წლებში ფაქტობრივად სახეცვლილიყო, ის აღარ იყო, რაც წინათ.

ამის შემხედვარე, ბევრი დემობილიზებული ოფიცერი გალოთდა და ხელს გადაჰყვა, სხვებმა საციხო მაქინაციებს მიჰყვეს ხელი, ზოგიც სულ მალე შეეგუა ახალ პირობებს, კომფორტულად მოეწყო და კარიერა გაიკეთა. ბევრი ვერ უძლებდა ასეთ ყოფას, პროტესტს აცხადებდა და საბოლოოდ პატიმართა რიგებში ხვდებოდა. გრომოვის ჯგუფში დააპატიმრეს ყოფილი უფროსი ლეიტენანტი ტიხონოვი, რომელმაც სემინარზე დაუფარავად თქვა სიმართლე, რატომ მარცხებოდნენ ომის დასაწყისში. მას ათი წელი მისცეს. ვერ უშველა ტიხონოვს ჭრილობებმა და ორდენებმა, ვერ უშველა ვერც ომის ვეტერანთა შუამდგომლობამ. ვეტერანებს, გრომოვის ჩათვლით, პარტიული და კომკავშირული სასჯელები ჩამოურიგეს და დაემუქრნენ, თუ ასეთი „პოლიტიკური სიბეცე“ კიდევ შეგვიმჩნევია, უნივერსიტეტიდან გაგრიცხავთო. ტიხონოვის დაპატიმრება იმ დროს მრავალთაგან ერთი ეპიზოდი იყო. გრომოვმა ყოველივე აქედან გამოიტანა დასკვნა, რომ ჯერ არ დამდგარიყო დრო დაუფარავი ბრძოლისა განწირული — რამიც იგი დარწმუნებული იყო, — მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი და გაავებული სტალინიზმის წინააღმდეგ; დროებით უნდა ჩასაფრებულიყო და დაეჭირა მომავალი ბრძოლის თადარიგი.

დღედაღამ ფიქრობდა იმაზე, თუ სახელდობრ როგორ მომზადებულიყო დროშემდგომი სტალინიზმის წინააღმდეგ ლეუფარავი ბრძოლისათვის. ადარებდა თავის ახლანდელ მდგომარეობას იმასთან, როგორშიც მოხვდნენ ნაპოლეონთან ომის შემდეგ ევროპაში ნამყოფი ახალგაზრდა რუსი ოფიცრები. ამ ოფიცრებმა მაშინ შექმნეს არალეგალური ორგანიზაციები და მიზნად დაისახეს გარდაექმნათ რუსეთი. ახლა კი გრომოვისთანა ხალხისთვის დაჰკრა ჟამმა, დაეწყოთ მზადება ახალი „თვითმყრობელობისა“ — სტალინიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლის გზა კი იყო არალეგალური ორგანიზაციის შექმნა, ისეთისა, წინა საუკუნეში რომ შექმნეს დეკაბრისტებმა. რა თქმა უნდა, ეს ზერელე ანალოგიაა, მან უფრო მეტად ემოციური და მორალური როლი შეასრულა, ვიდრე — საგანმანათლებლო. მაშინ სულ სხვა პირობები იყო. დეკაბრისტთა წლებში რუსეთი რევოლუციისაკენ მიდიოდა, მაშინ, როდესაც გრომოვი და მისი მსგავსნი რევოლუციის შემდეგ გაჩნდნენ. დეკაბრისტებს შეძლება მოსდგამდათ, ისინი პირადი ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებული, და რჩებოდნენ ოფიცრებად, რომლებსაც ხელქვეითებად შეიარაღებული ჯარისკაცები ჰყავდათ. გრომოვი და მისი მსგავსნი არმიიდან გამოყარეს, მარტოხელებად მიფანტმოფანტეს ქვეყანაში და წილად არგუნეს მძიმე ბრძოლა პრიმიტიული, ფიზიკური გაძლება-გადარჩენისათვის. დეკაბრისტები ებრძოდნენ ცარიზმსა და ყაველაგასულ ბატონყმობას, გრომოვი და მისი მსგავსნი — ძალაუფლების სტალინურ სისტემას, რომელიც რევოლუციის მონაპოვარს ეყრდნობოდა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გრანდიოზული ომის განსაცდელს გაუძლო და მოსახლეობის მასის მხარდაჭერა ჰქონდა. ხოლო სტალინის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს, რომლებიც ოპოზიციას ყოველ გაფაჩუნებაზე მუსრს ავლებდნენ, ბადალი არ მოეპოვებოდათ კაცობრიობის მთელ ისტორიაში. ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ გრომოვისა და მის მსგავსთა წინაშე საერთოდ არ დგებოდა ქვეყნის სოციალური წყობის რეორგანიზაციის პრობლემა. მათ ეს წყობილება ურყევი ეჩვენებოდათ და ეგონათ, რომ მას შესაცვლელი არაფერი სჭირდა. ისინი ემტერებოდნენ მხოლოდ სტალინსა და მის მმართველობის მეთოდებს. მათ ვერ გაეგოთ სტალინიზმის რეალური საფრთხე. ეგონათ, სტალინიზმი სოციალიზმს ზემოდან ეფარება, როგორც რაღაც წარმავალი და უცხო სხეულიო. დარწმუნებული იყვნენ, რომ სტალინიზმის აღმოფხვრით შეძლებდნენ აეშენებინათ ქვეყანაში ნამდვილი სოციალიზმი, რომელზეც ოცნებობდნენ და ღაღადებდნენ ადამიანთა მოდგმის საუკეთესო წარმომადგენლები.

როდესაც არალეგალური ანტისტალინისტური ორგანიზაციის შექმნა ჩაიფიქრა, გრომოვმა გაიაზრა მისი შექმნის გზები და მიზნები. ამოსავალი პუნქტი, ფიქრობდა იგი, უნდა გახდეს მეგობრული ურთიერთობით შეკავშირებულ ადამიანთა ჯგუფი. ასეთი ჯგუფები ყოველ ფეხის ნაბიჯზე იქმნება. ეს საყოველთაო სოციალური კანონია. ვერავითარი ძალაუფლება ვერ შეუშლის ხელს მათ გაჩენას. ასეთ ჯგუფებში ინტიმურ ურთიერთობათა გამო ადამიანები უფრო გულგახსნილნი ხდებიან და უფრო იოლად ახდენენ გაელენას ერთმანეთზე. მათი წარმომობისას ბუნებრივად ხდება ერთნაირი შეხედულებების ადამიანთა შერჩევა. და უშიშროების მაბეზღარების ვერავითარი არმია ვერ აუვა ყველას თვალთვალს. მას, გრომოვს, ომის დროს სხვა ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან ისეთ თემებზე ჰქონდა საუბარი, რომლების გამოც სულ თავისუფლად შეეძლოთ მიეყენებინათ კედელთან. მაგრამ ისინი უმალ ცნობდნენ ჩამშებთ. შემთხვევები, როდესაც კაცი ციხეში ხვდებოდა დაბეზღების გამო, არც ისე ხშირი იყო, და, საერთოდ, უშიშროების ორგანოებში ადამიანთა განწყობის ცოდნას მეტისმეტად აზვიადებდნენ. დაბეზღების შიშს ხელოვნურად აღვივებდნენ. ამ შიშისთვის ბოლო უნდა მოეღოთ. ჯგუფებში, სადაც მას უხდებოდა ყოფნა ომის შემდეგ, ხშირად უკვე ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს არავითარი ჩამშები არ ყოფილიყვნენ.

მაშ ასე, თავდაპირველად უნდა შეექმნათ მეგობრების ჯგუფი. აქ მთლიანად სტიქიურობას ვერ მიენდობოდი. ამ ჯგუფში უნდა ჩაებათ გრომოვის ჩაფიქრებული საქმის თვალსაზრისით მეტნაკლებად პერსპექტიული ადამიანები. მომდევნო ნაბიჯი უნდა გამხდარიყო ჯგუფისათვის ერთგვარი არალეგალურობის, ისეთი ელფერის მინიჭება, რაც ოფიციალურად ითვლებოდა აკრძალულად ან, ყოველ შემთხვევაში, გასაკიცხად. არალეგალურობის დონე თავდაპირველად ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ არ დაეფრთხო ჯგუფის მონაწილენი მოსალოდნელი საშიში შედეგებით და რომ ჯგუფისათვის კრიმინალური ვერაფერი დაებრალებინათ. პოლიტიკური ორიენტაციის სერიოზული მიზნები ჯგუფს უნდა გასჩენოდა თანდათან და შეუმჩნევლად, თითქოს, თავისთავად.

ადამიანი საზოგადოებაში შედის ბევრი სხვადასხვა აღიარებული ჯგუფის მეშვეობით: საცხოვრებელი, სამუშაო, სასწავლო, დასასვენებელი, გასართობი ადგილის მიხედვით. არალეგალური ჯგუფი ისე უნდა ჩამოაყალიბო, რომ მონაწილეთა ინტერესებმა გადასძალოს ლეგალურ ჯგუფებში გაჩენილ ინტერესებს. არალეგალური ჯგუფი, ბუნებრივია, ისეთი მდგრადი ვერ იქნება, როგორც ლეგალური, მაგრამ მაინც, აქაც შესაძლებელია ერთგვარი მდგრადობა. არის წესები, რომელთა შესრულება აძლიერებს არალეგალური ჯგუფის მდგრადობას. ჯგუფს უნდა ჰქონდეს საერთო მიზანი. არა აქვს მნიშვნელობა, სახელდობრ — როგორი. მთავარია, იგი ზუსტად იყოს ჩამოყალიბებული, ჰქონდეს რეალური საფუძველი და ჰიპერტროფირებული იყოს მანიის დონემდე. ასეთი საერთო მიზანი აახლოებს ადამიანებს, ქმნის ერთგვარ საძმოს, აზრსა და ინტერესს ჰმატებს ცხოვრებას. საბჭოთა ბაიყუშური ყოფისა და წრილმანი მტრობის პირობებში მართლაც ღირებული გამოჩნდებოდა ცხოვრება, რომელსაც ეს მანიაკური მიზანი გაასხივოსნებდა.

თარგმნა
არჩილ მანჯგალაძემ
(დასასრული იქნება)

---

* ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ზინოვიევი რუსი მწერალი; ცხოვრობს გერმანიაში. ავტორია რომანების და მოთხრობებისა — „პომო სოვეტიკუსი“, „პარა ბელუმი“, „ამბავი ხელმოცარული კაცისა“; „ამაოების არაკი“, „ლეგენდა დოღრიალასი“, „მოწყენილობის საგალობელი“ და სხვ.

„ცდუნება“ მეორე ნაკვეთია წიგნისა „მფოთიანობა“, რომელიც 1995 წელს გამოვიდა მოსკოვში.

სამართალი

ამბავი საფლავზე ამოსული ლერწმისა

ზუგდიდი შოკში იყო

ექს-პრეზიდენტის მომხრეები, მათი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები ძირითადად ზუგდიდში ბატონობდნენ. იდეალური წესრიგიც, რომლის დამყარებასაც ისინი ხალხს ჰპირდებოდნენ, უპირველესად იქ უნდა დაემყარებინათ, მაგრამ... ამ უწესრიგობასა და განუკითხაობას თავად სთესდნენ. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, თუ ძალითა და მუქარით ჩაის კომბინატიდან როგორ წაიღეს 60 ტონა მზა პროდუქცია. ახლა წისქვილ-კომბინატში გადავინაცვლოთ...

სასამართლო პროცესზე ზუგდიდის წისქვილკომბინატის დირექტორმა ტარიელ ქანთარიამ განაცხადა, რომ ყოველდღიურად საწარმოდან ათასობით ტონა ფქვილი გადიოდა. ფქვილი მიჰქონდა ყველას, — შეიარაღებულსაც და შეუიარაღებელსაც. ქალაქი შოკში იყო. ყველას ეშინოდა და მეც მეშინოდაო, — დასძინა მან.

არსებობს მრავალი დოკუმენტი, რომლებიც ადასტურებენ, რომ ზუგდიდის წისქვილკომბინატიდან ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირებები ფქვილს მოითხოვდნენ და მიჰქონდათ კიდეც. კომბინატის დირექტორს თითქოს სურდა თავიდან აეცილებინა „სარდალთან" მიწერ-მოწერის, საერთოდ, მასთან ურთიერთობის აღიარება, მაგრამ... იგი მდგომარეობიდან თვით ლოთი ქობალიამ გამოიყვანა:

— პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებული გახდით. კარგი დედმამიშვილი იყო და ჩემი ბრძანებები არ შეესრულებინა, — თქვა ეს და მოწმეს შვებით ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

მარტოოდენ ფქვილს ვინ დაყაბულდებოდა. პურს, კბაღია, მისატანებლად „ჩიჩიაც" სჭირდებოდა. ამასაც „შოულობდნენ". ხობის სახალხო მეურნეობა „კოლხეთის" დირექტორმა, მოწმე იური თოდუამ თქვა, რომ ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირებების ხობში ყოფნის დროს, მეურნეობიდან „დაიკარგა" 8 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. ამ დაკარგვაში იგი „წაყვანას" გულისხმობდა. თუ ვის მიჰყავდა, ესეც ყველასათვის ცნობილი იყო.

— საბუთებს თუ აფორმებდით მაინც, — ჰკითხეს მას.

— დიახ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აქტებს ვადგენდით...

ეს იყო მაგათი საბუთები: აქტების შედგენა, — თანაც ყველაზე უკეთეს შემთხვევაში; უმთავრესად კი, — გვარისა და სახელის დატოვება, ავტომატის მიშვერა, სილის გარტყმა...

ხობში სხვა, უფრო მძიმე ცოდვებიც ტრიალებდა. როგორც „აგრომრეწვბანკის" უფროსმა ბონდო ნანეიშვილმა აჩვენა, საშინელი სროლები იყო. „გრადი" ჩვენს შენობასაც მოხვდა, მერე კი იგი მთლიანად გაიქურდაო, — თქვა მან, შიშით ისიც შინ გამოკეტილა, გარეთ საერთოდ არ გამოსულა, მითუმეტეს, მიზეზი ჰქონია, — და ავად ჰყოლია და იმას უვლიდა. თუ რამეს იგებდა, მეზობლებისგან იგებდა...

ხობიდან ჩამოსულ მოწმეებს სასამართლო პროცესზე აუცილებლად ეკითხებიან დათო ბოლქვაძის მკვლელობის შესახებ. ამათაც გაიხსენეს ის ტრაგიკული დღე. როგორც იური თოდუამ და ბონდო ნანეიშვილმა თქვეს, — ბოლქვაძის დახვრეტაზე ხალხი ლაპარაკობდა, თავად არაფერი უნახავთ.

სასამართლოში წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებებს აქვეყნებენ. ბონდო ნანეიშვილს იქ ასე უწერია: „იმ პერიოდში დაიხვრიტა რამდენიმე კაცი, მათ შორის ჟურნალისტი ბოლქვაძე"...

ცეცხლიც და კვამლიც

დიახ, მაშინ ყველა შეშფოთებული და შეშინებული იყო დათო ბოლქვაძის დახვრეტით. 29 აგვისტოს ხობიდან ჩამოსულმა მრავალმა მოწმემ, მათ შორის როდიონ ცირდავამ, აველინა ქანთარიამ, ტარიელ იოსავამ და სხვებმა თქვეს, რომ ხალხი დათო ბოლქვაძის მკვლელად თვლიდა ლოთი ქობალიას. თუ არ იყო ცეცხლი, კვამლი ისე არ ავარდებოდა...

სხვათა შორის, ბოლო დროს დათო ბოლქვაძის სახელის შესალახად მას მაროდიორობას, ბანდიტობასაც კი აბრალებენ. ამან სასამართლო პროცესზე ახლაც გაიჟღერა. და ამის მთქმელს, მოწმე მიმოზა ხულორდავას, დათო ბოლქვაძის დედამ ასეთი შეკითხვა დაუსვა:

— თქვენ ახლა თქვით, რომ დათო ბოლქვაძე მიუძღოდა ბანდას; რატომ უწოდეთ მის საქციელს ბანდიტური, როცა თქვენივე განცხადებით, იგი ხობში შემოვიდა 28 ოქტომბერს დილით. როგორ მოასწრებდა იგი მაროდიორობას ორიოდ საათში?

— მე ბანდა არ მითქვამს. არ ვიცი, ვინ ძარცვავდა მოსახლეობას. თქვენი ბიჭი პირადად არ მინახავს, მაგრამ მე რომ აქ დღეს ძარცვის ფაქტი უარვყო, დაბრუნებისთანავე ხობის მოსახლეობა მომაფურთხებს...

..., ასე: მიმოზა ხულორდავა პირადად დათო ბოლქვაძეს არ იცნობდა. არც ის იცის, თუ ვინ გაძარცვა ჟურნალისტმა. არადა, აცხადებს, დათო ბოლქვაძე მძარცველების მეთაური იყოო.

ტყუილია ეს ყველაფერი. დათო ბოლქვაძე იქ ჩავიდა თავისი სამსახურებრივი, პროფესიული მოვალეობის მოსახდელად. იგი იმ განუკითხაობის, ძალადობის, შურისძიების მსხვერპლი გახდა, რომელსაც ლოთი ქობალია და მისი თითოეული შეიარაღებული ფორმირება სთესდა... ეს რომ ასე არ ყოფილიყო, დათო ბოლქვაძეს ხობში არც დამტირებელი გამოუჩნდებოდა და არც გამპატიოსნებელი...

მოწმე მერაბ კიტია: — ჩაის ფაბრიკაში ვმუშაობდი. იმხანად ხობში არ ვყოფილვარ. დაბრუნებისას გავიგე, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეებმა პირადად ლოთი ქობალიამ, დახვრიტა დათო ბოლქვაძე და სხვა გვარდიელებიო. მითხრეს, გვამები დღესაც საავადმყოფოშია და შიშით ვერავინ ეკარებაო. არავის ანგარიში არ გავუწიე, წავედი საავადმყოფოში. იქ ოთხი გვამი ვნახე. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე. ერთ-ერთი ექთნის დახმარებით ოთხივე საავადმყოფოს ეზოში დავკრძალე.

როგორც ვიცით, დათო ბოლქვაძისა და სხვა გვარდიელთა დახვრეტის შემდეგ ლოთი ქობალიამ ასეთი ბრძანება გასცა: „არ მიეკაროთ, დე, ღორებმა შეჭამონ!"

დათო ბოლქვაძის დედა, ქალბატონი ლია ისიანი სასამართლო პროცესზე თითქმის ყოველდღე დადის. შვილის მკვლელობასთან დაკავშირებით ყოველი მოწმის დაკითხვა მას, ალბათ, გულის ჭრილობას უხსნის, მაგრამ იგი თანამგრძნობთა მიმართ მუდამ გამორჩეულ ყურადღებას იჩენს. მან ახლაც დიდი მადლობა გადაუხადა მერაბ კიტიას, რომელმაც უდანაშაულო მსხვერპლი ქრისტიანული წესით გააპატიოსნა და ლოთი ქობალიას დამუქრებისამებრ იგი ღორების შესაჭმელი არ გახადა...

დედის სათქმელი

„**ნუგზარ** მოლოდინაშვილისდარად, ჩემი სათქმელი მეც ლეგენდით უნდა დავიწყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ლეგენდას უფრო კეთილშობილი, პოეტური დატვირთვა აქვს.

არის ასეთი ლეგენდა: კაცმა კაცი მოკლა. ჩუმად დამარხა და ეს ბოროტება გაუმჟღავნებელი დარჩა. მკვლელი დაუსჯელობას ზეიმობდა. ხანი გავიდა. კეთილი კაცის საფლავზე ლერწამი ამოვიდა. ამ ლერწმით მწყემსმა სალამური გამოთალა. დაუკრა თუ არა, სალამური ატირდა. სოფელს მკვლელის სისასტიკეზე უამბო. სოფელმა მკვლელი დასაჯა...

ასეა ეს, ლოთი ქობალია! ხობში ერთ კაცსაც რომ არ ენახა თქვენი სისასტიკე, სიმართლეს მოედანი იტყოდა, სადაც დათო ბოლქვაძის სისხლი დაღვარეთ; ის ბალახი იტყოდა, ხობის საავადმყოფოს ეზოში დათოს უკუბოო საფლავზე რომ ამოვიდოდა; იტყოდა იმიტომ, რომ დათო ბოლქვაძე კეთილი კაცი იყო...

ღმერთმა თქვენ საბოლოოდ მაშინ მიგატოვათ, როცა უიარაღო, 24 წლის უდანაშაულო ბიჭს განუსჯელად ესროლეთ. თქვენმა „შეფმა" სუზდალშიც გაგხიზნათ. ასე ძალიან რომ ებრძოდით, რუსის ჯარის ქვეყანაში შეგაფარათ და მაინც „ჩავარდით". ამაში ღვთის წყრომას ვერ ხედავთ? გინდათ გითხრათ, რატომ გაბედეთ ასე სახალხო-საჩვენებლად ჟურნალისტის დახვრეტა? თქვენ არ ელოდით მკვლელისათვის დამახასიათებელ ფინალს და დაუსჯელობის სინდრომმა ჩაგადენინათ მსოფლიოში უანალოგო სიავე.

რაც ახლა უნდა ვთქვა, ამის ლაპარაკი, შესაძლოა, სენტიმენტალობად ჩამეთვალოს, მაგრამ მინდა ფატალურ დამთხვევას გავუსვა ხაზი: დათოს ძილისპირულზე მეგრულ „ვოუ ნანას" ვუმღეროდი. მოსწონდა, ასეც მოხდა: საუკუნოდ მიძინებულს, ხობის მიწამ უნანავა 12 ტყვიით დაცხრილულ ბიჭს. ჩემი სიყრმის შვილის მზე, ხობის მოედანზე, მილეთი ხალხის თვალწინ ჩაასვენეთ.

ლოთი, რა ვქნა ახლა მე! თქვენს გამო შევიძულო სამეგრელო და მეგრელები? ამ ცხოვრებას რომ შავი და თეთრი ფერი ერთად ახლავს, ეს ერთხელ კიდევ დამტკიცდა იქ, ხობში: უცნობმა, მადლიანმა ხობელმა კაცმა მოიპარა მოედანზე დაგდებული ჩემი შვილის ცხედარი და ის მშვენიერი სახე მიწით ამოსავსებად რომ ვერ გაიმეტა, საავადმყოფოს საბანი გადააფარა საფლავში. ასევე უცნობმა ხობელმა ქალმა დაუნთო სანთლები სახელდახელოდ გაჭრილ საფლავზე და დაიტირა. ამას იმიტომ გიამბობთ, რომ თქვენ ზოგიერთი ვაითბილისელის სისასტიკე დათო ბოლქვაძეს აზღვევინეთ. თბილისელობის ნიშნითაც მოჰკალით, ტელევიზიის „მეორე არხის" თანამშრომლობის გამო, „მტრის" ტელევიზიიდან მოსულ ჯაშუშად „მონათლეთ". ახლა კი, თქვენი წყალობით ცივ მიწაში ჩაწვენილი ჭაბუკების დედათა თვალწინ, სასამართლო დარბაზში ყოველდღე ცინიკურად იქცევით. ამით თქვენ ავლენთ, თუ რამდენად შეგეფერებათ ისეთი ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, „სარდალი" გერქვათ. პარადოქსია თითქოს, — თქვენი კანონიერი ცოლი თავდაბალი და თავდაჭერილი ქალი ჩანს. იგი არავის „თამაშობს". გაგიზარდათ ჩემი დავითის თანატოლები — ზვიადი და დავითი, მაგრამ ვაი, რომ მათ დავითისავით მკვლელი მამა ჰყავთ!"

ბადრი იაშვილი.

მუსიკა

155 კონკურსანტში—პირველია თამარი

1996 წლის ივნისის ბოლოს სიცილიის ქალაქ რაგუზა-იბლაში გამართულ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში, რომელმაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შემსრულებელი მიიზიდა, მონაწილეობდნენ თბილისის კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტი, იტალიის საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელი, პროფესორ ნოდარ გაბუნიას მოწაფე თამარ სანიკიძე და მისი და — კონცერტმაისტერი ნინო სანიკიძე. თამარმა დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო, ნინო კი, რომელიც აგრეთვე პროფესორ ნოდარ გაბუნიას აღზრდილი და ამჟამად საკონცერტმაისტერო დახელოვნების კათედრის ასპირანტია (პროფესორ ირინა საბაშვილის კლასი), საკონცერტმაისტერო განხრით გახდა მეექვსე პრემიის მფლობელი.

ეს კონკურსი თავისი შინაარსით საკმაოდ საინტერესო და ვრცელია. მსოფლიოს საკონკურსო პოლიტიკის მიზანია, რაც შეიძლება მეტი შემსრულებელი დააინტერესოს, აიმაღლოს პრესტიჟი კონკურსების ბუმის ეპოქაში. ამის გამო პიანისტთა მსოფლიო ფედერაციის ან მასში არშემავალი კონკურსები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ყოველი კონკურსი ეძებს თავის გზას შემსრულებელთა მიზიდვის თვალსაზრისით. სიცილიის კონკურსის თავისებურება ის არის, რომ გამარჯვებულს საპრიზო თანხა ფულადი პრემიის სახით კი არ გადაეცემა, არამედ ინახება კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშზე.

ხსენებული კონკურსის დამაარსებელია ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი სალვატორე მოლტისანტი. ჟიურის წევრებად მიწვეული იყვნენ ამერიკის უნივერსიტეტის სპეციალისტები, სხვადასხვა ასოციაციის, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის, ევროპის მუსიკის პედაგოგთა საზოგადოების წარმომადგენლები, უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლების პროფესორები, რექტორები, აგრეთვე მენეჯერები, ჟურნალისტები. თავმჯდომარე იყო დუბლინის მუსიკალური აკადემიის რექტორი, პროფესორი ფრენკ ჰენეგანი. კონკურსი იმართებოდა სამ კატეგორიად. პირველ კატეგორიაში შემსრულებელს ევალებოდა 70 წუთიანი სოლო პროგრამის შესრულება. თამარმა შეასრულა ბახის, სკარლატის, შუმანის, დებიუსის, სტრავინსკის ნაწარმოებები. მეორე კატეგორიაში კი — მოცარტისა და ჩაიკოვსკის კონცერტები. მესამე კატეგორია ითვალისწინებდა კონცერტმაისტერების კონკურსს. თამარის გამოსვლისას კონცერტების მეორე როიალის პარტიას ასრულებდა ნინო სანიკიძე.

გალა კონცერტზე ჟიურის გადაწყვეტილებით თამარმა შეასრულა სტრავინსკის, პაგანინ-ლისტის ნაწარმოებები. კონცერტი კი დასრულდა დები სანიკიძეების გამოსვლით, რომელთაც შეასრულეს ჩაიკოვსკის კონცერტი.

ამ კონკურსზე გამარჯვება უთუოდ მრავალ საზეიმო დღეს აჩუქებს პიანისტს. რად ღირს თუნდაც ის, რომ კომიტეტის მიერ გამოყოფილი თანხით თამარს შეუძლია ისწავლოს ამერიკის ნებისმიერ უნივერსიტეტში, ჩაწეროს კომპაქტ-დისკი, გამართოს დებიუტი ნიუ-იორკში და საკონცერტო ტურნე ამერიკაში. მას ხომ 155 კონკურსანტში პირველობა მიანიჭეს.

პიანისტის წლევანდელ წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით ევროკავშირის კონცერტში მონაწილეობამ. განსაკუთრებული ქების ღირსია პროფესორ ნოდარ გაბუნიას კონცერტები. შარშან ხომ სწორედ ერთ-ერთი ასეთი კონცერტის შემდეგ გაემგზავრა თამარი იტალიაში და გრან-პრიც მოიპოვა. ასე რომ, პიანისტს დაებედა გრან-პრი.

უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკალური საზოგადოების აზრით, პროფესორ ნოდარ გაბუნიას კლასი შემსრულებელთა მთელ თაიგულს წარმოაჩენს. ქეთევან ბადრიძე, მაია ცირლილაძე, ეკა გორდელაძე, ნუცა კასრაძე, თამარ მცურავიშვილი, ნინო სანიკიძე, ნატო წვერელი, ვალერიან შიუკაშვილი — აი ის სახელები, რომლებიც უკვე ცნობილია თბილისის მუსიკალური საზოგადოებისათვის. მათ შორის კი, როგორც თავად პროფესორმა ნოდარ გაბუნიამ ბრძანა, თამარს გამორჩეული ადგილი უჭირავს და ვირტუოზული ტიპის პიანისტად გვევლინება.

გვანცა ღვინჯილია,
მუსიკისმცოდნე.

ბრალი ედებათ

სულ შეჭამეთ, დავით ბატონო?

იყო სამტრედიაში სააქციო საზოგადოება „XXI საუკუნე". რა თქმა უნდა, ჰყავდა თავმჯდომარეც — 34 წლის დავით კოპალეიშვილი, რომელმაც თაღლითურად 2500 მოქალაქის მილიონამდე ამერიკული დოლარი მიითვისა. მადაც გაეხსნა, ისიც გაიხსენა მარტოკაცი ჭამაშიც ცოდოაო და 1996 წელს თებერვალ-მარტში, მაშინ, როცა „გაერთიანებული ქართული ბანკის" სამტრედიის №20 ფილიალის მმართველი იყო, ყალბი დოკუმენტებით, სხვებთან ერთად 23400 ამერიკული დოლარი და 119337 ლარი გაიტაცა.

დღეს დავით კოპალეიშვილი დაკავებულია. საინტერესოა სულ შეჭამა წაღებული?

ლარი და ხაზი

დამნაშავემ რომ პასუხი უნდა აგოს, ამას დიდი ლარი და ხაზი არ სჭირდება, მაგრამ უკანონოდ მითვისებულ ლარსა და ხაზს კი დაბრუნება ნამდვილად უნდა. აგროკომერციული ფირმა „ზერეთის" დირექტორმა, ამჟამად დაკავებულმა ნიკოლოზ ხვაძერაძემ ჯერჯერობით 1994 წლის ოქტომბერში ვარკეთილის ღვინის ქარხნიდან გატაცებული და გაყიდული 4748 ლიტრი კონიაკის შახალის მითვისებული თანხა — 2071 ლარი დააბრუნა, 1627 ლარად ღირებული ლიმონათის ჩამოსასხმელი ხაზი კი ჯერჯერობით არ ჩანს.

ახმეტაში ივანე კოტორაშვილი გამოჩნდა

ამ დღეებში თუშეთში სოფელ ჩილოს მახლობლად ოთხი ჩეჩენი თავს დაესხა სოფლის მწყემსებს და იარაღის მუქარით 750 ცხვარი და 33 ძროხა გაიტაცა.

ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გადარეკილი საქონელი რაიონის გამგეობისა და პოლიციის მიერ განხორციელებული ღონისძიებებით დაბრუნებულია.

მიჯაჭვული გოგია

მატნელი მურთაზ ჯუგაშვილი მოტყუებით ჩაუჯდა ავტომანქანაში ახმეტელ გოგია დავითაშვილს, მიიყვანა საკუთარ სახლში და იარაღის მუქარით ჯაჭვით დააბა, მანქანა კი გაიტაცა. გატაცებული ავტომანქანა უკვე მფლობელს დაუბრუნდა.

შსს პრესცენტრის მასალების მიხედვით.

ხსოვნა

პეტრე შალამბერიძე



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ღვაწლმოსილ პედაგოგს აცილებს — ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფიზიკის კათედრის ყოფილი დოცენტი **პეტრე ნესტორის ძე შალამბერიძე.**

იგი 1914 წელს დაიბადა ზესტაფონის რაიონში, 1938 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და შემდეგ, მრავალ წელს, იქვე მოღვაწეობდა ფიზიკის კათედრაზე.

პეტრე შალამბერიძე მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში 1941-45 წლებში და მთავრობის ჯილდოებიც ჰქონდა მიღებული, ავტორი იყო მრავალი სამეცნიერო შრომისა და სახელმძღვანელოსი ფიზიკაში სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის, მაგრამ ბატონ პეტრეს ყველაზე მეტად მაინც ის ახარებდა, რომ აღზარდა ქართველ ექიმთა მრავალი თაობა, რომ მისი ნამოწაფარნი თავდადებით ემსახურებოდნენ და დღესაც ემსახურებიან ხალხს და ქვეყანას.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მეცნიერი, ავტორიტეტული პიროვნება, კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა, წავიდა და დატოვა ნათელი ხსოვნა ახლობლების, მეგობრების, თანამშრომლების გულებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

ჩოგანი — მკითხველის ფელეტონი

„დინამო" და „ბათუმი" — სრული სვლით

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტური სტუმართა წარმატებით აღინიშნა — ორი მოგება და ორი ფრე, ასეთია მათი მონაგარი.

თბილისის „დინამომ" რუსთავში იოლად დაამარცხა „გორდა" — 6:2, „ბათუმმა" კი შინ პირველივე ტაიმში გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწია დედაქალაქის „მერანთან" — 3:0.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „კოლხეთი"-„სამგურალი" 4:0, „სამტრედია"-„მარგვეთი" 0:2, „დილა"-„გურია" 0:0, „ტორპედო"-„კახეთი" 6:1, „ივერია"-„ოდიში" 0:0, „სიონი"-„შევარდენი" 2:0.

12-12 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეში მყოფი თბილისის „დინამო" და „ბათუმი" მორიგ ტურში ერთმანეთს თბილისში შეხვდებიან 6 სექტემბერს და ერთგვარ წინასაევროპო გენერალურ რეპეტიციასაც აქ ჩაატარებენ.

რეპორტაჟი „ოლიმპიადა–2000"-დან

...**დაიწყო** მესამე რაუნდი და მძლავრი პროჟექტორებით გაჩირაღდნებული რინგის სხვადასხვა კუთხიდან დაიძრნენ გასავათებული მოკრივეები. სანუკვარი ოქროს მედლის გზაზე მძიმე ბრძოლებში ჩამოიცილეს მრისხანე მეტოქეები და, აჰა, დადგა ფინალური შერკინების გადამწყვეტი რაუნდი: ვინ ავა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე — ფრანგი თუ იტალიელი?

ორივემ ანთებული თვალებით გაზომეს ერთმანეთი. ვენეციელმა მეტოქის ელვის სისწრაფით მოქნეულ მარჯვენას თავისი შეაგება, მაგრამ იმავ წამს ნიკაპთან იგრძნო მძლავრი დარტყმა.

— ვაი, ნანა! — გარკვევით წამოიძახა კვნესით და ხის მოჭრილი ტოტივით ნელ-ნელა დაეშვა იატაკზე.

ოფლითა და სისხლით იყო შესვრილი მისი მწვანე, კოხტად შეკერილი და ყვითელი გრეხილებით მორთულ-მოქარგული მაისური.

ფრანგი გაფითრდა, მთელი ტანი აუცახცახდა. არც კი ახსოვდა, თუ რამდენი დაუნარცხებია რინგზე ამ ათი წლის განმავლობაში, მაგრამ ასეთი სულიერი მღელვარება ჯერ არ განეცადა. იგი თითქოს მოსწყდა იმ სინამდვილეს, რაც მის გარშემო ხდებოდა. ირგვლივ აღტაცებული გულშემატკივრების ტაში და ღრიანცელი დარბაზს აზანზარებდა, მას კი ესმოდა მხოლოდ, როგორ დათვალა ათჯერ „ვაი, ნანა" რეფერიმ და ძირს გართხმულ ვენეციელს თვალს არ აშორებდა...

ერთი საათის შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ოქროს მედლით მკერდდამშვენებული ფრანგი მოკრივე იდგა, მისგან მხარმარჯვნივ კი — თავჩაღუნული იტალიელი. დარბაზის თაღქვეშ ზე ადიოდა საფრანგეთის დროშა და ჟღერდა საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი.

ღმერთმა ხომ იცოდა...

თუ რა იცოდა ღმერთმა, ყველა მოსწავლემ იცის, ვისაც უიარაღოს „მამლუქი" წაუკითხავს.

რაფიელ მამულაშვილი.

მეუღლე დათო, შვილები კოტიკო, მიშიკო ბაღუაშვილები, და ანია, მამა მიხეილი, ძმა ნოდარი, ბებია სონია, მაზლები სოლომონი, მოსე, ანზორი, ჯუკუ, რძლები ნათელა, მაღვინა, მანანა, ციცო, ხათუნა ოჯახებით, ბიძები, მამიდები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მანანა ფვენიაშვილი-ბაღუაშვილი

პანაშვიდი 1, 2 IX, 5 ს., დაკრძალვა 3 IX, 3 ს. თბილისი, გორგასლის მეოთხე შესახვევი, მეორე ჩიხი № 7.

ანზორ, მანანა, ირმა ბაღუაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მანანა მიხეილის ასული ფვენიაშვილი-ბაღუაშვილი

ქ. თბილისის პროკურატურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ანზორ და დავით ბაღუაშვილებს

მანანა ფვენიაშვილი-ბაღუაშვილის

გარდაცვალების გამო.

თბილისის მუნიციპალური საწარმოო სატრანსპორტო კომპანია „თბილტრანსი" თანაგრძნობას უცხადებს ამავე კომპანიის თავმჯდომარის მოადგილეს დავით ბაღუაშვილს მეუღლის

მანანა მიხეილის ასულ ფვენიაშვილ-ბაღუაშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს სააქციო საზოგადოება „ტელეფონმშენის" გენერალურ დირექტორს დიმიტრი მაჩიტიძეს ძმის

კუკური მაჩიტიძის

გარდაცვალების გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მოსამართლეს ზურაბ დევდარიანს მამის, ღვაწლმოსილი იურისტის

თენგიზ დევდარიანის

გარდაცვალების გამო.

შვილები ბაურხანი, ევტიხი, გიორგი, ჟორა, ნორა, ჯაჯა, მირონი, სერგო, ბაბი, ფრიდონი, შვილიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო (მინა) გიორგის ასული მუკბანიანი-ხაბულიანი

პანაშვიდი 1, 2 IX, დაკრძალვა 3, IX 2 ს., ლენტეხის რაიონი, სოფელი ჭველიერი.

უახლოესი მეგობრები გია ალავიძე, გელა არჩვაძე, ზაზა გუბელაძე, დათო ვასაძე, გია კვირიკაშვილი, დათო კველიშვილი, მალვა ოგბაიძე, დათო ხუციშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურიკო გოგოლაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე თინა, შვილი მარინა მაჩიტიძეები, სიძე ნუგზარი, შვილიშვილები დათო, ბესო კაპანაძეები, ძმა დიმიტრი, რძალი იზა, ძმისწული გოჩა მაჩიტიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კუკური ქრისტეფორეს ძე მაჩიტიძე

დაკრძალვა 1 IX, 2 ს., ზესტაფონში, ბარათაშვილის ქუჩა № 63.

დედა ვენერა, მეუღლე რუსუდან მარლანია, შვილები თენგო, თინათინი, ძმა დათო, ძმისწულები ნინო, ნიკო, დეიდა ლიანა მაჭავარიანი, ბებია მარგალიტა აბაშიძე, ბიძები გიორგი ავალიშვილი, თამაზ სიყმაშვილი ოჯახებით, ბიძაშვილი ქეთევან გოგოლაშვილი, ნათელა ბილანიშვილი, სიდედრი ლია, სიმამრი დურმიშხანი, ცოლისძმა დათო, რძალი რუსიკო მარლანიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ თენგიზის ძე გოგოლაშვილი

პანაშვიდი 1, 2 IX, 4 ს., გამოსვენება 3 IX, 3 ს. რიგის ქ. 4.

შვილები ალეკო, ლევან პატარაიები, რძალი მზია გოგიტიძე, შვილიშვილი ნათია უწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათელა ისიდორეს ასული წერეთელი-პატარაია

პანაშვიდი 2, IX, 6 ს., დაკრძალვა 3 IX, 4 ს. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. 39/47, ბინა 61.

კროსვორდი



თარაზულად: 5. ჩარლი ჩაპლინის ფილმების გმირი. 8. ძველებური ინგლისური ოქროს ფული. 10. თვითმმართველობის ორგანო, მუნიციპალიტეტი. 12. ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ერთობლიობა. 13. საყდარი. 14. თბილისის ძველი უბანი. 17. ისეთი რამ, რაც ბრმად სწამთ, რასაც ეთაყვანებიან, აღმერთებენ. 19. რისამე განვითარების საფეხური, პერიოდი. 21. ქართველი ფალავანი, ანუ „ქართველი გოლიათი". 22. ანტაბლემენტის შუა ნაწილი, კოზმიდი. 24. წიგნი, სადაც აღნიშნულია ეკლესიის ან მონასტრის შემომწირველთა სახელები და სხვ. 26. მკაცრი, მამხილებელი სიტყვა, გამოსვლა ვისიმე წინააღმდეგ. 27. ძალიან შემოკლებით გამოცემული კლასიკოსის ნაწარმოები. 29. „ღვთაებრივი მხსნელი" იუდეველთა და ქრისტიანთა რელიგიაში. 31. დედაკაცი, ქალი ძველად. 32. საგნის, მოვლენის დამახასიათებელი თავისებურებანი, რაც მას სხვებისაგან განასხვავებს. 33. ჰომეროსის პოემა. 36. ლეგენდარული ან ისტორიული შინაარსის მცირე ზომის სტროფული ლექსი. 39. ფრანგი კინომსახიობი ქალი. 42. ისტორიული ოლქი ჩრდ. ესპანეთში. 43. ჭადრაკის ფიგურა. 44. ქიმიური ელემენტი, ჰაერის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. 45. ბავშვების სათამაშო ჰაერში ასაშვები მოწყობილობა. 46. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი.

შვეულად: 1. დროის მონაკვეთი კრივში. 2. პლასტიკური მასა. 3. რაიმე სადავო საკითხის საჯარო განხილვა. 4. ესპანეთის ფულის ერთეული. 6. სახელმწიფო სამხრ. ამერიკაში. 7. ამერიკელი კინომსახიობი. 9. ფრანგი კინომსახიობი. 11. ჯოხი, რომელსაც რიგრიგობით ესვრიან ერთმანეთს ცხენოსნობაში ძველი ქართული გუნდური შეჯიბრების დროს. 14. სხვადასხვა იშვიათი საბუნებისმეტყველო, ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ არქეოლოგიური საგნების კოლექცია ძველად. 15. ფილმი „დიდი მანევრების" დამდგმელი ფრანგი კინორეჟისორი და დრამატურგი. 16. ქართველი ბალერინა. 18. მოწყობილობა პარკების, სტადიონების, სადგურებისა და მისთ. შესასვლელებში მიმსვლელთა თითო-თითოდ შესაშვებად. 20. რაიმე ორგანიზაციის, დაწესებულების, კრების დავალებით მოქმედი რწმუნებულთა ან არჩეულ პირთა ჯგუფი. 23. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. 25. მოქსოვილი ტყავის მოგრძო და ვიწრო ანაჭერი. 28. ჰოკეის სათამაშო დისკო, რომელსაც ყინულზე მიაცურებენ. 30. ქართველი პოეტი. 31. ტყავის დასამუშავებელი ქარხანა ძველად. 34. ქამანდი, საგდებელი, რომლითაც ცხენოსანი მწყემსები და მონადირეები ცხოველებს იჭერენ. 35. ცალკე პიროვნების ან დაწესებულების ანაბარი საზღვარგარეთის ბანკში. 37. მეთაური, ხელმძღვანელი. 38. ფილმ „აუზის" დამდგმელი ფრანგი კინორეჟისორი. 40. შერეული შემადგენლობის ორკესტრი, რომელშიც სჭარბობს ჩასაბერი და სარტყმელი საკრავები. 41. ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა.

27 აგვისტოს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კბილანა. 6. ქართველიშვილი. 9. ჰარვარდი. 11. კენტავრი. 12. გიაური. 13. ბიურო. 14. რაინდი. 18. იარდი. 19. იამბი. 20. იენა. 21. ბოვე. 22. ჰიპნო. 24. ბუკია. 26. იაკობი. 27. ტანკა. 28. შაბაქი. 31. ესენტუკი. 32. ეპიდემია. 34. არქიტექტონიკა. 35. ალბიონი.

შვეულად: 1. კითარა. 2. ელლო. 3. აივანი. 4. მასვერკი. 5. ალმანახი. 7. „პანათინაიკოსი". 8. ტრანსფორმაცია. 10. იდიში. 11. კერპი. 12. გალიაკი. 15. ინცერტი. 16. ტრაპი. 17. ამუკი. 22. ჰაბანერა. 23. ოპალი. 24. ბუკლე. 25. არაბესკი. 29. ტუნიკა. 30. „ნიანგი". 33. ოქმი.

ამინდი

31 აგვისტოს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ხანმოკლე წვიმა ელჭექით, იქროლებს წამში 10-15, ალაგ-ალაგ 20-25-29 მეტრამდე სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 15-20, დღისით 26-31, მთაში — ღამით 12-17, დღისით 21-26, მაღალმთაში — ღამით 6-11, დღისით 15-20 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან ხანმოკლე წვიმა იქნება, გორი-სურამის მონაკვეთზე იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 13-18, დღისით 21-26, მთაში — ღამით 9-14, დღისით 17-22, მაღალმთაში — ღამით 4-9, დღისით 14-19 გრადუსი სითბო.

თბილისში ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 16-18, დღისით 23-25 გრადუსი სითბო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში ხოშარაულის 29.